

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა: ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება

ნელი მერაბიშვილი

სტუდენტთა ჩართულობა უმაღლესი განათლების ხარისხის მართვაში

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი მზია წერეთელი

თბილისი

2018

## აბსტრაქტი

თანამედროვე უმაღლესი განათლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში სტუდენტთა ჩართულობა. სტუდენტთა ჩართულობას განიხილავენ, როგორც სტუდენტთა და საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვა რესურსების ურთიერთქმედებას სასწავლო შედეგების ზრდისა და საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებისთვის.

ნაშრომში შესწავლილია საქართველოში არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განათლების ხარისხის მართვისა და მისი ორგანიზაციული განვითარების პროცესში სტუდენტთა ჩართულობის ფაქტორები და აღნიშნული პროცესისადმი სტუდენტებისა და დაწესებულებების დამოკიდებულებები. კვლევის ფარგლებში ჩამოყალიბდა ჰიპოთეზა - თანამედროვე მიდგომების გამოყენებით, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განათლების ხარისხის მართვისა და მისი ორგანიზაციული განვითარების პროცესში სტუდენტთა ჩართულობა იწვევს სტუდენტთა მხრიდან საკუთარი უნივერსიტეტის განათლების ხარისხით კმაყოფილების დონის ამაღლებას.

კვლევაში გამოყენებულ იქნა თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები. თვისებრივი კვლევა ჩატარდა საქართველოსა და ესპანეთის სამი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურისა და სტუდენტების მონაწილეობით, ხოლო რაოდენობრივმა კვლევამ საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები მოიცვა. ნაშრომს საფუძვლად უდევს ხარისხის ორგანიზაციული მართვისა და მასში სტუდენტთა ჩართულობის

თეორიები და წამყვან უნივერსიტეტებში არსებული პრაქტიკა. სტუდენტთა ჩართულობის კვლევა ეყრდნობა ბლუმის ტაქსონომიას, რომლის მიხედვითაც მოხდა სტუდენტთა ჩართულობის ტიპოლოგიის განსაზღვრა, კერძოდ, ჩართულობის ქცევითი, კოგნიტური და ემოციური ფაქტორების გამოყოფა.

არსებულ თეორიებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მართვა არის საქმის შესრულება სხვა ადამიანების ჩართულობით, ხარისხის მართვის შემთხვევაში კი, სტუდენტების ჩართულობა იგულისხმება. თუმცა, კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მასში მონაწილე სტუდენტებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შესახებ არარელევანტური წარმოდგენა გააჩნიათ, და მათ უმრავლესობას არ ჰქონია საქმიანი ტიპის კომუნიკაცია აღნიშნულ დეპარტამენტთან. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დასახელებულ სტუდენტთა ჩართულობის ძირითადი ინსტრუმენტებისა და სტუდენტებისგან ინფორმაციის მიღების საშუალებებისადმი, სტუდენტების დამოკიდებულება ნეგატიური ხასიათისაა, შესაბამისად, კვლევაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ორ მნიშვნელოვან რგოლს შორის კომუნიკაცია დახვეწასა და გაუმჯობესებას საჭიროებს.

აგრეთვე, ფაქტორული ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ჩართულობის ორი ტიპი: კოგნიტურ-ემოციური ჩართულობა და ქცევითი ჩართულობა. კვლევაში გამოავლინა, რომ კვლევის მონაწილე სტუდენტების ჩართულობითი აქტივობა უფრო მეტად ემოციურ-კოგნიტური ჩართულობითაა განპირობებული, ვიდრე - ქცევითით. აღნიშნული ტენდენცია დამახასიათებელია როგორც კერძო, ისე სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. აგრეთვე, გამოვლინდა სტუდენტთა ჩართულობის სპეციფიკა რიგი მახასიათებლების მიხედვით. შედეგად, მოხდა ჰიპოთეზის დადასტურება, კერძოდ, სტუდენტთა

ჩართულობა განაპირობებს სტუდენტების მხრიდან საკუთარი უნივერსიტეტით  
კმაყოფილების დონეს, შესაბამისად, რაც უფრო მაღალია სტუდენტთა  
ჩართულობა, მით უფრო მაღალია მათი უნივერსიტეტით კმაყოფილება.

## შინაარსი

1. შესავალი.....	7
2. კვლევის მიზანი და ამოცანები.....	15
3. უმაღლესი განათლების ხარისხის მართვისა და მისი ორგანიზაციული განვითარების შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა.....	18
3.1. მეთოდოლოგია.....	18
3.2. უმაღლესი განათლების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების თეორიები.....	19
3.3. უმაღლესი განათლების მართვისა და მასში სტუდენტთა ჩართულობის ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობა და რეგულაციები .....	25
3.4. საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის მართვისა და სტუდენტთა ჩართულობის რეგულაციები.....	34
3.5. უმაღლესი განათლების მართვისა და მასში სტუდენტთა ჩართულობის კვლევები .....	36
3.6. უმაღლესი განათლების მართვისა და მასში სტუდენტთა ჩართულობის სამეცნიერო ლიტერატურა.....	45
3.7. შედეგები .....	60
4. სტუდენტთა ჩართულობის მიმართ საქართველოსა და ესპანეთის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წარმომადგენლებისა და სტუდენტების დამოკიდებულება (თვისებრივი კვლევა - ინტერვიუები).....	64
4.1. მეთოდოლოგია.....	64
4.2. სტუდენტთა ჩართულობის მიმართ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების დამოკიდებულება .....	67
4.3. სტუდენტების დამოკიდებულება საკუთარი ჩართულობის მიმართ.....	91
4.4. შედეგები .....	106
5. უმაღლესი განათლების მართვის პროცესში სტუდენტთა ჩართულობის დონე და სპეციფიკა (რაოდენობრივი კვლევა).....	112
5.1. მეთოდოლოგია.....	112
5.2. უმაღლესი განათლების მართვის პროცესში სტუდენტთა ჩართულობის ასპექტები .....	114
5.3. შედეგები .....	152
6. დასკვნები და რეკომენდაციები.....	163
7. გამოყენებული ლიტერატურა .....	169
დანართი 1 - სტუდენტთა ჩართულობის მაჩვენებლების კატეგორიის სიხშირული განაწილება .....	174
დანართი 2 - დიაგრამები და ცხრილები .....	176

დანართი 3 - თვისებრივი კვლევის კითხვარი .....	179
დანართი 4 - რაოდენობრივი კვლევის კითხვარი .....	183

## 1. შესავალი

თანამედროვე სამყაროში განათლების სფეროსა და საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარების საკითხი დღითიდღე აქტუალური ხდება. 21-ე საუკუნის მსოფლიო წარმოდგენელია განათლებისა და თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემების გარეშე; ეს უკანასკნელი კი კონკურენტულ საბაზრო პირობებში მუდმივ ცვლილებებსა და სწრაფ განვითარებას უნდა განიცდიდეს. საქართველო არის განვითარებადი ქვეყანა, რომელიც მიჰყვება მსოფლიო მიღწევებს, და ქართულ რეალობაში მის გადმოტანას რეფორმების სახით ცდილობს. საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა ქვეყნისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მუდმივად განვითარებადი სფეროა. უკანასკნელ წლებში უმაღლესი განათლების სისტემაში ბევრი საინტერესო ცვლილება და რეფორმა განხორციელდა. 2004 წელს მნიშვნელოვნად შეიცვალა უმაღლესი განათლების სისტემა და საკანონმდებლო რეგულაცია. ხოლო 2005 წელს, საქართველო ბერგენის სამიტზე ბოლონის პროცესს შეუერთდა, რომლის შემდეგაც ქვეყანამ გარკვეული ვალდებულებები და პასუხისმგებლობები იტვირთა (Communiqué of the Conference of European Ministers Responsible for Higher Education, 2005).

ბოლონის პროცესი ევროპის ქვეყნების განათლების სისტემების დაახლოებისა და ჰარმონიზაციის პროცესია, რომელიც მიზნად ისახავს გარკვეული საშუალებებისა და ინსტრუმენტების შემუშავებას უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის შექმნისათვის. ამჟამად, ბოლონის პროცესში ჩართულია 49 ქვეყანა და რიგი საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორისაა საქართველოც (Bologna Declaration, 1999).

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის წამყვან ქვეყნებში, სტუდენტთა როლი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციის

განვითარებისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მნიშვნელოვანია, სადაც სტუდენტთა ჩართულობას განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ პრიორიტეტად მიიჩნევენ. წარმატებული ინსტიტუტები აქტიურად ცდილობენ გამოიკვლიონ სტუდენტთა მოსაზრებები სხვადასხვა საშუალებებით, რათა მათზე დაყრდნობით განსაზღვრონ საკუთარი ორგანიზაციის პოლიტიკა და სტრატეგიული განვითარების გეგმა (Velden G.M., 2013).

იმ ევროპულ ქვეყნებში, რომელთაც წარმატებული განათლების სისტემა გააჩნიათ, სტუდენტთა ჩართულობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის ინსტიტუტებში ცალკეულ სტუდენტებსა და სტუდენტურ კავშირებს მოიაზრებენ, როგორც განათლების პოლიტიკის დაინტერესებულ მხარეებს (stakeholders), რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა გააჩნიათ დაგეგმასა და განხორციელების პროცესში (Velden G.M., 2013).

ხარისხის მართვის განვითარების მიზნით, შოტლანდიის განათლების მესვეურებიც ხელს უწყობენ სტუდენტთა ჩართულობის ზრდას სხვადასხვა სტუდენტური საბჭოებისა და კავშირების წახალისების გზით (Bohrer J., 2006).

ფინეთში, სწავლის დაწყების პირველი დღიდანვე სტუდენტი მიჩნეულია, როგორც ფინეთის აკადემიური წრის სრულფასოვან წევრად. ფინეთის საგანმანათლებლო სისტემა სტუდენტს ხელს უწყობს აკადემიურ სოციალურ სფეროში ერთად განავითაროს სასწავლო კულტურა, და ზოგადად, სწავლება. ფინეთში სტუდენტთა ჩართულობაში იგულისხმება სტუდენტის სრული მონაწილეობა საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების პროცესში. მათმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ სტუდენტებს, რომლებიც ჩართულნი არიან დეპარტამენტებისა და ფაკულტეტების საქმიანობაში, კარგი აკადემიური მოსწრება გააჩნიათ. სტუდენტთა ჩართულობა ქმნის პარტნიორულ კავშირს, რაც ხელს



უწყობს ღია დიალოგს. 1960-იან წლებში, ფინეთში სტუდენტებმა მოითხოვეს უნივერსიტეტში გადაწყვეტილების მიღების პროცესში საკუთარი როლის გაძლიერება. შედეგად კი, მიიღეს გადაწყვეტილების მიღების სამმხრივი სისტემა, რომლის შემადგენელი ნაწილებია: 1) სტუდენტები; 2) პროფესორები და 3) ადმინისტრაცია (Alaniska H., 2006).

სტუდენტთა ჩართულობის პროცესში სტუდენტს ოთხი ძირითადი ფუნქცია გააჩნია: 1) სტუდენტი, როგორც ინფორმაციის მიმწოდებელი - იგულისხმება სტუდენტის უკუკავშირი უნივერსიტეტის, ფაკულტეტის, ლექტორის ამა თუ იმ გადაწყვეტილებისა და ქმედების შესახებ; 2) სტუდენტი, როგორც მოქმედი პირი - სტუდენტს საშუალება უნდა ჰქონდეს თავად შექმნას საკუთარი უკუკავშირის განმსაზღვრელი შეფასების კითხვარი (საგნის, სემესტრის, აკადემიური წლის შესახებ), და ჰქონდეს ხარისხის მართვის სამსახურსა და სხვა ადმინისტრაციულ ერთეულთან თანამშრომლობის საშუალება. სტუდენტებმა შესაძლებელია თავად მოახდინონ შეფასების კითხვარის შეგროვება და ანალიზი. სტუდენტებს შეუძლიათ ორგანიზება გაუწიონ სტუდენტებისა და პროფესორების სამუშაო შეხვედრებს, რომელიც ხარისხის განვითარებასა და პრობლემის გადაწყვეტის ინოვაციურ მიდგომებზე იქნება ორიენტირებული; 3) სტუდენტი, როგორც ექსპერტი - მნიშვნელოვანია, რომ ხარისხის მართვა მიმართული იყოს სწავლაზე და არა სწავლებაზე, ამიტომ სტუდენტის როლი მთელ ამ პროცესში ძალზე მნიშვნელოვანია. სტუდენტმა თავად უნდა განსაზღვროს სწავლისას რა შედეგებს მიაღწია და სწავლება როგორ დაეხმარა მას აღნიშნულის მიღწევაში. შესაბამისად, სწავლება და განათლების ხარისხი უნდა შეფასდეს სტუდენტის სწავლის გამოცდილებაზე დაყრდნობით. აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია მოხდეს სამუშაო ჯგუფების შექმნით, შეხვედრებით, მოსაზრებების წერილობითი გამოხატვით, და სხვ. უნივერსიტეტში თანდათანობით უნდა

ჩამოყალიბდეს ისეთი გარემო, სადაც სტუდენტის მოსაზრება უკუგდებულ კი არ იქნება, არამედ მივიღებთ კონსტრუქციულ უკუკავშირს „ექსპერტისგან“; 4) სტუდენტი, როგორც პარტნიორი - ნებისმიერი საგანმანათლებლო აქტივობა დაფუძნებულია მასწავლებლისა და სტუდენტის თანამშრომლობაზე. სტუდენტთან პარტნიორობის განვითარება ხარისხის მართვის კუთხით, რომელიც ორიენტირებული იქნება კონსტრუქციულ დიალოგზე, საგანმანათლებლო დაწესებულების ერთ-ერთი წინადადებული ნაბიჯია. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ვალდებულია შექმნას გარემო, სადაც სტუდენტები აღქმულნი იქნებიან, როგორც პარტნიორები, ეს კი უფრო გამართულ და ღია ხარისხის მართვის სისტემას შექმნის (Alaniska H., 2006).

2015 წელს, ბელგიაში, ბოლონიის პროცესის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე მიღებული დოკუმენტის „ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო სფეროში არსებული ხარისხის მართვის სტანდარტები და გზამკვლევი“ მიხედვით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ჩართოს სტუდენტები განათლების ხარისხის მართვის პროცესში და გაითვალისწინოს მათი აზრი. აღნიშნულის დასაბუთება ხდება შემდეგნაირად: „სტუდენტური მოსაზრებები და მათ მიერ გამოხატული იდეები ხშირად ძალზე რელევანტური და ეფექტურია“. დოკუმენტის შესრულების ვალდებულება საქართველოს განათლების სამინისტროსაც გააჩნია, რათა მოხდეს საქართველოს განათლების სისტემისა, და ზოგადად, ქვეყნის ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაცია. აღნიშნული დოკუმენტი ახლად შემუშავებულია, შესაბამისად, დოკუმენტში მოყვანილი რეკომენდაციები აქტუალური და დროის შესაბამისია, რაც საგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან ყურადღებას საჭიროებს (Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area (ESG), 2015).

ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს უმაღლესი განათლების სტანდარტებისა და ხარისხის შემოწმებას საგანმანათლებლო მოლოდინებთან მიმართებაში. ევროპული უნივერსიტეტების წესდებებში მკაფიოდ არის ხასგასმული სტუდენტის როლი ზემოთ აღნიშნულ პროცესში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები თავს ვალდებულად თვლიან, ითანამშრომლონ უნივერსიტეტის სტუდენტებთან სტანდარტებისა და ხარისხის მართვის პროცესში საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით. მაგალითად, კენტის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) ხარისხის მართვის წესდებაში ნათქვამია, რომ სტუდენტებს გააჩნიათ მრავალმხრივი შესაძლებლობა ჩაერთონ უნივერსიტეტის ხარისხის მართვის პროცესში ყველა დონეზე. კენტის უნივერსიტეტს მიაჩნია, რომ სტუდენტების ჩართულობა მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფისა და სტუდენტებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნის თავლსაზრისით. უნივერსიტეტი აყალიბებს თანამშრომლობის კულტურას და ქმნის ურთიერთქმედების გარემოს, სადაც სტუდენტი მონაწილეობას მიიღებს მართვის პროცესში როგორც ჯგუფურად, ისე ინდივიდუალურად. კენტის უნივერსიტეტი აქვე განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში სტუდენტების ჩართულობის საშუალებებს, ესენია: სტუდენტებისგან ჯგუფური და ინდივიდუალური უკუკავშირი, ფაკულტეტსა და პროგრამაზე სტუდენტების წარმომადგენლების არჩევა, სტუდენტებისთვის ხარისხის მართვის პროცესში საკუთარი როლის განმარტება. უნივერსიტეტის წესდებაში ნათქვამია, რომ ადმინისტრაცია და სტუდენტები თანაბრად ვალდებულნი არიან მხარი დაუჭირონ უნივერსიტეტის განათლების ხარისხის განვითარებას (კენტის უნივერსიტეტის წესდება).

გლაზგოს უნივერსიტეტის (შოტლანდია, დიდი ბრიტანეთი) ხარისხის მართვის წესდებაშიც აღწერილია სტუდენტის წვლილი ხარისხის მართვის

პროცესში, მაგალითად, როგორცაა სტუდენტის მხრიდან ზუსტი უკუკავშირის, რჩევისა და შეთავაზების მიწოდება. მასში ნათქვამია, რომ „ჩვენ გვჭირდება სტუდენტების მოსაზრებები, რათა გავიგოთ სტუდენტური პერსპექტივები“ (გლაზგოს უნივერსიტეტის წესდება).

ევრო კავშირის მიმართ ევროპის ქვეყნების ვალდებულებების გარდა, საქართველოს კანონმდებლობაში მითითებულია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ხელი შეუწყოს სტუდენტთა თვითმმართველობას საკუთარი მოვალეობის შესრულებაში და ჩართოს თითოეული სტუდენტი აკადემიური პერსონალის შეფასების პროცესში. აგრეთვე, სტუდენტს არა მარტო უფლება აქვს ჩაერთოს საგანმანათლებლო მართვით საქმიანობაში, არამედ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და უნივერსიტეტის თვითმმართველობა ვალდებულია გაითვალისწინოს ყველა სტუდენტის აზრი და ჩართოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შესაბამისად, კანონმდებლობის დონეზე საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებსა და ევროკავშირის მოთხოვნებს, თუმცა, მნიშვნელოვანია მისი პრაქტიკაში განხორციელება, რაც ჩვენი კვლევის ძირითად საკითხს წარმოადგენს (უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, 2014).

წარმოდგენილი ნაშრომის **კვლევის მიზანია** საქართველოში არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განათლების ხარისხის მართვისა და მისი ორგანიზაციული განვითარების პროცესში სტუდენტთა ჩართულობისა და აღნიშნული პროცესისადმი დაწესებულებების დამოკიდებულების შესწავლა. კვლევისას შევისწავლეთ, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რამდენად ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას, არიან თუ არა რეალურად სტუდენტები ხარისხის მართვის

საქმიანობაში ჩართულნი, და კვლევის მონაწილეების ხედვით, ამ კუთხით რა პერსპექტივები არსებობს. აღნიშნულ ჩართულობას ორი მხარე ჰყავს - განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები და სტუდენტები. სწორედ ამიტომაც, ეს ორი ჯგუფი წარმოადგენდა სამიზნე აუდიტორიას, და შესაბამისად, კვლევის რესპოდენტებს. კვლევამ მოიცვა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, და ერთი ევროპის, კერძოდ, კორუნას უნივერსიტეტი (ესპანეთი).

მას შემდეგ, რაც საქართველო შეუერთდა ბოლონიის პროცესს, ქვეყანა ვალდებულია გაითვალისწინოს და გაიზიაროს ევროპული რეკომენდაციები, რათა საქართველოს განათლების სისტემა შეესაბამებოდეს ევროპის ქვეყნების განათლების სისტემის სტანდარტებს და აკმაყოფილებდეს ქვეყნის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ყურადღება დაეთმოს სტუდენტთა ჩართულობის საკითხს განათლების ხარისხის მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროცესში, რაც უნდა განხორციელდეს წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილებაზე დაყრდნობით. აღნიშნულის რეალობაში დამკვიდრება არც თუ ისე მარტივი პროცესია და საჭიროებს მეცნიერულ კვლევასა და არსებული გამოცდილების შესწავლას, რაც განაპირობებს ნაშრომში მოყვანილი - საქართველოში განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში სტუდენტთა ჩართულობის **კვლევის აქტუალობას**.

ნაშრომის **მეთოდოლოგიური საფუძვლები** ეყრდნობა ორგანიზაციისა და ხარისხის მართვის არსებულ თეორიებს, ადგილობრივ და უცხოურ კვლევებს, საქართველოს მიმართ წაყენებულ საერთაშორისო საგანმანათლებლო მოთხოვნებს, სტუდენტთა ჩართულობის წარმატებულ მაგალითებსა და ჩართულობის ფაქტორებს ბლუმის ტაქსონომიაზე დაყრდნობით.

**კვლევის მეცნიერული სიახლეს** განაპირობებს საქართველოს სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განათლების ხარისხის მართვისა და ხარისხის ორგანიზაციული განვითარების პროცესში სტუდენტთა ჩართულობის მოცულობითი კვლევითი ნაშრომი, რომელიც მოიცავს სტუდენტებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების კვლევას; აგრეთვე, ჩართულობის დონისა და კომპონენტების განსაზღვრას, როგორცაა, ქცევითი, ემოციური და კოგნიტური ჩართულობა; დამუშავებულია ადგილობრივი და საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, რეგულაციები და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განათლების ხარისხის მართვის სტანდარტები სტუდენტთა ჩართულობის კუთხით, საქართველოს განათლების სისტემისადმი წაყენებული მოთხოვნები და ნაკისრი ვალდებულებები; მოყვანილი და გაანალიზებულია საუკეთესო მაგალითები და გამოცდილება; წარმოდგენილია საქართველოში არსებული კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტების ჩართულობის შედარებითი ანალიზი; აგრეთვე, საქართველოს სიტუაციის შედარებითი ანალიზი ესპანეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტთან (კორუნას უნივერსიტეტი) მიმართებაში; შემუშავებულია რეკომენდაციები სტუდენტთა ჩართულობის ზრდის კუთხით.

ნაშრომში მოყვანილი კვლევის შედეგებისა და რეკომენდაციების **პრაქტიკული გამოყენება** შესაძლებელი იქნება, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციული განვითარების კუთხით, ისე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ქვეყნის უმაღლესი განათლების პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში.

## 2. კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია საქართველოში არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განათლების ხარისხის მართვისა და მისი ორგანიზაციული განვითარების პროცესში სტუდენტთა ჩართულობისა და აღნიშნული პროცესისადმი დაწესებულებების დამოკიდებულების შესწავლა.

კვლევის ფარგლებში, აღწერილი პრობლემებიდან გამომდინარე, მოხდა შემდეგი ჰიპოთეზის ჩამოყალიბება - თანამედროვე მიდგომების გამოყენებით, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განათლების ხარისხის მართვისა და მისი ორგანიზაციული განვითარების პროცესში სტუდენტთა ჩართულობა იწვევს სტუდენტთა მხრიდან საკუთარი უნივერსიტეტის განათლების ხარისხით კმაყოფილების დონის ამაღლებას. ჰიპოთეზაზე დაყრდნობით, ჩამოყალიბდა შემდეგი ქვეჰიპოთეზები:

- ❖ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, განათლების ხარისხის შეფასების პროცესში სტუდენტების მონაწილეობა ხელს უწყობს სტუდენტთა სწავლის მოტივაციის ზრდას;
- ❖ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, განათლების ხარისხის მართვის პროცესში სტუდენტთა ჩართულობა ხელს უწყობს სტუდენტების უნივერსიტეტით კმაყოფილების ზრდას;
- ❖ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, განათლების ხარისხის მართვის პროცესში სტუდენტთა ჩართულობა დადებით გავლენას ახდენს ხარისხის მართვის პროცესზე;
- ❖ კვლევისას გამოვლინდება ხარისხის მართვის პროცესში სტუდენტთა ქცევითი, კოგნიტური და ემოციური ჩართულობის კომპონენტები, სადაც ემოციური და კოგნიტური ჩართულობა მაღალია ქცევითი ჩართულობის კომპონენტზე.

უფრო დეტალურად კვლევის ამოცანები მდგომარეობდა შემდეგში:

- შეგვესწავლა და გაგვეანალიზებინა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განათლების ხარისხის მართვისა და ორგანიზაციული განვითარების მოდელები და სტანდარტები ხარისხის მართვის სფეროში არსებული სამეცნიერო ლიტერატურის, ხარისხის მართვის საერთაშორისო გამოცდილებისა და ამ პროცესში სტუდენტთა ჩართულობის საუკეთესო მაგალითებზე დაყრდნობით;
- შეგვესწავლა საქართველოს კანონმდებლობა უმაღლესი განათლების კუთხით, და ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის მიმართ წაყენებული საერთაშორისო და ადგილობრივი მოთხოვნები და რეგულაციები, რომელიც ქვეყანა ვალდებულია შეასრულოს ევროკავშირის სივრცეში ჰარმონიზაციის მიზნით;
- შეგვესწავლა სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა ჩართულობის დონე და მოტივაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განათლების ხარისხის მართვისა და ხარისხის ორგანიზაციული განვითარების პროცესებში;
- დაგვედგინა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხარისხის მართვის პროცესში სტუდენტთა ჩართულობის არსებული ინსტრუმენტები;
- შეგვესწავლა სტუდენტთა მხრიდან საკუთარი უნივერსიტეტის განათლების ხარისხით კმაყოფილების დონე;
- დაგვედგინა განათლების ხარისხის მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროცესში სტუდენტთა ჩართულობის გავლენა მათი სწავლისა, და ზოგადად, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე;



- შეგვესწავლა განათლების ხარისხის მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროცესში სტუდენტთა ჩართულობის ქცევითი, კოგნიტური და ემოციური კომპონენტები;
- აღნიშნული ამოცანების განსახორციელებლად, შეგვემუშავებინა თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის შესაბამისი ინსტრუმენტები;
- გამოგვევლინა სტუდენტთა რეკომენდაციები განათლების ხარისხის მართვის პროცესში სტუდენტთა ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით;
- შეგვემუშავებინა სტუდენტთა მონაწილეობისა და აქტიური ჩართულობის გათვალისწინებით, განათლების ხარისხის მართვისა და მისი ორგანიზაციული განვითარების მოდელი და რეკომენდაციები მართვისა და განათლების თანამედროვე მიდგომებისა და ტენდენციების შესაბამისად.

**კვლევის ობიექტია** საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განათლების ხარისხის მართვის სისტემა, ხოლო **კვლევის საგანია** სტუდენტთა ჩართულობა განათლების ხარისხის მართვისა და განვითარების პროცესში. თვისობრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (საქართველო), თბილისის ღია უნივერსიტეტისა (საქართველო) და კორუნას უნივერსიტეტის (ესპანეთი) ბაკალავრიის სტუდენტებმა და ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებმა; ხოლო რაოდენობრივმა კვლევამ მოიცვა საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიის სტუდენტები.

### 3. უმაღლესი განათლების ხარისხის მართვისა და მისი ორგანიზაციული განვითარების შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ სამაგიდე კვლევა და ინტერვიუები სამიზნე ჯგუფთან, ხოლო ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი რაოდენობრივი კვლევის განსახორციელებლად.

#### 3.1. მეთოდოლოგია

კვლევის პირველ ეტაპზე, მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა შემდეგი საკითხები:

- ორგანიზაციის მართვისა და განვითარების თეორიები და კვლევები;
- უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და მასში სტუდენტთა ჩართულობის შესახებ არსებული თეორიები, კვლევები, საერთაშორისო პრაქტიკა, სტანდარტები, საერთაშორისო რეგულაციები და მოგვეხდინა მათი ანალიზი;
- სტუდენტთა ჩართულობის შესახებ საგანმანათლებლო დაწესებულების განათლების ხარისხის მართვის კუთხით საქართველოს რეალობა, ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობა;
- საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის მართვისა და სტუდენტთა ჩართულობის სპეციფიკა და რეგულაციები;
- განათლების ხარისხის მართვის პროცესში სტუდენტთა ჩართულობის ტიპები და გამოცდილება;

- არსებული ლიტერატურისა და კვლევების საფუძველზე, სტუდენტთა განათლების ხარისხის მართვით საქმიანობაში ჩართულობის გავლენა მათი სწავლის მოტივაციის ზრდაზე;
- არსებული ლიტერატურისა და კვლევების საფუძველზე, სტუდენტთა განათლების ხარისხის მართვით საქმიანობაში ჩართულობის დადებითი და უარყოფითი ფაქტორები.

აღნიშნული ამოცანების განსახორციელებლად, გამოყენებულ იქნა სამაგიდე კვლევის მეთოდი, რომლის შედეგადაც მივიღეთ თემისთვის მნიშვნელოვანი და საჭირო თვისებრივი ინფორმაცია და მონაცემები.

### 3.2. უმაღლესი განათლების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების თეორიები

უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა და განათლების ხარისხის მართვა ძალზე აქტუალური საკითხია დღევანდელ რეალობაში. განათლება უმნიშვნელოვანესი სფეროა როგორც მსოფლიო, ისე ქართული საზოგადოებისთვის. განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები ყოველთვის განსაკუთრებული კრიტიკის ქვეშ ექცეოდა და საზოგადოების მხრიდან დიდ ყურადღებას იმსახურებდა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე მუდმივ განახლებასა და ორგანიზაციულ ცვლილებებს საჭიროებს; ამიტომაც, მნიშვნელოვანია, მისი მართვის პროცესში გამოყენებულ იქნას შესაბამისი მართვისა და ორგანიზაციული განვითარების თეორიები, რომლის გარკვეული ნაწილი ჩვენს ნაშრომშია განხილული.

ორგანიზაციული მართვის თეორიების განხილვისას, პირველ რიგში, აღნიშნული დისციპლინის ერთ-ერთი მამამთავრის ფრედერიკ ტეილორის ნაშრომები უნდა იქნას მოყვანილი. იგი საკუთარ კოლეგებთან ერთად ფიქრობდა, რომ ეკონომიკური ფაქტორებით მოტივირებულ მოხელეს, რომელსაც ნაკლებად აინტერესებს ფსიქოლოგია, მუდმივად სჭირდება მითითებების მიცემა. ისინი აღწერდნენ დავალებული სამუშაოს შესრულების უსწრაფეს მეთოდს. ტეილორმა და მისმა მიმდევრებმა შეისწავლეს დავალებული სამუშაო და მის შესასრულებლად საჭირო დრო, რათა მოეძებნათ სამუშაოს შესრულების ყველაზე ეფექტიანი გზა. მიუხედავად იმისა, რომ ტეილორის ნაშრომში არ იყო აღწერილი ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური ცვლადები, მან დაამტკიცა, რომ სწორი დაგეგმარებისა და მითითებების გაცემის გზით, შესაძლებელია დიდი მოცულობის სამუშაოს უფრო ეფექტიანად შესრულება (Wayne K. H. & Cecil G.M., 2013).

ჰენრი ფეიოლი, ტეილორის მსგავსად, მეცნიერული მართვის მიმდევარი გახლდათ. ფეიოლის მიხედვით, ადმინისტრირება შედგება შემდეგი ხუთი ფუნქციისგან: დაგეგმვა, ორგანიზება, მითითებების მიცემა, კოორდინაცია და კონტროლი. ხოლო მოგვიანებით, ლუთერ გულიკმა აღნიშნული ფუნქციები შვიდამდე გაზარდა, ესენია: დაგეგმვა, ორგანიზება, თანამშრომლების შერჩევა, მითითებების მიცემა, კოორდინაცია, ანგარიშვალდებულება და ბიუჯეტის შედგენა (Wayne K. H. & Cecil G.M., 2013, გვ. 29-30).

გულიკის მიხედვით, ორგანიზაციაში დეპარტამენტის/განყოფილების შექმნა უნდა ეფუძნებოდეს საერთო მიზნების, უნარ-ჩვევების, გამოცდილებისა და ლოკაციის შესაბამისად ადამიანთა დაჯგუფებას, რათა მათ ერთად შეძლონ კომფორტული და ეფექტიანი მუშაობა (Wayne K. H. & Cecil G.M., 2013, გვ. 30).

აღნიშნული თეორიის დაკავშირება შესაძლებელია უმაღლესი განათლების ხარისხის მართვის პროცესთან. კერძოდ, უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულების წარმომადგენლებსა და სტუდენტებს უნდა აერთიანებდეს მთავარი მიზანი, საგანმანათლებლო პროცესი, ჯგუფური მუშაობა, აგრეთვე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებსა და სტუდენტებს არა მხოლოდ ადილმდებარეობა და გეოგრაფიული არეალი გააჩნიათ საერთო, არამედ ისინი მინიმუმ ოთხი წლის განმავლობაში ატარებენ დროის უმეტეს ნაწილს ერთ სივრცეში (Wayne K. H. & Cecil G.M., 2013, გვ. 30).

მერი პარკერ ფოლეთი ერთ-ერთი პირველია, ვინც ურთიერთობის კვლევის მიმართულებაზე მუშაობდა. მას შექმნილი აქვს მრავალი ნაშრომი ადმინისტრირების ჰუმანური კომპონენტის შესახებ. მისი აზრით, “ყველა ორგანიზაციის ფუნდამენტური პრობლემა დინამიური და ჰარმონიული ურთიერთობების ჩამოყალიბება და შენარჩუნებაა”.

ჩიკაგოში, ჰოთორნის ქარხანაში ჩატარებული არაფორმალური ჯგუფების კვლევა ადამიანებს შორის ურთიერთობის მიმართულებით არანაკლებ მნიშვნელოვანია, რადგანაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არაფორმალური დაჯგუფებები მნიშვნელოვანია ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით. არაფორმალურ ურთიერთობებში იგულისხმება მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბება და ერთი ამოცანის ირგვლივ მომუშავე ადამიანების გამოკვეთილი ჯგუფების შექმნა. არაფორმალური ნორმები მეტად მნიშვნელოვანია ასეთი ჯგუფის ქცევისა და გაერთიანების თვალსაზრისით. აღნიშნული ურთიერთობების მართვის თეორიის განხორციელება შესაძლებელია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაშიც, რათა მოხდეს თანამშრომლობა და ურთიერთკავშირი აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალსა და სტუდენტებს შორის, რაც მიზნად ისახავს მათი მუშაობის თანხვედრას, და შემდგომში ერთობლივი აქტივობების დაგეგმარებასა და განვითარებას.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწორედ ზემოთ აღნიშნული მართვის პროცესი ქმნის შემდგომში პროდუქტს - რომელსაც განათლების ხარისხი ეწოდება. იმის გამო, რომ ლიტერატურაში, კვლევებსა და ზეპირმეტყველებაში ხშირად განათლების ხარისხთან დაკავშირებით ორი ტერმინი გამოიყენება - განათლების ხარისხის მართვა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფა - მნიშვნელოვანია მათი მეცნიერული განსაზღვრებების შედარება. მართვა ეს არის საქმის შესრულება სხვა ადამიანების ჩართულობით (ადმინისტრირება ხშირად მართვასთან ასოცირდება, თუმცა, იგი გულისხმობს მთლიანი ორგანიზაციის ადმინისტრირებას, რაც მოიცავს ორგანიზაციის პოლიტიკის, მიზნებისა და ამოცანების დასახვა/შესრულებას), რომელიც მოიცავს მიმართულების მიცემასა და ორგანიზაციაში სხვადასხვა ოპერაციების ხელმძღვანელობას. მართვის კომპონენტებია დაგეგმა, ორგანიზირება, გაძღოლა, მოტივაცია, კონტროლი, კოორდინაცია და გადაწყვეტილების მიღება. ხოლო განათლების ხარისხის უზრუნველყოფა ხელს უწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას სტანდარტების შესაბამისობაში მოყვანას (Surbhi S, 2017).

ორგანიზაციული ეფექტიანობა და ხარისხი ის ფუნდამენტური ხასიათის პრობლემებია, რომლებსაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაცია პრაქტიკულ საქმიანობაში აწყდება. განათლების ხარისხი პროფესორების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დამფინანსებლების, ან განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელი პირების მთავარი საზრუნავია. მე-20 საუკუნის უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში ორგანიზაციული ეფექტიანობა ორგანიზაციის თეორიის მთავარი ამოსავალი კონცეფცია გახლდათ. თუმცა, მოგვიანებით, კიმ ს. კამერონმა და დევიდ ა. ვეტენმა ორგანიზაციის ეფექტიანობა ხარისხით ჩაანაცვლეს. ეს შემოტრიალება კარგად ჩანს სხვადასხვა ნაშრომებში, სადაც ყურადღება გამახვილებულია ისეთ სიტყვებზე,

როგორცაა "ხარისხი", "საუკეთესო", "მუდმივი სრულყოფა" და "ტრანსფორმაცია" და არ არის საუბარი ორგანიზაციულ ეფექტიანობაზე. ბოლო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შეფასებასა და სტანდარტებს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებები სულ უფრო ინტენსიურად ისწრაფვიან ეფექტიანობისკენ. მიუხედავად იმისა, რომ "ეფექტიანობა" და "ხარისხი" სინონიმები არ არის, ისინი ორგანიზაციული ტიპის საქმიანობას აღწერენ და განმარტავენ. ორივე ტერმინი საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის განსხვავებული, მაგრამ იმავდროულად, ურთიერთშემავსებელი ფაქტორებია (Wayne K. H. & Cecil G.M., 2013, გვ. 377-380).

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ორგანიზაციული ეფექტიანობის მიზნის მოდელის შემთხვევაში, შტეერი განასხვავებს ოფიციალურ და ოპერატიულ მიზნებს. 1) ოფიციალური მიზნები განათლების საბჭოს მიერ იმ მიზნის ოფიციალური დეკლარირებაა, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებების მისიის მახასიათებლებს უკავშირდება. ასეთი ტიპის მიზნების ნახვა შესაძლებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სხვადასხვა პუბლიკაციებში. 2) ოპერატიული მიზნები საგანმანათლებლო ორგანიზაციის ჭეშმარიტ განზრახვებს ასახავენ. ოპერატიული მიზნები წარმოაჩენენ საგანმანათლებლო დაწესებულებების წინაშე მდგარ რეალურ ამოცანებსა და საქმიანობას. ზოგიერთი ოპერატიული მიზნის შესახებ ინფორმაცია საზოგადოებისათვის ადვილად ხელმისაწვდომია, მაგალითად, საგანმანათლებლო დაწესებულებების ვებ-გვერდზე, და სხვა (Campbell, 1997; Scott, 1992).

ფართოდ გავრცელებული განმარტების თანახმად, ხარისხი აჩვენებს თუ რამდენად აკმაყოფილებს ან აჭარბებს ესა თუ ის პროდუქტი ან მომსახურება მომხმარებლის ან კლიენტის მოლოდინს. იმ ადამიანების გადმოსახედიდან, რომლებიც განსაზღვრავენ განათლების პოლიტიკას, უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულების შემთხვევაში ხარისხი აჩვენებს თუ რა დონეზეა დაკმაყოფილებული ან გადაჭარბებული ის სახელმწიფო სტანდარტები, რომლებიც მოწოდებულია აკადემიური მოსწრების ასამაღლებლად. ხარისხის ცნება გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ შედეგი და საბოლოო პროდუქტი. ხარისხი მთელი სისტემის, და მისი ყველა კომპონენტის ხარისხს გულისხმობს. აქედან გამომდინარე, მკვლევარებსა და პრაქტიკოსს სპეციალისტებს აინტერესებთ არა მხოლოდ შედეგების ხარისხი, არამედ ხარჯი (რესურსები) და პროცესის მართვაც. ხარისხის კონცეფციის განვითარების ყველაზე პოპულარულ მაგალითს ხარისხის ერთიანი მართვა (Total Quality Management) წარმოადგენს.

ზარზარა ა. სპენსერი (1994) ხარისხის ერთიან მართვას (TQM) ახასიათებს როგორც მართვის იდეების ყოველმხრივ სისტემას, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ორგანიზაციის ხარისხს და ხელს უწყობს მის ამაღლებას. ხარისხის ერთიანი მართვის მიზანს წარმოადგენს ხარისხის ამაღლების გადაქცევა ორგანიზაციის მართვის პრიორიტეტად, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის გრძელვადიან და ეფექტიან ფუნქციონირებას. ხარისხის ერთიანი მართვა, ასევე, არღვევს საზღვრებს ორგანიზაციებსა და გარემოს შორის, და ითვალისწინებს იმ მონაწილეების ჩართულობას ორგანიზაციულ პროცესებში, რომლებიც ადრე აუტსაიდერებად ითვლებოდნენ (მაგ. მშობლები, პოლიტიკის განმსაზღვრელები). ხარისხის მართვის კონცეფციის შექმნასა და განვითარებაში უდიდესი წვლილი მიუძღვით ვ. ედუარდს დემინგს (1986), ჯოზეფ მ. იურანს (1989) და კაორუ იშიკავას (1985) (Campbell, 1997 & Scott, 1992).

სწორედ ხარისხის ერთიანი მართვის ერთ-ერთი პრინციპიდან გამომდინარე, რომელიც ორგანიზაციულ პროცესებში ჩართულობას უსვამს ხაზს, შეგვიძლია დადებით და მნიშვნელოვან ასპექტად დავახასიათოთ სტუდენტების



ჩართულობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, კერძოდ კი, ხარისხის მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროცესში.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია სტუდენტთა ჩართულობისა და მისი მახასიათებლების კვლევა, რომლის დიდი ნაწილი ამერიკელი განათლების ფსიქოლოგის ბენჯამინ ბლუმის თეორიას ეყრდნობა. ბლუმის მიხედვით, განათლების ხარისხის მართვის პროცესში ჩართულობა უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ინერტული მონაწილეობა. ჩართულობისას, საჭიროა, სტუდენტის პიროვნული მოტივაცია, მიზანი, გრძნობა და შეგრძნება, რათა შედეგად არ მივიღოთ მხოლოდ პროცესებში უნებლიე მონაწილეობა. სტუდენტთა ჩართულობის სახეებია:

- ქცევითი ჩართულობა - სტუდენტები, ვინც საქმით არიან ჩართულნი მართვის პროცესებში, ძირითადად აკმაყოფილებენ ქცევით ნორმებს, როგორცაა დასწრება და მართვით საქმიანობაში მონაწილეობა;
- ემოციური ჩართულობა - სტუდენტები, ვინც ემოციურად არიან ჩართულნი, გააჩნიათ ეფექტური რეაქცია, როგორცაა ინტერესი, საკუთრების განცდა და დადებითი დამოკიდებულება საქმიანობისადმი;
- კოგნიტური ჩართულობა - კოგნიტურად ჩართული სტუდენტები, ყურადღებას ამახვილებენ სასწავლო პროცესზე, დამატებით საჭიროებებზე და სიამოვნებით იღებენ ნებისმიერ გამოწვევას (Bloom, 1956).

### 3.3. უმაღლესი განათლების მართვისა და მასში სტუდენტთა ჩართულობის ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობა და რეგულაციები

უმაღლესი განათლების ყველაზე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო წყაროა “საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ”, რომლის საფუძველზეც

ხდება ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელება. აღნიშნული კანონი აწესრიგებს საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესს, უმაღლესი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, ადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესს, ასევე ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პრინციპებს. კანონი აღწერს განათლების კანონის ზოგად დებულებებს, უმაღლესი განათლების სისტემის მართვის შესახებ ინფორმაციას, სტუდენტებისა და პროფესორების უფლება-მოვალეობებს, განათლების სისტემის თანამედროვე მოთხოვნებსა და სხვა. კანონში, აგრეთვე, მოყვანილია განათლების ხარისხის მართვის ასპექტები და სტუდენტთა როლი საგანმანათლებლო პროცესში, რაც მნიშვნელოვანია ჩვენი კვლევისთვის. აღნიშნული კანონის საფუძველზე მოხდა კვლევის თეორიული საწყისების ანალიზი, პრობლემისა და ამოცანების განსაზღვრა, და შემდგომ უკვე კვლევის პროცესის დაგეგმა/განხორციელება.

უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მე-15 მუხლი აღწერს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემას. ზემოთ ნახსენები მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოები (მმართველი სუბიექტები) არიან: აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური“. სწორედ ეს უკანასკნელი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, მისი ფუნქცია/მოვალეობები, და მთელს ამ პროცესში სტუდენტთა ჩართულობა წარმოადგენს კვლევის ძირითად ობიექტს. ეს ყოველივე კი ამავე კანონით რეგულირდება. ასე მაგალითად, 25-ე მუხლში განმარტებულია უმაღლესი

საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოვალეობები და სამუშაო პრინციპები, კერძოდ, მათი ფუნქციებია: აკადემიური პერსონალის განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სისტემატური შეფასება, რომელშიც უნდა მონაწილეობდნენ დაწესებულების სტუდენტები, ხოლო მისი შედეგები საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის შემუშავება; საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის სამსახურებთან თანამშრომლობა ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად; სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფა, სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, საკრედიტო სისტემა და სხვა) დანერგვა; ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადება. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს წარდგინებით; ხოლო აღნიშნულ სამსახურსა და ძირითად საგანმანათლებლო ერთეულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს შორის თანამშრომლობა წესრიგდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით (უმაღლესი განათლების შესახებ კანონი, 2014).

ამავე კანონის მე-6 თავი სტუდენტურ უფლებებსა და მოვალეობებს აღწერს. 43-ე მუხლის პირველი ზ პუნქტის მიხედვით, სტუდენტს შეუძლია „თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას“, რაც

იმის მანიშნებელია, რომ სტუდენტს უფლება აქვს ფლობდეს სრულყოფილ ინფორმაციას, გააჩნდეს და წარადგინოს საკუთარი მოსაზრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის სამსახურთან როგორც მართვის, ისე საგანმანათლებლო პროცესებთან დაკავშირებით (უმაღლესი განათლების შესახებ კანონი, 2014).

აღნიშნული კანონი აღწერს არა მარტო რიგითი სტუდენტების მოვალეობებს, ჩართულობის ვალდებულებასა და უფლებამოსილებას, არამედ კანონში საუბარია სტუდენტთა თვითმმართველობის უფლებებზე. უმაღლესი განათლების შესახებ კანონის თანახმად, სტუდენტური თვითმმართველობის წევრი ვალდებულია ხელი შეუწყოს სხვა სტუდენტების ჩართულობას, შეიმუშაოს რეკომენდაციები განათლების ხარისხის განვითარების მიზნით. კერძოდ, კანონის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სტუდენტური თვითმმართველობის წევრები, თავისი დებულების შესაბამისად, უნდა უზრუნველყოფდეს სტუდენტთა მონაწილეობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში; ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტთა უფლებების დაცვას; ისინი ირჩევენ წარმომადგენლებს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოში. სტუდენტთა თვითმმართველობა უფლებამოსილია შეიმუშაოს წინადადებები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელთაც წარუდგენს შესაბამის ორგანოს (უმაღლესი განათლების შესახებ კანონი, 2014).

აღნიშნული დოკუმენტი „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი“ უზენაესია, შესაბამისად, მის საფუძველზე უნდა მოხდეს კვლევისა და ანალიზის ჩატარება, ხოლო შემდგომ კანონთან შესაბამისობაში უნდა განხორციელდეს ნებისმიერი ქმედებება, ცვლილებება თუ რეკომენდაცია საქართველოს განათლების სისტემაში.

მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელი ვებ-გვერდია [www.eqe.ge](http://www.eqe.ge), რომელიც საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ეკუთვნის. ცენტრი 2010 წლის 1 სექტემბერს “განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე დაარსდა. ცენტრი არის სსიპ - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის უფლებამონაცვლე. ცენტრს ვებ-გვერდის საშუალებით გამოქვეყნებული აქვს სტრატეგია და მისია, რაც ქვეყნის საგანმანათლებლო პოლიტიკის განმსაზღვრელია. ამავე ვებ-გვერდზე შესაძლებელია მოვიძიოთ სხვადასხვა სამართლებრივი აქტები და დადგენილებები განათლების ხარისხის მართვის შესახებ. მაგალითად, განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტის „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიული გეგმა 2016-2020“ მიხედვით, ცენტრი ორიენტირებულია მოახდინოს განათლების დაწესებულებათა მხარდაჭერა ხარისხის საქმიანობის განვითარების მიზნით (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიული გეგმა 2016-2020, 2016).

ზემოთ ნახსენებ დოკუმენტში, რომელიც ფაქტობრივად, საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების გეგმას წარმოადგენს, და საქართველოში განათლების ხარისხის განვითარების ხუთ პუნქტიან სტრატეგიას ასახავს, ნახსენები არაა სტუდენტების უფლებამოსილება, უფლებები, მოვალეობები, მათი ხარისხის მართვის საქმიანობაში ჩართულობის ზრდის გზები, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულის ვალდებულება ყველა ევროპულ სივრცეში მოღვაწე საგანმანათლებლო სისტემასა და დაწესებულებას გააჩნია. ამის ერთ-ერთი დასტური კი ბოლონის პროცესი და ამ პროცესში მონაწილე ქვეყნების განათლების მინისტრების მიერ ხელმოწერილი დოკუმენტები და კომუნიკებია. უმაღლესი განათლების მართვის პროცესში სტუდენტთა ჩართულობა ბოლონის

პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. 2010 წელს გამართული, ოსლოს კონფერენციის მთავარი თემაც სწორედ უმაღლესი განათლების ხარისხის მართვაში სტუდენტების მონაწილეობა გახლდათ (ოსლოს კონფერენციის კომუნიკე, 2010).

მნიშვნელოვანი დოკუმენტია პრალაში გამართული კონფერენციის კომუნიკე, რომლის უმთავრესი აქცენტი ჩვენი კვლევის საკითხებზე - განათლების ხარისხის განვითარებასა და სტუდენტების ჩართულობაზეა გაკეთებული. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, ბოლონის პროცესის მონაწილე მინისტრებმა განაცხადეს, რომ „სტუდენტებმა აუცილებლად მონაწილეობა უნდა მიიღონ ორგანიზაციის საქმიანობაში, და გავლენა მოახდინონ უნივერსიტეტის განათლების შინაარსზე“, და რომ „სტუდენტები არიან განათლების სისტემის სრული წევრები“. აღნიშნულ მოსაზრებას ევროპის ქვეყნების განათლების მინისტრებმა დაუჭირეს მხარი, მათ შორის არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროც, როგორც ბოლონის პროცესის მონაწილე ქვეყანა (პრალის კონფერენციის კომუნიკე, 2001).

ბელგიის დედაქალაქ ბრუსელში, 2015 წელს შექმნილი დოკუმენტი „ხარისხის მართვის სტანდარტები და გზამკვლევი ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო სფეროში“ ორიენტირებულია განათლების ხარისხის მართვაზე, რომელიც დაკავშირებულია უმაღლეს განათლებაში სწავლასა და სწავლებაზე, მაგალითად, როგორცაა საგანმანათლებლო გარემო, კვლევა და ინოვაციები. აღნიშნული დოკუმენტის ერთ-ერთი მოთხოვნაა სტუდენტთა ჩართულობა ხარისხის მართვის პროცესში, მათი აქტიურობა და სტუდენტთა აზრის გათვალისწინება (ხარისხის მართვის სტანდარტები და გზამკვლევი ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო სფეროში, 2015).

2005 წელს ევროპის ქვეყნების განათლების სამინისტროების წარმომადგენლებმა შეიმუშავეს დოკუმენტი „ევროპის ქვეყნების უმაღლესი განათლების ხარისხის მართვის სტანდარტები და გაიდლაინი“, რომელიც ორიენტირებულია განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. 2005 წლიდან მოყოლებული, ბოლონის პროცესის შედეგად, ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემებმა განიცადეს პროგრესი, რაც არსებული გაიდლაინის წარმატებაზე მიანიშნებს. 2012-სა და 2015 წლებში მოხდა დოკუმენტის ჩასწორება და შენიშვნების გათვალისწინება. დოკუმენტის მიზანია უზრუნველყოს განათლების ხარისხის საერთო სტანდარტები ევროპის ყველა ქვეყნისთვის. აღნიშნული დოკუმენტი გამოიყენება საგანმანათლებლო დაწესებულების განათლების ხარისხის სამსახურის მიერ, როგორც სარეკომენდაციო დოკუმენტი, შიდა და გარე ხარისხის მართვის სისტემებში. წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია 2015 წელს მიღებული განათლების ხარისხის მართვის სტანდარტები და მეთოდოლოგია.

აღნიშნულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ უმაღლესი განათლება, კვლევა და ინოვაციური ტექნოლოგიები უმთავრეს როლს თამაშობს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ ზრდასა და კონკურენტუნარიანობის განვითარებაში. ევროპული ქვეყნების სურვილი, უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა გახადონ მზრდად ცოდნაზე ორიენტირებული, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების უმთავრესი კომპონენტია. უმაღლეს განათლებაზე ფართო წვდომა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს საშუალებას აძლევს გამოიყენოს სხვადასხვაგვარი ინდივიდუალური გამოცდილებები. უმაღლესი განათლების მრავალფეროვნებისა და მზრდადი მოლოდინებიდან გამომდინარე, საჭიროა, სისტემამ მოახდინოს ფუნდამენტური ცვლილებები, მაგალითად, გამოიყენოს სწავლისა და სწავლების სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა. უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუტში, ცვლილებების განხორციელების პროცესში,

განათლების ხარისხის მართვის როლი ძალზე მნიშვნელოვანია, რადგანაც იგი უზრუნველყოფს სტუდენტის კვალიფიკაციას, უნივერსიტეტის განვითარებისა და პროგრესის პარალელურად (უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია (ENQA), 2015).

უმაღლესი განათლების მიზანია მოამზადოს სტუდენტები აქტიურ მოქალაქეებად, მათი კარიერული წინსვლისთვის (ხელი შეუწყოს მათი დასაქმების უნარიანობის ზრდას), პირადი განვითარებისთვის, შექმნას ფართო ცოდნის ბაზა და წახალისოს კვლევა და ინოვაციური განვითარება. შესაბამისად, სხვადასხვა პრიორიტეტებიდან გამომდინარე, უმაღლესი განათლების ხარისხი შეიძლება აღქმულ იყოს სხვადასხვაგვარად. მისი მართვის პროცესში ყურადღება უნდა გამახვილდეს მის განსხვავებულ პერსპექტივებზე. ხარისხის განმარტება ადვილი არაა, იგი ძირითადად ლექტორის, სტუდენტისა და ინსტიტუციური საგანმანათლებლო გარემოს ურთიერთქმედებაა, რომელიც მოიცავს სასწავლო პროგრამებს, სწავლის შესაძლებლობებსა და ტექნოლოგიურ უზრუნველყოფას. უმაღლესი განათლების ხარისხის მართვის სისტემა ორ ძირითად მიზანს ეყრდნობა, ესაა ანგარიშვალდებულება და გაუმჯობესება. სწორედ ეს ორი ურთიერთდაკავშირებული მიზანი ერთად ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ხარისხის მართვის კულტურის გაუმჯობესებას დაწყებული სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის, დამთავრებული ინსტიტუტის ადმინისტრაციითა და მენეჯმენტით (უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია (ENQA), 2015).

დოკუმენტში „ევროპის ქვეყნების უმაღლესი განათლების ხარისხის მართვის სტანდარტები და გაიდლაინი“, ხარისხის მართვა და მისი უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად დაფუძნებულია სტუდენტთა ჩართულობასა და მათ მონაწილეობაზე, კერძოდ, დოკუმენტში ნათქვამია, რომ უმაღლესი



საგანმანათლებლო დაწესებულება პასუხისმგებელია ხარისხის მართვაზე; ხარისხის მართვა ვალდებულია უზრუნველყოს უმაღლესი განათლების სისტემების, ინსტიტუტების, პროგრამებისა და სტუდენტების მრავალფეროვნება; ხარისხის მართვა ხელს უნდა უწყობდეს ხარისხის კულტურის განვითარებას; და ბოლოს, ჩვენი თემისთვის უმთავრესი - ხარისხის მართვის სამსახურმა უნდა გაითვალისწინოს სტუდენტების, ყველა დაინტერესებული პირისა და საზოგადოების მოლოდინები (უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია (ENQA), 2015, გვ. 8).

აღნიშნული დოკუმენტის საბოლოო, 2015 წლის გამოცემა უახლოესი და განახლებულია, რომელიც მოიცავს განათლების მართვის თანამედროვე მეთოდებსა და ტექნიკას; შესაბამისად, მნიშვნელოვანია, საქართველომ, როგორც ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ნაწილმა, შეასრულოს დოკუმენტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

ინგლისის ქვეყნის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს მიმოხილვა“, რომელიც ჯერ კიდევ 2005 წელს შეიქმნა, ნათქვამია, რომ სტუდენტების ჩართულობა ხარისხის მართვის პროცესში მნიშვნელოვანია, რათა მოხდეს სტუდენტის გამოცდილებაზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფა და განვითარება სწორი მიმართულებით. ამავე დოკუმენტის მე-8 რეკომენდაციაში მოყვანილია, რომ „სტუდენტების მონაწილეობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აუდიტისა და მონიტორინგის პროცესში წარმატებული და ფასეულია, ამიტომაც, უნდა მოხდეს აღნიშნულის წახალისება და მხარდაჭერა ყველა რგოლის მიერ.“ ინგლისში, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ბევრ საგანმანათლებლო დაწესებულებას სტუდენტებთან მჭიდრო კავშირი აქვს (ინგლისის უმაღლესი განათლების საბჭო (HEFCE), 2005, გვ. 16, 25).

აგრეთვე, შოტლანდიაში შემუშავებულ დოკუმენტში „ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო: შოტლანდია“ ხაზგასმულია სპეციალურ გამოკითხვებში სტუდენტების ჩართულობის მნიშვნელობა, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტების გამოცდილების გზით ხარისხის მართვის სტრატეგიის გაუმჯობესებას. ასე მაგალითად, დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, „სტუდენტების ჩართულობით იგზავნება სწორი და ნათელი სიგნალი ყველა მიმართულებით, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტების სწავლის გამოცდილების გაუმჯობესებას, შესაბამისად, სტუდენტების მოსაზრებები სერიოზულად უნდა იქნეს აღქმული და გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ“ (QAA Scotland, 2012, გვ. 8).

### 3.4. საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის მართვისა და სტუდენტთა ჩართულობის რეგულაციები

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში, განათლების ხარისხის მართვით საქმიანობაში ჩართულია უნივერსიტეტის თითქმის ყველა რგოლი, ესენია: დეკანატები, ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური, წარმომადგენლობითი და აკადემიური სენატი, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებებს, და რექტორი, ვინც უკვე შემდგომ გამოსცემს ბრძანებას. ყველა აქ მოყვანილ სამსახურს თავისი ფუნქცია გააჩნია, რომელიც დებულებითაა განსაზღვრული. სახელმწიფო უნივერსიტეტებს, მათი სიდიდიდან გამომდინარე, ცენტრალური ხარისხის მართვის სამსახურის გარდა, დეპარტამენტს ფაკულტეტური წარმომადგენლებიც ჰყავთ, რომელიც ცენტრალური სამსახურის მიმართაა ანგარიშვალდებული; ხოლო კერძო უნივერსიტეტის შემთხვევაში,

ხარისხის უზრუნველყოფის მხოლოდ ერთი დეპარტამენტია, რომელიც ფაკულტეტების დეკანთან ერთად ახორციელებს საკუთარ საქმიანობას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნივერსიტეტის განვითარებაზე უნდა იზრუნოს სტრატეგიული გეგმის შემუშავებით, კვლევებით, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვით, განვითარებითა და სხვ. განათლების ხარისხის სამსახურის უფლება-მოვალეობებია: სილაბუსებისა და კურიკულუმების სტანდარტთან შესაბამისობის დადგენა, ახალი საგნის დამტკიცება, საგნის ტექნიკური (და არა შინაარსობრივი) შემოწმება, უცხოეთში გავლილი კურსების კრედიტების აღიარება, სტუდენტების მიერ შევსებული შეფასების კითხვარის შედეგების შესახებ ლექტორებისთვის უკუკავშირის მიწოდება, საზღვარგარეთ სასწავლებლად მიმავალი სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევა, სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფა სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის გზით, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფის, სწავლის ხარისხის ამაღლებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისთვის შესაბამისი ღონისძიებების შეიმუშავება და გატარება, საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული მონიტორინგი და მათი გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციების შემუშავება, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის სისტემატური მონიტორინგი, სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების მიზნით წინადადებების შემუშავება და მათი საბჭოს თავმჯდომარესა და რექტორისთვის წარდგენა, სტუდენტთა მობილობის რეგულირების პროცესში მონაწილეობა, და ბოლოს, უმაღლესი განათლების საერთო ევროპულ სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციისა და ბოლონის პროცესის პრინციპების განხორციელებისთვის ხელის შეწყობა.

საქართველოში არსებულ უნივერსიტეტებს, როგორც ევროპის უმეტეს უნივერსიტეტს, გააჩნია ორი მიმართულება, სადაც სტუდენტის ჩართულობა მნიშვნელოვანია. ესენია ხარისხის შიდა უზრუნველყოფა და კურიკულუმს გარეშე აქტივობები. უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს უფლება აქვს ჩაერთოს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესში, ეს ჩართულობა კი უნდა განხორციელდეს ორგანიზებულად. აგრეთვე, უნივერსიტეტს (სახელმწიფო უნივერსიტეტის შემთხვევაში, აგრეთვე ფაკულტეტსაც) ჰყავს საბჭო, რომელიც ფაკულტეტის შექმნის პროცესში ყალიბდება, იგი გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის/ფაკულტეტის განვითარების მიზნით. საბჭოს წევრების გარკვეული ნაწილი სტუდენტები/სტუდენტური თვითმართველობის წევრები გახლავთ, რომლებიც ჩართულნი უნდა იყვნენ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, მოდიფიცირებისა და განათლების ხარისხის მართვის სხვა საკითხებში.

### 3.5. უმაღლესი განათლების მართვისა და მასში სტუდენტთა ჩართულობის კვლევები

2008 წელს განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტმა ჩაატარა კვლევა „უმაღლესი განათლების რეფორმის შედეგები (აღწერითი ანგარიში ბოლონიის პროცესის ინდიკატორების მიხედვით)“, რომელიც განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაკვეთით. კვლევის მიზანი იყო, ბოლონიის პროცესის წარმატების შეფასების ეროვნული ანგარიშის ფორმაში არსებული ინდიკატორების შესაბამისად, ინსტიტუციურ დონეზე უმაღლესი განათლების რეფორმის აღწერა და

უმაღლესი განათლების სფეროში ამ ეტაპზე არსებული პრობლემების იდენტიფიცირება. აღნიშნული კვლევის აქტუალობა და მეცნიერული მნიშვნელობა განპირობებულია კვლევის ობიექტების რაოდენობიდან გამომდინარე, რადგანაც ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია ეყრდნობა საქართველოში აკრედიტირებული ყველა უმაღლესი სასწავლებლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას. აგრეთვე, გათვალისწინებულია სფეროს ექსპერტების, უმაღლესი სასწავლებლების რექტორების, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მოსაზრებები. კვლევის მცირე ნაწილი ეთმობა სტუდენტთა ჩართულობას, სადაც ნათქვამია, რომ სტუდენტები ჩართულნი არიან ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სააგენტოების მართვაში. კერძოდ, აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის საბჭოს ცხრა წევრიდან მხოლოდ ერთი სტუდენტი - საქრათველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტია ჩართული. აღნიშნული სტუდენტი ჩართულია მხოლოდ გარე შეფასების დროს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სადაც სტუდენტი წარმოდგენილია, როგორც ოფიციალური წევრი. თუმცა, აღნიშნულ კვლევაში არაფერია ნახსენები სტუდენტის ჩართულობის შესახებ ხარისხის შიდა - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მმართველობაში (უმაღლესი განათლების რეფორმის შედეგები (აღწერითი ანგარიში ბოლონის პროცესის ინდიკატორების მიხედვით), 2008).

განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებით, რომელიც ფოკუს ჯგუფის მეთოდოლოგიის გამოყენებით განხორციელდა, საქართველოში სტუდენტები რეგულარულად მონაწილეობენ როგორც პროგრამების, ასევე სასწავლო პროცესისა და აკადემიური პერსონალის შეფასებაში. კვლევამ აჩვენა, რომ ზოგიერთ შემთხვევებში, სტუდენტების უარყოფითი შეფასება პროფესორის შეცვლის

მიზეზიც გამხდარა. თუმცა, სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ბევრი გულწრფელად არ ავსებს მათთვის მომზადებულ კითხვარს - ზოგი ინდიფერენტულობის, ზოგიც კი დროის უკმარისობის გამო: “თითო თემაზე 4-5 ფურცლიანი კითხვარებია, ამიტომ ყველას არ სურს 40 ფურცლის შევსება“ (უმაღლესი განათლების რეფორმის შედეგები (აღწერითი ანგარიში ბოლონიის პროცესის ინდიკატორების მიხედვით), 2008).

შედარებით ახალი კვლევაა „უმაღლესი განათლების სტუდენტთა კმაყოფილებისა და სწავლის პროცესში ჩართულობის კვლევა“, რომელიც 2014 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე განხორციელდა. კვლევის ობიექტები საქართველოში არსებული 10 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები გახლდათ. კვლევა მოიცავდა სწავლებისა და სწავლის რამდენიმე მნიშვნელოვანი კრიტერიუმის ირგვლივ საქართველოში არსებულ უნივერსიტეტებში ინფორმაციის მოძიებას. რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების ინტეგრირებით განხორციელდა შემდეგი: სწავლებისა და სწავლის მიმართულებით არსებული ძირითადი პრობლემების გამოყოფა და ასეთი კვლევების სისტემისა და ინსტიტუციის დონეზე გამოყენების მნიშვნელოვნებისა და შეზღუდვების შეფასება. აღნიშნული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტუდენტების აზრით, მათ ნაკლებად აქვთ შესაძლებლობა ითანამშრომლონ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან, როგორცაა დეკანი, ხარისხის მართვის სამსახური, სასწავლო განყოფილება, და სხვ., შესაბამისად სტუდენტებს არ აქვთ შესაძლებლობა იმსჯელონ ან გამოხატონ საკუთარი აზრი საუნივერსიტეტო განათლების ხარისხის შესახებ. თუმცა, ამავე კვლევაზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სტუდენტებს უნივერსიტეტში არსებულ პრობლემებზე გარკვეული წარმოდგენები და საკუთარი ხედვები გააჩნიათ, რასაც კვლევაში

მოყვანილი სტუდენტების მიერ წარმოდგენილი პრობლემები მიუთითებს; ასე მაგალითად, უფრო მეტი კვლევითი და პრაქტიკული სამუშაოები, უცხო ენის სწავლების გაუმჯობესება, სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და რესურსების უფრო ხშირი გამოყენება, საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის - ინტერნეტის, ბიბლიოთეკის, სველი წერტილების - გაუმჯობესება, სტუდენტების თავშეყრის სივრცის არარსებობა, და ა.შ (ანდლულაძე ნ. და ბრეგვაძე თ., 2014).

კვლევის რესპოდენტმა სტუდენტებმა ხაზი გაუსვეს სტუდენტების ნაკლებ მზაობასა და აკადემიური ცხოვრებისთვის მოუმზადებლობას. ეს კი განპირობებულია ზოგადი განათლების მიღების დროს ნაკლები ინფორმაციის მიწოდებით სტუდენტური ცხოვრების შესახებ. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ „უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებას ხელს უშლის სტუდენტების რაოდენობის შეუსაბამობა ხელმისაწვდომ რესურსებთან და სტუდენტების დაბალი აკადემიური მზაობა. ეს უკანასკნელი, მათი აზრით, ზოგადი განათლების დაბალი ხარისხით აიხსნება. ისინი თვლიან, რომ უმაღლეს განათლებაში არსებული ყველა პრობლემა კომპლექსურად უნდა იქნას განხილული და აისახოს რეფორმის სახით თანმიმდევრულ ნაბიჯებში“ (ანდლულაძე ნ. და ბრეგვაძე თ., 2014, გვ. 3).

აღნიშნულ კვლევაში მოყვანილი ასპექტები მნიშვნელოვანი და გამოსადეგი გახლდათ ჩვენი კვლევის სწორად დასაგეგმად. თუმცა, აქ მოყვანილი ჩართულობის კვლევა ასახავს სტუდენტების სხვადასხვა კუთხით ჩართულობას, ხოლო წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია კონრკეტულად უმაღლესი განათლების ხარისხის მართვისა და ამ პროცესში სტუდენტების ჩართულობის მნიშვნელობა, სტუდენტთა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების მოსაზრებები და დამოკიდებულებები მთელ ამ პროცესში სტუდენტთა ჩართულობის შესახებ.

კვლევაში „უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში“ მოყვანილია განათლების განვითარების პერსპექტივები, ხარისხის მართვის სპეციფიკა და ეტაპები. კვლევის დოკუმენტის თანახმად: „საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ხარისხის როგორც შიდა, ისე გარე უზრუნველყოფის აუცილებლობა განისაზღვრა საკანონმდებლო დონეზე (2004), რამაც ბიძგი მისცა მთელ რიგ პოზიტიურ ცვლილებებს, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ შემთხვევებში პროცესები საკმაოდ მტკივნეულად წარიმართა“ (დარჩია ი., 2013, გვ. 17).

აღნიშნულ კვლევაში საუბარია არა მარტო ზოგადად უმაღლესი განათლების ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის ფაქტორებზე, არამედ ყურადღება გამახვილებულია სტუდენტების ჩართულობისა და მონაწილეობის მნიშვნელობაზე. დოკუმენტის იმ ნაწილში, სადაც საუბარია ხარისხის (შიდა) უზრუნველყოფის ფუნქციებზე, როგორც ინსტიტუციურ, ისე საფაკულტეტო დონეზე, მოყვანილია მისი შემადგენელი ნაწილები, რომელთაგანაც ერთ-ერთი სტუდენტების მონაწილეობის მოთხოვნაა: „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, მისი პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება, რომელშიც უნდა მონაწილეობდნენ აგრეთვე ამ დაწესებულების სტუდენტები და რომლის შედეგები საჯარო და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისთვის“ (დარჩია ი., 2013, გვ. 18).

ამავე კვლევაში აღწერილია საქართველოში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის ძირითადი მიღწევები და ნაკლოვანი მხარეები. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტორებზე, რომელიც ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანია. ხარისხის შიდა უზრუნველყოფა, როგორც ცნება და პროცესი, უკვე დამკვიდრდა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. სისტემის



მთავარ მიღწევად, შესაძლოა, მივიჩნიოთ სილაბუსებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მოწესრიგება, თუმცა, ისინი მუდმივ განვითარებასა და სრულყოფას საჭიროებენ (ხარისხის შიდა უზრუნველყოფა მუდმივი პროცესია, რასაც ყველა მხარე უნდა აცნობიერებდეს). კვლევაში საუბარია ხარისხის მართვის სამსახურსა და მათი წარმომადგენლების კვალიფიკაციაზე, რომელნიც, კვლევის ავტორების აზრით, საჭიროებენ განვითარებასა და ცოდნის გაღრმავებას: „ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების კვალიფიკაცია ხშირად არ არის საკმარისი მათ წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად (ეს განსაკუთრებით შეეხება დასავლური საგანმანათლებლო სტანდარტებისა და უმაღლესი განათლების განვითარების თანამედროვე ტენდენციების ცოდნას).“ აქვე ნათქვამია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგია ხშირად მხოლოდ ფორმალურად არსებობს, ხოლო მისი რეალური განხორციელება არ ხდება. მნიშვნელოვანი ასპექტებია გამოყოფილი სტუდენტთა ჩართულობის შესახებ: „სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარები ყოველთვის არ არის პროფესიონალების მიერ შედგენილი და არც გამოკითხვის შედეგებს ექცევა ჯეროვანი ყურადღება“. კვლევამ აჩვენა, რომ სტუდენტები და აკადემიური პერსონალი არასაკმარისად არიან ჩართულნი შეფასების პროცესებში (დარჩია ი., 2013, გვ. 18-20).

2009 წელს ჩატარებულმა „სტუდენტთა ჩართულობის შესახებ ეროვნულმა კვლევამ (NSSE)“, რომელიც ყოველწლიურად ტარდება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში, მოიცვა საჯარო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტები. აღნიშნული კვლევის შედეგების საფუძველზე, განისაზღვრა სტუდენტური ჩართულობის ექვსი მასშტაბი, რომლის მიზანია მაღალი ხარისხის განათლების მიღწევა, ესენია:

1. აკადემიური გამოწვევა - ფაქტორი, რომლის მოლოდინი და შეფასება სტუდენტებს უბიძგებს სწავლისკენ;

2. აქტიური სწავლა - სტუდენტების მცდელობა, აქტიურად წარმოაჩინონ საკუთარი ცოდნა;
3. სტუდენტებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის ურთიერთქმედება - აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან სტუდენტების კავშირის დონე და ფორმა;
4. საგანმანათლებლო გამოცდილების გამდიდრება - საგანმანათლებლო აქტივობების განვითარების პროცესში მონაწილეობა;
5. შესაბამისი საგანმანათლებლო გარემო - უნივერსიტეტში არსებული დამოკიდებულება;
6. სამსახურზე ორიენტირებული სწავლება - დასაქმებაზე ფოკუსირებული სამუშაო გამოცდილების ინტეგრაცია სწავლაში (Coates H, 2009, გვ. 493).

კვლევა „სტუდენტის როლი ხარისხის მართვის პროცესში“ ეფუძნება დიდი ბრიტანეთის მაგალითს და მოყვანილია სტუდენტების ჩართულობის როლი განათლების ხარისხის მართვის პროცესებში. კვლევაში აღწერილია დიდ ბრიტანეთში შემავალი სხვადასხვა ქვეყანაში არსებული განათლების ხარისხის სტანდარტები და დეტალური ინფორმაცია სტუდენტების ჩართულობის შესახებ. სტუდენტების შეხვედრებზე დასწრებასა და ხარისხის მართვის პროცესში მათი ჩართულობის თვალსაზრისით, კვლევამ აჩვენა, რომ არსებობენ სამი სახის სტუდენტური წარმომადგენლები, ესენია: 1) სტუდენტები, რომლებიც არ ესწრებიან შეხვედრებს; 2) სტუდენტები, რომლებიც ესწრებიან შეხვედრებს, მაგრამ არ ერთვებიან პროცესებში; და 3) სტუდენტები, რომლებიც ესწრებიან შეხვედრებს და ერთვებიან პროცესებშიც. კვლევის ავტორის აზრით, აღნიშნულზე პასუხისმგებლობა მხოლოდ სტუდენტებს არ ეკისრებათ, საგანმანათლებლო დაწესებულებამ ხელი უნდა შეუწყოს და აკონტროლოს სტუდენტთა ჩართულობა ხარისხის მართვის პროცესში. სტუდენტების ჩართულობა უნდა განხორციელდეს

სტუდენტურ ჯგუფებსა და სტუდენტურ წარმომადგენლებთან მუდმივი შეხვედრებით (Bohrer J., 2006).

ამავე კვლევით დოკუმენტში ნახსენებია ტერმინი „სტუდენტური ხმა“, სადაც იგულისხმება სტუდენტური ჯგუფებისა და სტუდენტური წარმომადგენლების მიერ გამოთქმული მოსაზრებები სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩატარებული შეხვედრების დროს, რომლის მთავარი თემა საგანმანათლებლო დაწესებულების განათლების ხარისხის უზრუნველყოფა და მის ირგვლივ წამოჭრილი საკითხები, რეკომენდაციები და სტუდენტების მიერ გაკეთებული დასკვნებია. იმის გამო, რომ საჭიროა, სტუდენტური ჯგუფების მოსაზრებები რელევანტური იყოს, გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ჯგუფების წევრებს შორის იყვნენ გამოცდილი და შესაბამისი ცოდნის მქონე სტუდენტები (Bohrer J., 2006).

ტერმინი „სტუდენტური ხმა“ ნახსენებია ზიმბაბვეს ღია უნივერსიტეტის ბაზაზე ჩატარებული კვლევის დოკუმენტშიც, სადაც ნათქვამია, რომ „უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სტუდენტი, გააჟღეროს საკუთარი მოსაზრება გადაწყვეტილების მიღების პროცესის ყველა ეტაპზე“. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ზიმბაბვეს ღია უნივერსიტეტის სტუდენტებმა. კვლევის შედეგების ანალიზმა დაადასტურა, რომ სტუდენტი ხარისხის მართვის სისტემის ცენტრალური მონაწილეა, რადგანაც იგი საფასურს იხდის სერვისისთვის, შედეგად კი იღებს სერვისს, კერძოდ, განათლებას. სტუდენტი უნდა იყოს აქტიური მონაწილე მთლიან სასწავლო პროცესში: დაგეგმაში, რესურსების მობილიზებაში, შეფასების, სასწავლო პროგრამებისა და პოლიტიკის შექმნის პროცესში. სტუდენტს უნდა ჰქონდეს წარმომადგენლობითი ფუნქცია გადაწყვეტილების მიღების პროცესში; შეეძლოს გაწევრიანდეს საკონსულტაციო კომიტეტში, და აგრეთვე, უნდა გააჩნდეს უკუკავშირის მექანიზმი, რომელსაც

პროგრამის, კურსისა და ლექტორის შეფასების გზით განახორციელებს. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით, შესაძლებელი იქნება „მომხმარებელი სტუდენტის“ გარდაქმნა „პარტნიორ სტუდენტად“. კვლევამ აჩვენა, რომ ზომიერად ღია უნივერსიტეტში სტუდენტები მონაწილეობას იღებენ უკუკავშირის პროცესში შეფასების გზით, თუმცა, არ არსებობს მათი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის მექანიზმები (Nyanya T. & Rupande G., 2014).

სტუდენტების ჩართულობისას გასათვალისწინებელია პოლიტიკური ფაქტორი, რადგანაც „ზოგიერთ ქვეყანას პოლიტიკურად ორიენტირებული სტუდენტური კავშირები ჰყავს“, ასეთი უნივერსიტეტის მაგალითად ზომიერად ღია უნივერსიტეტია მოყვანილი. კვლევის ავტორებმა აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად სტუდენტების წარმომადგენლებისთვის სავალდებულო ტრენინგის სისტემა შემოგვთავაზეს ინსტიტუციური და ქვეყნის ხარისხის მართვის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს ხარისხის მართვის საკითხებისგან პოლიტიკის გამიჯვნას (Nyanya T. & Rupande G., 2014).

ზომიერად ღია უნივერსიტეტის ბაზაზე ჩატარებული კვლევა და მისი შედეგები მნიშვნელოვანია საქართველოს რეალობისთვისაც, რადგანაც უახლოეს ისტორიაში სახელმწიფო უნივერსიტეტის (აგრეთვე, ზოგიერთ შემთხვევაში კერძო უნივერსიტეტის) სტუდენტები და წარმომადგენლები ხშირად გამხადარან სხვადასხვა პოლიტიკური ქმედების მონაწილე მხარეები.

### 3.6. უმაღლესი განათლების მართვისა და მასში სტუდენტთა ჩართულობის სამეცნიერო ლიტერატურა


განათლების ხარისხის მართვა ისეთი მართვის სისტემაა, რომელიც ორიენტირებულია ორგანიზაციის განვითარებაზე; იგი გულისხმობს ორგანიზაციის თითოეული თანამშრომლისა და სტუდენტის განვითარებას ყველა ასპექტით. ხარისხის ერთიან მართვაში მოიაზრება სტრატეგიის, მონაცემებისა და ეფექტური კომუნიკაციის გამოყენება, რათა მოვახდინოთ ხარისხის პრინციპების ინტეგრირება ორგანიზაციის საქმიანობაში. შესაბამისად, ხარისხი მუდმივად განახლებადი და განვითარებადი უნდა იყოს. ბევრი საინტერესო თეორიული მასალა ეთმობა უმაღლესი განათლების ხარისხის სწორი მართვის დაგეგმარებას, რაც განათლების სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც პოზიტიურ გავლენას ახდენს სწავლისა და სწავლების საერთო შედეგებზე. მაგალითად, ლიტერატურაში განმარტებულია ხარისხის მართვის ფუქციები შემდეგნაირად:

- ხარისხის მართვა ეხმარება საგანმანათლებლო დაწესებულებებს თავის ძირითად მომხმარებელს - სტუდენტებსა და დასაქმებულებს - მიაწოდოს უკეთესი სერვისი;
- ხარისხის მართვის მუდმივი გაუმჯობესების გზით შესაძლებელია საჭირო მოთხოვნების დაკმაყოფილება საგანმანათლებლო რეფორმების გასატარებლად;
- ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროდუქტის მუდმივ ზრდასა და გაუმჯობესებაზე, მომხმარებელს (სტუდენტს) სთავაზობს კონკურენტულ და შეჯიბრის სტილის გარემოს, რომელიც განსხვავდება „საკმარისი და კარგი“ პრინციპისგან (Vanapriya B., & Dodhiya J., 2015).

როჯერ ელისმა, საკუთარ წიგნში „ხარისხის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის განათლებისთვის“, ხარისხი განმარტა შემდეგნაირად: „ხარისხი

თავის თავში მოიცავს ოდნავ ბუნდოვან ასპექტებს, თუმცა, იგი უნდა აკმაყოფილებდეს სტანდარტებსა და ხარისხის მაღალ ნიშანს“ (Ellis R., 1993, გვ. 3).

მეცნიერები ხარისხის უზრუნველყოფისა და კონტროლის პრაქტიკულ მეთოდოლოგიას სხვადასხვა გზით გვთავაზობენ. ელისისა და კრაიერის ნამუშევრების ანალიზის შედეგად, შეგვიძლია განვსაზღვროთ ხარისხის უზრუნველყოფის ქვემოთ მოყვანილი პროცესთა ჯაჭვი:



დიაგრამა 1. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის ჯაჭვი

ზემოთ მოყვანილი ქმედებები თანმიმდევრული და ურთიერთდაკავშირებულია. ავტორების მიერ თითოეული მათგანი შემდგენაირადაა განმარტებული:

- ხარისხის უზრუნველყოფა - განათლების სისტემაში მოიცავს მიზნებს, რესურსებს, შედეგებს, პროგრამებსა და კურსებს;
- ხარისხის კონტროლი - განათლების სფეროში საჭიროებს უკუკავშირს დასაქმებულებისა და სტუდენტებისგან, მუდმივ მონიტორინგს, მოდულების, პროგრამებისა და კურსების გადახედვას;
- ხარისხის მართვა - პროცესების აღსრულებაში მოყვანა, როგორცაა ბაზრის შესწავლა, კურიკულუმის განვითარება, სტრატეგიის შემუშავება, რესურსების მოძიება, მონიტორინგი და სტუდენტების გამოცდილების შესწავლა;
- ხარისხის აუდიტი - ხარისხის მართვის სისტემის შიდა და გარე აუდიტი, რომელიც ამოწმებს სისტემამ რამდენად განახორციელა ის, რის განხორციელებასაც გეგმავდა;
- ხარისხის შეფასება - გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით განხორციელებული ქმედებების შეფასება. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ხარისხის შეფასება ხშირად კონფლიქტის პოტენციურ წყაროდ აღიქმება, რადგანაც განათლების სისტემაში ხარისხის კრიტერიუმებზე შეთანხმება რთულია.
- ხარისხის გაუმჯობესება - სისტემაში განხორციელებული ქმედებების მუდმივი გაუმჯობესება, რომელიც მოიცავს დასაქმებულთა განვითარებასა და ტრეინინგებს, სისტემური პრობლემების გადაჭრის მეთოდებსა და სხვ. (Ellis R., & Cryer, P., 1993, გვ. 6,7).

წიგნში „განათლების ხარისხის ერთიანი მართვა“ განმარტებულია ხარისხის მნიშვნელობა და მისი ორი ძირითადი ასპექტი, ესენია: გაზომვა და უზრუნველყოფა წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების შესაბამისად. ხარისხის მართვის უმთავრესი კითხვაა: „აკმაყოფილებს თუ არა მიწოდებული პროდუქტი მოთხოვნებსა და მოლოდინებს?“. ხანდახან სწორედ ეს კითხვაა

მიმწოდებლის ძირითადი მამოძრავებელი მიზანი ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში (Sallis E., 2002, გვ. 13).

საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამების სისტემატურ ანალიზსა და კონტროლს, დაწესებულებაში შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტებისა და ინფრასტრუქტურის უზრუნველსაყოფად (United Nations Educational, Scientific and Cultural Organization, 2005).

ორგანიზაციაში განათლების განვითარების პროცესში უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია: შემოწმება, დამოწმება და ანგარიშის წარდგენა (proving, approving, reporting). ხარისხის მართვისას გამოიყენება ანგარიშვალდებულების ანუ აუდიტის მიდგომა, რათა უზრუნველყოფილ იქნას თანმიმდევრობა და შესაბამისობა. აღნიშნული დაფუძნებულია „გაზომვის“ ინდიკატორებზე. მნიშვნელოვანია, რომ შემოწმების (proving) შემდეგ მოხდეს გაუმჯობესება (improving). სწორედ ეს არის „ორგანიზაციული გონება“ (organizational mind) და ქცევა, რაც დაფუძნებულია მუდმივ გაუმჯობესებაზე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე. ხარისხის ცვლილება მოიცავს მომხმარებლის მისწრაფებებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების უფლებამოსილების ერთიანობას. ხარისხის განვითარების პროცესში, საჭიროა, უფრო ფართო და ეკლექტური ხედვა. იგი აყენებს მომხმარებელს პირველს, და ორიენტირებულია მომხმარებლის არეალის გაფართოებაზე. განათლებაში ხარისხის განვითარება მოიცავს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მოტივაციის ზრდას საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების პროცესში, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტზე (Sallis E., 2002, გვ. 15).

განათლების ხარისხის წარმატებით მართვაში დიდი როლი მიუძღვის მართვის პროცესში სტუდენტთა ჩართულობას. ტერმინი „სტუდენტთა



ჩართულობა“ საგანმანათლებლო სამეცნიერო ლიტერატურაში 1990-იან წლებში დამკვიდრდა, სადაც მოიაზრება სტუდენტთა და საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვა რესურსების ურთიერთქმედება სასწავლო შედეგების გაზრდისა და საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებისთვის, სტუდენტების გამოცდილებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რეპუტაციის ზრდის მიზნით (Astin, A., 1984).

თუმცა, ტერმინის დამკვიდრებამდე, სტუდენტების ჩართულობის ფაქტები და მნიშვნელობა ადრეულ ლიტერატურულ წყაროებშიც გხვდება, სადაც ნახსენები იყო ისეთი ტერმინები, როგორცაა „სტუდენტების გამოცდილება“ და „კვლევაზე დაფუძნებული“ ქმედება, რომლებიც მოგვიანებით ტერმინით „სტუდენტური ჩართულობით“ შეიცვალა, და მიეცა ჩამოყალიბებული და ფორმალიზებული განსაზღვრება. ამ უკანასკნელის მიზანი კი არის უმაღლესი განათლების - სწავლებისა და სწავლის - უზრუნველყოფა. სტუდენტური ჩართულობის საწყისებიდანვე უმაღლესმა განათლების სისტემამ მიიღო „მიზანმიმართული საგანმანათლებლო ქმედება“, სტუდენტების წარმატებისა და განვითარების დადებითი შედეგები, მაგალითად, როგორცაა კმაყოფილება, შეუპოვრობა, აკადემიური მიღწევა და სოციალური განვითარება (Astin A, 1984).

ლიტერატურის მიმოხილვისას, წავაწყდით სტუდენტების ჩართულობის რამდენიმე განსაზღვრებას. სხვადასხვა მეცნიერი სტუდენტების ჩართულობას სხვადასხვაგვარად აღწერს, მაგალითად:

- „მონაწილეობა საგანმანათლებლო ეფექტურ ქმედებებში, რომელსაც მოსდევს მნიშვნელოვანი და გაზომვადი შედეგები“; „სტუდენტური ჩართულობა საჭიროებს დროსა და მცდელობას, რომლის შედეგადაც სტუდენტი სასურველ მიზანს აღწევს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში“ (Kuh G.D. et al., 2007; Kuh G.D., 2009).

- „სტუდენტური ჩართულობა ნიშნავს პასუხისმგებლობის გრძნობას ორივეს - სხვა სტუდენტებისა და საკუთარი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ“ (Trowler V., 2010, გვ. 16).
- სტუდენტური ჩართულობა პროცესია, სადაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ცდილობს ჩართოს და უფლებამოსილებას ანიჭებს სტუდენტებს, მონაწილეობა მიიღონ საგანმანათლებლო პროცესებში" (ინგლისის უმაღლესი განათლების საბჭო (HEFCE), 2008).

ჩართულობას გააჩნია როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მხარე, რომელიც განსხვავდება არჩართულობისგან (აპათიასგან). ტერმინში „პოზიტიური“ და „ნეგატიური“ იგულისხმება სტუდენტის შეფასების, დამოკიდებულებისა და მოლოდინების დონე, რაც მათ პროდუქტიულ საქმიანობაში გამოიხატება. ჩართულობა პროცესია, სადაც საგანმანათლებლო დაწესებულება საშუალებას აძლევს სტუდენტს შექმნას და მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო საქმიანობაში. ტერმინი „პოზიტიური“ და „ნეგატიური“ ჩართულობა არ გულისხმობს სტუდენტების განსჯას. აღნიშნულის მიზანია, მოხდეს სტუდენტების ქცევის ასახვა მოლოდინებსა და ნორმებთან მიმართებაში. მაგალითად, ინტერნაციონალიზაცია და სტანდარტებთან შესაბამისი ქცევა შეიძლება ჩაითვალოს როგორც პროდუქტიული, ხოლო ქცევა, რომელიც ხელს უწყობს გარკვეულ გამოწვევებს, დაპირისპერებასა და შეუსაბამობებს, როგორც კონტრპროდუქტიული. (თუმცა, სტუდენტის ნებისმიერი სახის ჩართულობა, თუნდაც კრიტიკული, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმატების ერთ-ერთი ინდიკატორია). ამრიგად, სტუდენტი შესაძლოა ჩართული იყოს როგორც პოზიტიურად, ისე ნეგატიურად ქცევითი, ემოციური თუ კოგნიტური პარამეტრებით. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ნათლად ასახავს სტუდენტის

პოზიტიური და ნეგატიური ჩართულობის მაგალითებს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში: (Trowler V., 2010, გვ. 5-6)

	პოზიტიური ჩართულობა	არ ჩართულობა	ნეგატიური ჩართულობა
ქცევითი ჩართულობა	<i>ესწრება შეხვედრებს, მონაწილეობს ენტუზიაზმით</i>	<i>არ ესწრება შეხვედრებს, არ სწუხს ამაზე</i>	<i>ბოიკოტს უცხადებს და ეწინააღმდეგება შეხვედრებს</i>
ემოციური ჩართულობა	<i>ინტერესი</i>	<i>მოწყენილობა</i>	<i>უარყოფა</i>
კოგნიტური ჩართულობა	<i>ასრულებს ან აჭარბებს შესასრულებელი სამუშაოს მოთხოვნებს</i>	<i>იგვიანებს შესრულებას, ან არ ასრულებს</i>	<i>ხელახლა საზღვრავს დავალების პარამეტრებს</i>


ცხრილი 1. სტუდენტის ქცევითი, ემოციური და კოგნიტური ჩართულობის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები

სამეცნიერო ლიტერატურაში, აგრეთვე, განხილულია სტუდენტთა ჩართულობის სხვადასხვა ფაქტორი, რომლის გაანალიზების შედეგად, გამოყოფილია მათი ჩართულობის სამი ძირითადი ღერძი, ესენია:

1. სტუდენტების სწავლა - სტუდენტების ინდივიდუალური ქმედებები, მათი მოსაზრებები, პერსპექტივებისა და სტუდენტთა ჩართულობის დონის მიხედვით, რომლის გაზომვაც შესაძლებელია შემდეგი ფაქტორების მიხედვით:
  - სტუდენტთა ყურადღება სწავლის პროცესში;
  - სტუდენტთა ინტერესი სწავლის პროცესში;
  - სტუდენტთა ჩართულობა სწავლის პროცესში;
  - სტუდენტთა (აქტიური) მონაწილეობა სწავლის პროცესში;
  - სტუდენტთა ეგოცენტრიზმი, სადაც იგულისხმება სტუდენტთა მიერ საკუთარი სწავლის პროცესის დაგეგმასა და შეფასებაში მონაწილეობა.
2. სტრუქტურა და პროცესი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურისა და მართვის პროცესი, მათ შორის სტუდენტთა წარმომადგენლები, სტუდენტთა თვითმართველობის როლი, სტუდენტისთვის უკუკავშირის პროცესი და სხვა საკითხები. აღნიშნული შეიცავს:
  - წარმომადგენლობა და კონსულტაცია, რომელიც მოიცავს შეხვედრებს სტუდენტური ჯგუფის წევრებსა და რიგით სტუდენტებთან;
  - სტუდენტები დამკვირვებლის როლში;
  - სტუდენტები, როგორც წარმომადგენლები (დელეგატები);
  - სტუდენტები, როგორც კომიტეტის/საბჭოს სრული წევრი;
  - სტუდენტების წარმომადგენლობა კურსზე, დეპარტამენტში, ფაკულტეტზე.
3. იდენტობა - იგულისხმება სტუდენტების საკუთრების გრძნობა, მაგალითად:
  - ჩართულობა ინდივიდუალური სტუდენტის „საკუთრების განცდის“ მიმართ;
  - იდენტობა, რომელიც კავშირშია წარმომადგენლობასთან (მოდული, კურსი, მიმართულება, ინსტიტუტი, სტუდენტის როლი);
  - ისეთი ჯგუფების ჩართულობა, რომელიც მოიცავს „არატრადიციულ“ (უფროსი ასაკის სტუდენტები, ეკონომიკური პრობლემების მქონე სტუდენტები, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტები, სპეციალური

საჭიროების მქონე სტუდენტები და ოჯახის მქონე სტუდენტები) სტუდენტებს (Trowler V., 2010, გვ. 9-11).

კოატესმა შემოგვთავაზა სტუდენტური ჩართულობის ტიპოლოგია, რომელიც განთავსებულია ორ ღერძზე, ესენია - სოციალური ჩართულობა და აკადემიური ჩართულობა, რომელიც მოიცავს ჩართულობის ოთხ სხვადასხვა სტილს. ქვემოთ აღწერილია თითოეული ჩართულობის სტილი:



დიაგრამა 2. სტუდენტური ჩართულობის ტიპოლოგია

ინტენსიურში იგულისხმება სტუდენტების მიერ აქტიური და ინტენსიური ჩართულობა, ისინი ხშირად ხვდებიან უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულების თანამშრომლებს, და მათ აღიქვამენ, როგორც რეაგირებადს, მხარდაჭერსა და თანამგრძობს (Coates H., 2007, გვ. 132-133).

დამოუკიდებელი ჩართულობის სტილი გულისხმობს უფრო მეტად აკადემიურად ჩართულ, ვიდრე სოციალურ მიზნებზე ორიენტირებულ მიდგომას. სტუდენტები, რომელთა ჩართულობა დამოუკიდებლობით ხასიათდება, საკუთარ თავს ხედავენ, როგორც მონაწილეს სასწავლო პროცესისა, ხოლო მომუშავე პერსონალს აღიქვამენ, როგორც მიღწევადსა და მხარდაჭერს, რომელიც რეაგირებასა და უკუკავშირს ახდენს სტუდენტების საჭიროებების შესაბამისად. ასეთი სტუდენტები ნაკლებად არიან ჩართულნი სხვა სტუდენტებთან თანამშრომლობაში და ისინი ნაკლებად მონაწილეობენ სტუდენტურ ღონისძიებებში (Coates H., 2007, გვ. 133-134).


სტუდენტები, რომელნიც მოქმედებენ თანამშრომლობითი სტილის გამოყენებით, გამოირჩევიან სოციალური ასპექტებით, როგორც საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, ისე მუშაობის პროცესში. მაღალი დონის თანამშრომლობითი ჩართულობა სტუდენტებს უქმნის საკუთრების განცდას უნივერსიტეტის მიმართ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ კი სტუდენტს მჭიდრო კავშირი აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალსა და სხვა სტუდენტებთან (Coates H., 2007, გვ. 134).

პასიური ჩართულობა გულისხმობს სტუდენტების ნაკლებ მონაწილეობას სხვადასხვა აქტივობებში (Coates H., 2007, გვ. 134).

აქვე ავტორი დასძენს, რომ ზემოთ აღწერილი მხოლოდ განსაზღვრავს ჩართულობის სტილსა და ჩართულობის გარდამავალ მდგომარეობას, და არა სტუდენტების თვისებებსა თუ ტიპს (Coates H., 2007, გვ. 132).

ჩვენ მიერ წარმოდგენილ ნაშრომში, აგრეთვე ვიკვლევთ, თუ რა სახის გავლენა შეიძლება ჰქონდეს სტუდენტთა ჩართულობას მათ სწავლაზე. აღნიშნულ საკითხს ორი მეცნიერი - კრაუსი კოატესთან ერთად 2008 წელს შეეხო, სადაც ნათქვამია, რომ „როგორც უმაღლესი განათლების კვლევებმა აჩვენეს, პარამეტრები, რითაც სტუდენტები ჩართულნი არიან სხვადასხვა აქტივობებში, დაკავშირებულია მათი სწავლის ხარისხსა და შედეგებზე“ (Krause K. & Coates H., 2008, გვ. 493).

სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე ვხვდებით სტუდენტების ჩართულობის მოტივაციის ოთხ კლასტერს, რომელიც ეფუძნება ორ ღერძს, ესენია მოტივაცია (ინტრინსიკული ანუ შინაგანი ან ექსტრინსიკული ანუ გარეგანი) და ფოკუსი (პერსონალური ან სისტემური). ქვემოთ მოყვანილია კვადრატი, რომელიც აღნიშნულს აღწერს ვიზუალურად: (Lizzio, A. & Wilson, K., 2009, გვ. 69–84)



დიაგრამა 3. სტუდენტების ჩართულობის მოტივაციის ოთხი კლასტერი

სხვადასხვა მეცნიერს სხვადასხვაგვარი პერსპექტივიდან აქვს წარმოჩენილი სტუდენტების ჩართულობა საუნივერსიტეტო მმართველობაში, მაგალითად, „სტუდენტების აქტიური ჩართულობა (საუნივერსიტეტო მმართველობაში) ძირითადად აღწერილია სამი პერსპექტივიდან, ესენია: ფუნქციური (რა სარგებელი მოაქვს ჩართულობას უნივერსიტეტისთვის?), განვითარებადი (რა სარგებელი მოაქვს ჩართულობას სტუდენტისთვის?) და სოციალური (რა სარგებელი მოაქვს ჩართულობას საზოგადოებისთვის?) (Lizzio, A. & Wilson, K., 2009, გვ. 70).

ასევე, ვაწყდებით შემდგომ მოსაზრებასაც: „სტუდენტები ქმნიან სასიცოცხლო პერსპექტივას წარმატებული სასწავლო გარემოს შესაქმნელად, არ აქვს მნიშვნელობა სტუდენტი ჩართული იქნება გადაწყვეტილების მიღებისა თუ აღსრულების პროცესში, მონაწილეობას მიიღებს მართვის ჯგუფის შეხვედრებში, თუ წარმოჩინდება ლიდერის როლში“ (Kezar, A., 2005 გვ. 2).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმეტეს სტუდენტს, სადაც „სტუდენტი არის აქტიურად ჩართული უნივერსიტეტის შეხვედრებში, და შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გააჩნია მაღალი პასუხისმგებლობა სწავლის მიმართ, და ჩართულია სხვა სტუდენტებთან ერთად სწავლისა და სამუშაო პროცესში საგანმანათლებლო მიზნების განსახორციელებლად, მაგალითად, შიდა საუნივერსიტეტო ტიუტორინგი (სტუდენტები ასწავლიან სხვა სტუდენტებს), ან/და სტუდენტურ ორგანიზაციებში წევრობა“ (Magolda, P., 2005, გვ. 2).

საინტერესოა, დიდი ბრიტანეთის მაგალითი: „სტუდენტური კავშირის წევრების შეხვედრები მართვის რგოლთან „სტუდენტური ხმის“ გაჟღერების პოზიტიური გზაა, რომელიც, საჭიროა, მოსმენილ და გაგებულ იქნას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მმართველობისგან“ (Little et al., 2009, გვ. 32).



სტუდენტური ჩართულობა ყოველთვის სრულიად დადებითი და უპრობლემო არ არის. მაგალითად, ერთ-ერთ ნაშრომში, სადაც ხაზგასმულია სტუდენტთა ჩართულობის სარგებელი და პოზიტიური გავლენა საუნივერსიტეტო მმართველობაზე, ასევე ნათქვამია, რომ ხშირად სტუდენტური თვითმართველობის წევრები ცდებიან ძირითად ხაზს, და დროსა და ენერგიას ტრივიალურ საკითხებზე ხარჯავენ. ამავდროულად, ხანდახან უნივერსიტეტის მმართველობა უგულებელყოფს ან ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს სტუდენტების ჩართულობას, რაც შემდგომ სტუდენტებზე უარყოფით გავლენას ახდენს (Magolda P., 2005).

სტუდენტების ჩართულობის დადებით განსაზღვრებებთან ერთად, სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით უარყოფითი სახის ჩართულობას. მაგალითად, კრაუსი უნივერსიტეტის გამოცდილებაზე დაყრდნობით განმარტავს, რომ სტუდენტებს ხანდახან ჩართულობა ესმით, როგორც ბრძოლა და კონფლიქტში ჩართვა. ეს ეხება იმ სტუდენტებს, ვისთვისაც საუნივერსიტეტო კულტურა უცხოა (Krause, K., 2005).

რატომ არის სტუდენტების ჩართულობა მნიშვნელოვანი? რა გავლენის მოხდენა შეუძლია სტუდენტების ჩართულობას სტუდენტსა თუ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაზე? ყველაზე მნიშვნელოვანი ეს კითხვებია, რომელზე პასუხის გაცემა სხვადასხვა მეცნიერებმა სცადეს. ასე მაგალითად: „სტუდენტური ჩართულობის კონცეფცია დაფუძნებულია კონსტრუქტივისტულ მაგალითებზე, რომლის თანახმადაც სტუდენტის სწავლაზე დიდ გავლენას ახდენს მისი ჩართულობა და ამ ჩართულობის მიზნები. კვლევამ აჩვენა, რომ სტუდენტების ჩართულობას მოსდევს მაღალი ხარისხის სწავლა“ (Coates H., 2005, გვ. 26).

გარდა ზემოთ ნახსენები მიზეზისა, საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, სტუდენტების ჩართულობას შეუძლია სხვა სარგებლის მოტანა, მაგალითად როგორცაა, რეპუტაციის გაუმჯობესება და ფინანსური ზრდა. სტუდენტების ჩართულობით, შესაძლებელია, ფასეული ინფორმაციის მოპოვება ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი და გამოსადეგია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მმართველი რგოლისთვის. მაგალითად, სტუდენტური ჩართულობით, შესაძლოა, განისაზღვროს უნივერსიტეტის განათლების პროდუქტიულობის საჭიროებები (Coates H., 2005, გვ. 32).

თუმცა, აგრეთვე, უნდა ითქვას, რომ სტუდენტების ჩართულობა გარკვეულ ხარჯებსაც მოიცავს, რაც საკმაოდ დიდი საფიქრალი გახდა გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მმართველი რგოლისთვის. „სტუდენტური ჩართულობის შედეგად მიღებულმა მონაცემებმა ხელი შეუწყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დანახარჯის ზრდას (განსაკუთრებით, ადმინისტრაციულ ხარჯვით ნაწილში)“ (Ryan J.F., 2005, გვ. 236).

ზემოთ მოყვანილიდან გამომდინარე, საჭიროა, სწორედ დაიგეგმოს და განხორციელდეს სტუდენტური რესურსების გამოყენება. სტუდენტების ჩართულობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია ეფექტურად და სარგებლიანად უნდა იქნეს გამოყენებული, რათა არ მოხდეს როგორც ფინანსური რესურსების, ისე სტუდენტების ჩართულობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გაფლანგვა. სტუდენტების ჩართულობის შესახებ მონაცემების ანალიზი დროულად და მიზანმიმართულად უნდა განხორციელდეს სტუდენტების სწავლის მართვის გაუმჯობესების მიზნით; აგრეთვე, მნიშვნელოვანია, შემაჯამებელი შეფასება განათლების ხარისხისა და მისი პროდუქტიულობის შესახებ (Johnstone, 1993).

აუცილებელია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მაქსიმალურად თავი აარიდოს ინერტულობას, რადგანაც ამან შეიძლება გამოიწვიოს სტუდენტებში უკმაყოფილება, რაც გავლენას იქონიებს მათი სწავლის ხარისხზე. შესაბამისად, საჭიროა, მჭიდრო უკუკავშირის ქონა სტუდენტების ინიციატივებისა და რეკომენდაციების კვალდაკვალ (Krause, K., 2005, გვ. 8).

რიგითი სტუდენტების ჩართულობას (და არა მარტო სტუდენტური თვითმმართველობის წევრების) დიდი მნიშვნელობა აქვს „არატრადიციული“ სტუდენტებისთვის, სადაც იგულისხმება უფროსი ასაკის სტუდენტები, ეკონომიკური პრობლემების მქონე სტუდენტები, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტები, სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტები და ოჯახის მქონე სტუდენტები. ამიტომ, საჭიროა, განათლების პროცესში საგანმანათლებლო საკითხებში ჩართულობა და სტუდენტებთან კომუნიკაცია იყოს მასიური ხასიათის. „უმაღლესი განათლება გულისხმობს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ხასიათდება, როგორც ყოველმხრივ მრავალფეროვანი, მათ შორის უნარების, ასაკისა და საგანმანათლებლო გამოცდილების. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა შეძლოს მოახდინოს ყველა სტუდენტის ჩართულობა, მიუხედავად მისი განსხვავებული წარსულისა და მრავალმხრივი საჭიროებისა“ (Krause, K., 2005, გვ. 3).

სტუდენტების ჩართულობას პოზიტიური ზეგავლენა გააჩნია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მარკეტინგზე. ერთი მხრივ უნივერსიტეტი, სადაც სტუდენტური ჩართულობა მაღალ დონეზეა, შეგვიძლია მივიჩნიოთ, როგორც ხარისხიანი დაწესებულება; ხოლო მეორე მხრივ, ნიშანდობლივია, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია ჩართოს სტუდენტები საკუთარი წარმატების მისაღწევად, როგორც მარკეტინგის ერთ-ერთი საშუალება (Trowler V., 2010, გვ. 27).

სტუდენტების ჩართულობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ინსტიტუციურ მმართველობაში ფუნქციური სარგებლის მოტანა შეუძლია, ესენია: ანგარიშვალდებულება (გადაწყვეტილების მიღებისა და შესრულების გამჭირვალობა), აზრის გათვალისწინება (გადაწყვეტილების მიმღები პირების შესაბამისი მოსაზრებების გააზრება) და ორგანიზაციული სწავლა (სწავლა გამოცდილების საფუძველზე). სამივე ფაქტორი მონაწილეობრივი პროცესისთვის დამახასიათებელი დადებითი ფაქტორებია (Lizzio A., & Wilson K., 2009, გვ. 70).

ამავე ავტორების ნაშრომებში საუბარია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების უმთავრეს ფუნქციაზე - სტუდენტების „ნამდვილ მოქალაქეებად“ ჩამოყალიბებაზე. აღნიშნულის მისაღწევად კი, აუცილებელია, სამოქალაქო ჩართულობის პრინციპის გამოყენება, რაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საუნივერსიტეტო მმართველობაში ჩართულობით გამოიხატება. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ხელს უნდა უწყობდეს სტუდენტებს განავითარონ საკუთარი უნარები და დამოკიდებულება ეფექტურ მოქალაქეებად ჩამოყალიბების მიზნით (Lizzio A. & Wilson K., 2009).

ზემოთ მოყვანილი ლიტერატურის ანალიზის შედეგად, რომელიც სამაგიდე კვლევის ფარგლებში განხორციელდა, მოხდა კვლევის მიზნებისა და ამოცანების ჩამოყალიბება. მათი ძირითადი ნაწილი აღნიშნულ თავში მოყვანილ თეორიებს, გაანალიზებულ კვლევებს, მნიშვნელოვან საერთაშორისო დოკუმენტებსა და გზამკვლევებს ეფუძნება.

### 3.7. შედეგები

სამაგიდე კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი მნიშვნელოვანი დასკვნები:

- ორგანიზაციის მართვა გულისხმობს ხარისხის კონტროლსა და ხარისხის უზრუნველყოფას. საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამების სისტემატურ ანალიზსა და კონტროლს შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტებისა და ინფრასტრუქტურის უზრუნველსაყოფად;
- საგანმანათლებლო მეცნიერებაში ორი ტერმინი გამოიყენება - განათლების ხარისხის მართვა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფა. განათლების ხარისხის მართვა არის საქმის შესრულება სხვა ადამიანების ჩართულობით, რომელიც მოიცავს მიმართულების განსაზღვრასა და სხვადასხვა ოპერაციების ხელმძღვანელობას; ხოლო განათლების ხარისხის უზრუნველყოფა ხელს უწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას სტანდარტების შესაბამისობაში მოყვანას;
- მეცნიერული მართვის ერთ-ერთი მიმდევრის - გულიკის მიხედვით, ორგანიზაციაში ნებისმიერი დეპარტამენტი უნდა ეფუძნებოდეს საერთო მიზნების, უნარ-ჩვევების, გამოცდილებისა და ლოკაციის მიხედვით შექმნილ დაჯგუფებებს; შესაბამისად, გულიკის თეორიის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მმართველი პირები და სტუდენტები უნდა იზიარებდნენ საერთო მიზნებს და მათი ქმედება მიმართული უნდა იყოს ჯგუფური მუშაობისკენ ორგანიზაციის განვითარების მიზნით;
- ორგანიზაციის განვითარების კუთხით ძალზე მნიშვნელოვანია მერი პარკერ ფოლეთის კვლევები, სადაც საუბარია ადმინისტრირების ჰუმანური კომპონენტის შესახებ; აღნიშნული მკვლევარის მიხედვით, ორგანიზაციაში აუცილებელია

დინამიური და ჰარმონიული ურთიერთობების ჩამოყალიბება და შენარჩუნება. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებისა და განვითარებისთვის საჭიროა დაწესებულების თანამშრომლებსა და სტუდენტებს შორის ჰუმანური ურთიერთობების ჩამოყალიბება;

- დოკუმენტში „საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“ განსაზღვრულია სტუდენტების ჩართულობის მნიშვნელობა და ვალდებულება საქართველოში არსებული ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის; ამავე კანონის მიხედვით, სტუდენტს უფლება აქვს გამოხატოს საკუთარი აზრი, ხოლო სტუდენტური თვითმმართველობის წევრები ვალდებულნი არიან ხელი შეუწონ სხვა სტუდენტების ჩართულობას;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დოკუმენტში „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიული გეგმა 2016-2020“ ასახულია საქართველოში განათლების ხარისხის განვითარების გეგმა; თუმცა, აღნიშნულ დოკუმენტში ნახსენები არაა სტუდენტების უფლებები და მათი ხარისხის მართვის საქმიანობაში ჩართვის გაუმჯობესების მეთოდები;
- ბოლონის პროცესის მონაწილე ქვეყნების მიერ შემუშავებულ მთელ რიგ დოკუმენტებში ნახსენები და განმარტებულია სტუდენტების ჩართულობის მოთხოვნა და აუცილებლობა, რომლის ვალდებულება საქართველოსაც გააჩნია, როგორც ბოლონის პროცესის მონაწილე ქვეყანას;
- საქართველოს უმეტესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეგულაციები უზრუნველყოფს სტუდენტების ჩართულობას როგორც ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესში, ისე კურიკულუმს გარეშე აქტივობებში;
- საგანმანათლებლო დაწესებულებაში მართვის პროცესში სტუდენტების ჩართულობა დადებითად აისახება სტუდენტთა კმაყოფილებაზე, სწავლისადმი შეუპოვრობაზე, აკადემიურ მიღწევასა და სოციალურ განვითარებაზე;

- განათლების ხარისხის მართვის პროცესში სტუდენტთა ჩართულობა უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ინერტული მოძრაობა. ჩართულობისას საჭიროა სტუდენტის პიროვნული მოტივაცია, მიზანი, გრძნობა (დამოკიდებულება) და შეგრძნება. გამოყოფენ სამი ტიპის ჩართულობას: ქცევითი, ემოციური და კოგნიტური ჩართულობა;
- განათლების ხარისხის მართვის პროცესში სტუდენტს ოთხი ძირითადი ფუნქცია გააჩნია, ესენია: 1) სტუდენტი, როგორც ინფორმაციის მიმწოდებელი, 2) სტუდენტი, როგორც მოქმედი პირი, 3) სტუდენტი, როგორც ექსპერტი, 4) სტუდენტი, როგორც პარტნიორი;
- განათლების ხარისხის მართვის პროცესში ჩართულ სტუდენტებს უნივერსიტეტისადმი საკუთრების განცდა უჩნდებათ, რასაც პოზიტიური გავლენის მოხდენა შეუძლია სტუდენტების სწავლის ხარისხსა და შედეგებზე;
- განათლების ხარისხის მართვის პროცესში სტუდენტთა ჩართულობის დადებითი შედეგების პარალელურად (ხარისხის გაუმჯობესება, უნივერსიტეტის რეპუტაციის გაუმჯობესება, სტუდენტებისგან ინფორმაციის მოპოვება, პოზიტიური გავლენა უნივერსიტეტის მარკეტინგზე, ა.შ.), აუცილებელია, თავიდან იქნას არიდებული ჩართულობის უარყოფითი შედეგები (ფინანსური ხარჯი, ინფორმაციის უგულებელყოფა, სტუდენტების მიერ ჩართულობის არასწორი გაგება, (მაგალითად, ჩართულობის ნაცვლად, კამათის დაწყება), და ა.შ.

#### 4. სტუდენტთა ჩართულობის მიმართ საქართველოსა და ესპანეთის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წარმომადგენლებისა და სტუდენტების დამოკიდებულება (თვისებრივი კვლევა - ინტერვიუები)

##### 4.1. მეთოდოლოგია

თვისებრივი კვლევის მეორე ნაწილში, სამაგიდე კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, განათლების ხარისხის, განათლების კვლევისა და ფსიქოლოგიის დარგის ექსპერტთა ჩართულობით შემუშავდა ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარი. ამ მიზნით სპეციალურად შეიქმნა კითხვების მატრიცა. კვლევის სამიზნე ჯგუფად განსაზღვრულ იქნა რესპონდენტთა ორი კატეგორია, კერძოდ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები და ბაკალავრიის საფეხურის სტუდენტები. ცხადია, თვისებრივი კვლევისთვის რესპონდენტთა აღნიშნული კატეგორიების შერჩევა განპირობებული იყო იმით, რომ ორივე კატეგორია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხარისხის მართვის პროცესის უშუალო მონაწილეები არიან.

ინტერვიუებისთვის შეირჩა სამი უნივერსიტეტი. მათ შორის, საქართველოს ორი უნივერსიტეტი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სახელმწიფო) და თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი (კერძო), და ესპანეთის ერთი უნივერსიტეტი - კორუნას უნივერსიტეტი (სახელმწიფო). ექსპერტული ინტერვიუები ჩატარდა სამივე უნივერსიტეტის ცენტრალურ და ფაკულტეტის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან. სულ ჩატარდა 9 ექსპერტული ინტერვიუ, აქედან 4 რესპოდენტი ცენტრალური, ხოლო 5 ფაკულტეტიდან გახლდათ (კერძო



უნივერსიტეტს (თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი) არ გააჩნია განათლების ხარისხის მართვის ფაკულტეტური წარმომადგენელი). რესპონდენტთა მცირე რაოდენობა განპირობებულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლების რაოდენობიდან გამომდინარე (მაგალითად, კერძო უნივერსიტეტში ხარისხის სამსახურს მხოლოდ ერთი თანამშრომელი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ჰყავს).

ინტერვიუები აგრეთვე ჩატარდა ამავე უნივერსიტეტების სხვადასხვა ფაკულტეტისა და კურსის ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებთან. სტუდენტებთან სულ ჩატარდა 30 ინტერვიუ. აქედან, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან 10 რესპონდენტი, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტიდან 11, ხოლო კორუნას უნივერსიტეტიდან 9 რესპონდენტი გახლდათ. რესპონდენტთაგან 18 მდებარეობითი, ხოლო 12 მამრობითი სქესის წარმომადგენლები იყვნენ. კვლევის აღნიშნული ნაწილი განხორციელდა 2016-2017 წლებში.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებმა: ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტი, განათლების ფაკულტეტი, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიზნესის ფაკულტეტი, ინჟინერიის ფაკულტეტი, ტექნიკური არქიტექტურის ფაკულტეტი, ფილოლოგიის ფაკულტეტი, ქიმიის ფაკულტეტი.

ქართველი რესპონდენტი სტუდენტებიდან აგრეთვე იყვნენ სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებიც (სულ 7); ხოლო რაც შეეხება კორუნას უნივერსიტეტის სტუდენტებს, აღნიშნულ უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველობის სისტემა საერთოდ არ არსებობს. სტუდენტებს მხოლოდ საშუალება აქვთ სურვილისამებრ გახდნენ ერასმუსის სტუდენტური კავშირის

(ESN) წევრები, ისიც იმ შემთხვევაში, თუ კი მათ მანამდე უსარგებლიათ ერასმუსის გაცვლითი პროგრამით. ერასმუსის სტუდენტური კავშირის წევრების მოვალეობაა სხვადასხვა შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებებისა და აქტივობების დაგეგმა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, რასაც განათლების ხარისხის მართვით საქმიანობასთან არავითარი კავშირი არ აქვს.

ინტერვიუები მიზნად ისახავდა დაგვედგინა:

- რამდენად და რატომ არიან ჩართულნი სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განათლების ხარისხის მართვისა და ხარისხის ორგანიზაციული განვითარების პროცესში;
- სტუდენტთა ჩართულობის რა სახის ინსტრუმენტები გამოიყენება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ხარისხის მართვის სამსახურის მიერ;
- რა მოსაზრებები გააჩნიათ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებს განათლების ხარისხის მართვის დეპარტამენტის შესახებ;
- რა სახის მოტივაცია გააჩნიათ სტუდენტებს ხარისხის მართვის პროცესში ჩართულობის დროს;
- რა გავლენის მოხდენა შეუძლია სტუდენტთა ჩართულობას მათი სწავლის მოტივაციის ზრდაზე, და პირიქით, რა გავლენა აქვს სტუდენტის შეფასებასა და ჩართულობას განათლების ხარისხის მართვაზე;
- როგორია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განათლების ხარისხის მართვის პროცესში სტუდენტთა ჩართულობის ქცევითი, კოგნიტური და დამოკიდებულებითი (ემოციური) კომპონენტები;
- რამდენად და რატომ არიან სტუდენტები საკუთარი უნივერსიტეტის განათლების ხარისხით კმაყოფილები/უკმაყოფილოები;

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხარისხის მართვის პროცესში სტუდენტთა ჩართულობის დადებითი და უარყოფითი მხარეები;
- როგორია სტუდენტთა მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები განათლების ხარისხის მართვის პროცესში სტუდენტთა ჩართულობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

#### 4.2. სტუდენტთა ჩართულობის მიმართ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების დამოკიდებულება

##### *სტუდენტების ფორმალური ჩართულობა*

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია სტუდენტების ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში უზრუნველყოს, სადაც სტუდენტების გარდა, აკადემიური პერსონალი, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები არიან ჩართულნი. აგრეთვე, თითოეული პროგრამა გადის ექსპერტიზას კანონმდებლობასთან შესაბამისობის თვალსაზრისით, შემდგომ პროგრამა მუშავდება ხარისხის მართვის სამსახურის მიერ, და საბოლოოდ, პროგრამა დეკანმა უნდა წარადგინოს აკადემიურ და წარმომადგენლობით სენატზე, სადაც კვლავ სტუდენტური თვითმართველობის ხელმძღვანელი და კურსდამთავრებულნი არიან ჩართულნი. საბჭო იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას პროგრამის დანერგვისა თუ არდანერგვის შესახებ. აღნიშნული პროცესი სტუდენტების ფორმალური ჩართულობის ერთ-ერთი გამოხატულებაა, რომელიც უნდა დარეგულირდეს ყველა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.

„საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“ აგრეთვე არეგულირებს სტუდენტთა თვითმმართველობის ჩართულობას, რომლის მიხედვითაც, თვითმმართველობის წევრები ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის განვითარების, წინადადების შეთავაზებისა და ხარისხის მართვის პროცესში.

უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა ჩართულობის კონკრეტული მაგალითების ილუსტრირებისას, რესპოდენტები ჰყვებიან სტუდენტთა ჩართულობის ოფიციალურად, კანონით განსაზღვრულ და რეგულირებად პროცედურებს, ნაკლებად, ან თითქმის არ სახელდება რაიმე კონკრეტული შემთხვევა სტუდენტთა ინიციატივის, წინადადებისა თუ სხვაგვარი ჩართულობის მაგალითები ხარისხის განვითარების საქმიანობაში. თუმცა, ისინი თავისუფლად ჰყვებიან სტუდენტური თვითმმართველობის წევრების ჩართულობის შემთხვევებს.

ამგვარად, ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტებში ძირითადად არსებობს სტუდენტური თვითმმართველობის წევრების ჩართულობის მოწესრიგებული სისტემა, თუმცა, სხვა რიგითი სტუდენტების ჩართულობა განათლების მართვის კუთხით ნაკლებად ხდება. ხარისხის მართვის სამსახურის თქმით, ეს გამოწვეულია სტუდენტების ნაკლები ინტერესით, რადგანაც მათ დაინტერესების შემთხვევაში, შეუძლიათ მოიძიონ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, თუნდაც საკუთარი უფლებებისა და ჩართულობის შესაძლებლობების შესახებ.

*“საბჭოს წევრების ერთი მეოთხედი სტუდენტები გახლავთ, რომლებიც ჩართულნი არიან საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და მოდიფიცირების საკითხებში.” (თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახური, კერძო)*

„საქართველოს კანონის უმაღლესი განათლების შესახებ მე-6 თავის, 45-ე მუხლში, საუბარია სტუდენტურ თვითმმართველობაზე, სადაც წერია, რომ სტუდენტური თვითმმართველობა უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის განვითარებაში, თუმცა, სხვა სტუდენტის ჩართულობა ცოტათი შეზღუდულია.“ (ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრალური სამსახური, სახელმწიფო)

„თვითმმართველობის წარმომადგენლები, რომლებიც სტუდენტებს წარმოადგენენ, აქტიურად მონაწილეობენ ფაკულტეტის საბჭოს მიერ დაგეგმილ შეხვედრებში. მაგალითად, ფაკულტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლები წინააღმდეგნი იყვნენ ინგლისურ ენოვანი ლიტერატურის რაოდენობის ზრდისა და მათი მოთხოვნა დაკმაყოფილდა.“ (ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სახელმწიფო)

რაც შეეხება, კურიკულუმს გარეშე აქტივობებს, ამ შემთხვევაშიც, სტუდენტები/სტუდენტური თვითმმართველობა უფრო მეტად აქტიურნი არიან. მათი საქმიანობა უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან დამოუკიდებელია. როგორც წესი, სტუდენტური შემეცნებითი და გასართობი აქტივობები უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი ბიუჯეტით ხორციელდება.

„თვითმმართველობა უნივერსიტეტის მხარდაჭერით ახორციელებს, შემეცნებით, გასვლით და სპორტულ ღონისძიებებს; სტუდენტებს ამ შემთხვევაში თავიანთი სისტემა აქვთ და ჩვენ, ადმინისტრაცია არ ვერევიტ მათ არჩევნებში, და შიდა დებულებებში. მხოლოდ ხელს ვუწყობთ მათ საქმიანობას.“ (თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახური, კერძო)

## *ჩართულობის ინსტრუმენტი - შეფასების კითხვარი*

აღსანიშნავია, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს გააჩნიათ განათლების ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შემუშავებული ლექტორისა და სასწავლო პროცესის შეფასების კითხვარი, რომელსაც, როგორც კვლევამ აჩვენა, აღნიშნული სამსახური სამივე უნივერსიტეტში საკმაოდ აქტიურად იყენებს. თუმცა, მათი გამოყენების ინტერვალი, წესი და შინაარსი განსხვავდება ყველა დაწესებულებაში. სტუდენტების გამოკითხვა მიზნად ისახავს მათი აზრის გაგებას სასწავლო პროცესის, პროფესორისა და მასალების შესახებ. გამოკითხვა ონლაინ რეჟიმში ან წერილობითი ანკეტირებით ხდება. გამოკითხვის მონაწილეების შესახებ ინფორმაცია ანონიმურია.

*„საჭიროა, გვექონდეს ხარისხის სისტემა და ვაკონტროლოთ აღნიშნული სისტემის პროცესი, კერძოდ, სტუდენტების კმაყოფილება პროფესორით, მასალებით, სასწავლო პროცესითა და სხვ. წელიწადში ერთხელ ვუგზავნით სტუდენტებს შეავსონ კითხვარი, ვუგზავნით პირველ და მე-3 კურსელებს. რაიმე პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში, გვყავს კოორდინატორი, რომელიც ესაუბრება პროფესორს, განმეორებითი შემთხვევის დროს კი მივმართავთ გარკვეულ ზომებს.“*  
(კორუნას უნივერსიტეტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სახელმწიფო)

*„იმისათვის, რომ რომელიმე სტუდენტის ხმა ისე არ მოვიდეს ჩვენამდე, ყოველწლიურად ვაკეთებთ სტუდენტთა ანკეტირებას. შემუშავებული გვაქვს სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესის შეფასების სისტემა: როგორ მოსწონთ სასწავლო პროცესი, როგორია დაგეგმარება, იღებენ თუ არა საჭირო ინფორმაციას, არის თუ არა სასწავლო ცხრილი დროულად შემუშავებული, რამდენად დროულად ემსახურება ადმინისტრაცია სტუდენტებს, და ა.შ. ხოლო მეორე სახის კითხვარი ემსახურება აკადემიური და მოწვეული პროფესორების შეფასებას,*

თითოეული სტუდენტი აფასებს იმ ლექტორს, ვინც მას ასწავლის. გამოკითხვა ანონიმურია. მას წელიწადში ერთხელ ყველა ფაკულტეტის ბაკალავრისა და მაგისტრატურის სტუდენტები ავსებენ. გამოკითხვა აგრეთვე კეთდება ელექტრონულადაც. ჩვენ ვამუშავებთ კითხვარს, და საჭიროებისამებრ, ხდება საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა, მოდიფიცირება ან პერსონალის ინფორმირება უკეთესად მუშაობის შესახებ“. (თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახური, კერძო)

*შეფასების კითხვარი, როგორც არასანდო ინსტრუმენტი*

მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლები სტუდენტების გამოკითხვას მათი ჩართულობის ერთ-ერთ უმთავრეს (ხშირ შემთხვევაში, ერთადერთ) ინსტრუმენტად თვლიან, თითქმის ყველა რესპოდენტმა (უნივერსიტეტის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლები) განაცხადა, რომ სტუდენტების უმეტესობა ან არ ავსებს კითხვარს, ან ავსებს მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით, მაშინ როდესაც ონლაინ ბაზა არ აძლევს სტუდენტს საკუთარ პროფილზე გადასვლის საშუალებას, თუ კი კითხვარს არ შეავსებენ. მსგავსი იძულებითი შევსების გამო, გამოკითხვა არარელევანტურ შედეგებს იძლევა. განათლების ხარისხის მართვის სამსახური, ხშირ შემთხვევაში, თავად მიიჩნევს გამოკითხვას შეფასების კითხვარის მეშვეობით, როგორც “ფორმალურ“ და არასანდო ქმედებას; მიუხედავად იმისა, რომ შეფასების კითხვარი ხარისხის მართვის სამსახურისთვის სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღების ერთადერთი საშუალებაა.

არსებობს კითხვარის შევსების სხვა პრობლემებიც. ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლების აზრით, კითხვარი დიდი მოცულობისაა და შეიცავს სხვადასხვა ტიპის კითხვებს, როგორც ღია, ისე დახურულს. რაც იწვევს სტუდენტების დაბნეულობასა და დაზარებას. ასევე, სტუდენტები ვერ აცნობიერებენ შეფასების კითხვარის შევსების მიზანს, რადგანაც ხარისხის მართვის სამსახური სტუდენტს ამის შესახებ ინფორმაციას არ/ვერ აწვდის. კითხვარის განთავსება ონლაინ სივრცეში ხდება ყოველგვარი შესავლის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პრობლემების დასახელება მოხდა თავად ხარისხის მართვის დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ, რომლის მოვალეობაცაა კითხვარების კორექტირება და გაუმჯობესება, ზემოთ აღწერილი პრობლემები კვლავ დღის წესრიგში რჩება, და ფაქტია, არ ხდება ან გვიანდება კითხვარზე მუშაობა მისი გაუმჯობესების მიზნით.

*„სტუდენტები დიდი აქტივობით არ გამოირჩევიან. დრო უნდა ამ ყველაფრის დახვეწას. კითხვები დახურული და ღია სახისაა, მათ შეუძლიათ მოსაზრებები და შენიშვნები დაწერონ“. (თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახური, კერძო)*

*„შეფასების კითხვარში არის კითხვა, მაგალითად, მოსწონთ თუ არა სილაბუსი და სტუდენტმა უნდა აღნიშნოს ერთიდან ხუთამდე, ძირითადად 4-ს ან 5-ს ხაზავენ. და ეს ინფორმაცია კი არაფრის მომცემია. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ სტუდენტებს ეზარებათ საკუთარი ხელით ჩაწერა რა მოსწონთ და რა არა. ამიტომ მსგავსი კითხვები უნდა იყოს რაოდენობრივი კვლევის სტილში და თითოეულ ჩამონათვალზე შემდგომ მონიშნოს სტუდენტმა სასურველი გრაფა. მაგრამ ამან შეიძლება კიდევ სხვა პრობლემა გამოიწვიოს - კითხვარის სიდიდე, რადგან კითხვარი რაც უფრო დიდი იქნება, მით უფრო დაეზარებათ მისი შევსება“.*



*(ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სახელმწიფო)*

*უნდობლობა შეფასების კითხვარის მიმართ*

ამავდროულად, განათლების ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლების აზრით, სტუდენტებში არსებობს გარკვეული უნდობლობა და გულგატეხილობა შეფასების კითხვარის მიმართ. აღნიშნულ მოსაზრებას რესპოდენტები საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ამბობენ (რესპოდენტთაგან იყვნენ ყოფილი სტუდენტები, რომლებიც ამჟამად ხარისხის სამსახურში არიან დასაქმებულნი). თუმცა, მიუხედავად საკუთარი წარსულისა, მათ ვერ (ან არ) მოახერხეს სტუდენტების ნდობის მოპოვება ანდა კითხვარების დახვეწა, რათა იგი ამჟამინდელი სტუდენტებისთვის მიმზიდველი, საინტერესო და, რაც მთავარია, შედეგის მომტანი ყოფილიყო. აღნიშნული ტენდენცია შეინიშნება ძირითადად სახელმწიფო სასწავლებლებში, რადგანაც სახელმწიფო სასწავლებლების ხარისხის სამსახურის სამტატო ერთეული ბევრად დიდია, ვიდრე კერძო დაწესებულებების, რაც იმის საშუალებას იძლევა გამოცდილ თანამშრომელთან ერთად, აყვანილ იქნას შედარებით ახალგაზრდა თანამშრომელი დამხმარე ან ასისტენტის სახით. კვლევაში მონაწილე ყველა სასწავლო დაწესებულებაში მსგავსი პოზიცია ამავე დაწესებულების ყოფილ სტუდენტს (ახალ კურსდამთავრებულს) უკავია, და ისინი ღიად საუბრობდნენ საკუთარი გამოცდილებისა და ხარისხის მართვაში არსებული პრობლემების შესახებ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მათ კარგად ესმის საკუთარი საგანმანათლებლო დაწესებულების განათლების ხარისხის მართვის პროცესში სტუდენტთა ჩართულობის პრობლემები და შესაძლებლობები, აგრეთვე, ისინი უნდა აანალიზებდნენ აღნიშნული პრობლემებისა და გამოწვევების გადაჭრის გზებსა და

მეთოდებს. მნიშვნელოვანია, სწორედ მათ მოახერხონ სტუდენტებთან დიალოგის დამყარება, მათი ნდობის მოპოვება და აქტიური ჩართულობა.

ინტერვიუებიდან ნათლად ჩანს, რომ რესპოდენტები უკმაყოფილებას გამოხატავენ იმ სტუდენტების რაოდენობით, ვინც ავსებს კითხვარს, და აგრეთვე გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ხარისხის სამსახურის იმ ახალგაზრდა წარმომადგენლებს, რომლებიც რამდენიმე წლის წინ თავადაც სტუდენტები იყვნენ, ამჟამინდელი სტუდენტების გულახდილობის იმედი არ აქვთ (თავიანთი გამოცდილებიდან გამომდინარე). თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ რესპოდენტებმა იციან სტუდენტების ნაკლებად გულახდილობის მიზეზი, ინტერვიუს დროს, ვერც ერთმა მათგანმა ვერ ჩამოაყალიბა უნივერსიტეტის, კერძოდ კი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული აღნიშნული პრობლემის მოგვარების რაიმე სახის სტრატეგია თუ ხედვა.

*„სტუდენტის მიერ კითხვარის შევსების დროს ხდება ყველაზე დიდი უბედურება. მინდა გითხრათ გულწრფელად, როდესაც მეც ვიყავი სტუდენტი, მეც არ ვიყავი გულახდილი, რადგანაც ძალიან მცირე იმედი მქონდა რაიმეს შეცვლის“.*  
*(ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრალური სამსახური, სახელმწიფო)*

ზემოთ მოყვანილი ციტატა ეკუთვნის ყოფილ სტუდენტს, რომელიც ამჟამად განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში მუშაობს. ინტერვიუდან მკაფიოდ გამოიკვეთა რესპოდენტის დამოკიდებულება კითხვარების მიმართ. იგი აღნიშნავს, რომ თავად მასაც სტუდენტობის პერიოდში არ ჰქონდა რაიმეს შეცვლის იმედი კითხვარის შევსების შედეგად. მსგავსი პასუხი მივიღეთ კორუნას უნივერსიტეტის ხარისხის მართვის ცენტრალური სამსახურის წარმომადგენლისგანაც, რომელიც აგრეთვე უახლოეს წარსულში ამავე უნივერსიტეტის სტუდენტი გახლდათ.

„ჩვენ გვაქვს ორი განსხვავებული ტიპის გამოკითხვა, ერთია - სწავლებისა და სასწავლო პროცესის შესახებ გამოკითხვა, სადაც სტუდენტთა 80%-ია ჩართული, და მეორე ლექტორების შეფასება, სადაც მხოლოდ სტუდენტთა 20% აქტიურობს“. *(კორუნას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრალური სამსახური, სახელმწიფო)*

### *შეფასების კითხვარის შევსების დაბალი მაჩვენებელი*

კვლევამ აჩვენა, რომ რესპოდენტთა უმრავლესობა უკმაყოფილოა სტუდენტთა აქტიურობითა და შეფასების კითხვარის შევსებაში მონაწილეობით. მათი თქმით, ძირითადად, სტუდენტთა მხოლოდ 20%-იანი ჩართულობა ფიქსირდება, რაც საკმაოდ დაბალია ორივე ტიპის - კერძო და სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისთვის. აქვე უნდა ითქვას, რომ მათივე აზრით, სტუდენტთა ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი მიღებულ შედეგებსა და ინფორმაციის რელევანტურობაზე ახდენს გავლენას. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ როგორც ინტერვიუებმა აჩვენა, სტუდენტთა აქტიურობა განსხვავდება არამარტო უნივერსიტეტების, არამედ ფაკულტეტების მიხედვითაც.

„წინა წელს სტუდენტების 20%-იანი ჩართულობა მივიღეთ, რაც საკმარისი არაა. რამდენიმე წლის წინ იყო 50%-იანი ჩართულობა, რამაც საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია მოგვაწოდა“. *(ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სახელმწიფო)*

რესპოდენტებს შორის იყო ის ადამიანი, რომელსაც დაბალი კურსის სტუდენტის ჩართულობა არასახარბიელოდ მიაჩნია. იგი თვლის, რომ პირველ-

მეორე კურსზე სტუდენტს არ გააჩნია საკმარისი უნარები გარკვეული მოსაზრების გამოთქმისა თუ მართვის პროცესებში მონაწილეობისთვის. იმავე რესპოდენტმა განაცხადა, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაღალი კურსის სტუდენტების ჩართულობა, რადგანაც მათ საკმარისი ცოდნა და შესაბამისი გამოცდილება გააჩნიათ.

*„ბაკალავრიის დონეზე, ძირითადად, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, სტუდენტის ჩართულობა დასაშვებია მეოთხე სემესტრის ზემოთ. იმიტომ, რომ პირველ-მეორე სემესტრელი ჯერ თვითონაც არ არის გაცნობიერებული. შემდგომი ორი სემესტრი ანდომებს იმას, რომ კარგად გაიაზროს რა არის სილაბუსი, ხოლო შემდგომ შესაძლებელია დაინახოს სილაბუსის ხარვეზი“. (ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სახელმწიფო)*

აღსანიშნავია, ზემოთ მოყვანილი მოსაზრების საპირისპირო დებულება, რომლის მიხედვითაც, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მოხდეს დაბალი კურსების ჩართულობა, რადგანაც ისინი აქტიური სტუდენტები არიან, და შეუძლიათ საკუთარ მომავალსა და მომდევნო აკადემიური სემესტრისა თუ წლის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. თუმცა, იგივე რესპოდენტი კვლავ სტუდენტების ინტერესისა და ჩართულობის დაბალ მაჩვენებელზე მიუთითებს.

*„ჩვენი დეპარტამენტი სწავლის დაწყების პირველივე დღეს ხვდება პირველკურსელ სტუდენტებს, ვუხსნით მათი ჩართულობისა და აქტიურობის მნიშვნელობას. თუმცა, სტუდენტებს პირველ და მეორე კურსზე ეს არ აინტერესებთ, ხოლო მეოთხეზე კი უკვე დაგვიანებულია“. (კორუნას უნივერსიტეტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სახელმწიფო)*

### *სტუდენტების ჩართულობის დაბალი მოტივაციის მიზეზები*

ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლების აზრით, სტუდენტების მხრიდან ნაკლები ჩართულობა გამოწვეულია მათი დაბალი მოტივაციით. მათივე აზრით, დაბალი მოტივაციის მიზეზად კი რამდენიმე ძირითადი პრობლემა დასახელდა: 1) *სტუდენტების გულგრილობა* - სტუდენტებს ნაკლებად სწამთ, რომ მათი ჩართულობითა და კითხვარის შევსების შედეგად რაიმე შეიცვლება; 2) *სტუდენტის ნაკლები ცოდნა* - არამარტო განათლების ხარისხის, არამედ ზოგადად სტუდენტური საქმიანობისა თუ უნივერსიტეტში არსებული საკითხის ირგვლივ; 3) *ზოგადად, ქვეყანაში სტუდენტების უხვი რაოდენობა* - ქართველი რესპოდენტების აზრით, ბოლო წლებში, უმეტესობა ქართველი აბიტურიენტებისა სტუდენტი ხდება, როგორც დაბალი ქულის (მინიმალური ზღვრის გადალახვის შემთხვევაში), ისე მაღალი ქულის მიღების შემთხვევაში. განათლების ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლების მიხედვით, დაბალქულიან აბიტურიენტს შემდგომში ნაკლები მოტივაცია აქვს როგორც სწავლის, ისე რაიმე საქმიანობაში ჩართვის; 4) *ეროვნული ხასიათი და მენტალობა* - სამივე სამიზნე უნივერსიტეტის წარმომადგენლების მიერ, სტუდენტების ინერტულობის მიზეზად, ეროვნული ხასიათი და მენტალობა დასახელდა. საინტერესოა, რომ ამ მხრივ მსგავსი აღმოჩნდა ესპანეთისა და საქართველოს უნივერსიტეტების ხარისხის სამსახურების წარმომადგენლების მიერ დასახელებული სტუდენტების პასიურობის არგუმენტაციის საფუძველი, რაც სხვა ადამიანის, ამ შემთხვევაში სხვა სტუდენტის, იმედად ყოფნასა და მოლოდინში ვლინდება.

აგრეთვე, სტუდენტების დაბალი აქტიურობის მიზეზად მათი დროის ნაკლებობა დასახელდა. რადგანაც მათი ძირითადი საქმიანობა სწავლაა, ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლების მიხედვით, სტუდენტებს საკმარისი დრო

არ აქვთ შეხვედრებზე დასასწრებათა და მართვის საქმიანობაში ჩართვისთვის. აქვე, მნიშვნელოვანია ავლნიშნოთ, რომ როგორც სამაგიდე კვლევამ აჩვენა, უცხოურ გამოცდილებაზე დაყრდნობით, წამყვან უნივერსიტეტებში ხშირად სტუდენტების წახალისებაც კი ხდება მათი აქტიურობის სანაცვლოდ, მაგალითად, სერთიფიკატების გადაცემა.

*„მათი ჩართულობის ზრდისთვის, საჭიროა, მხარი დავუჭიროთ მათ გადაწყვეტილებებს, გამოვუცხადოთ საჯარო მხარდაჭერა და შევხვედეთ სხვადასხვა შეხვედრებზე, თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ისინი სტუდენტები არიან და ლექციების გამო, მსგავს შეხვედრებს ხშირად ვერ დაესწრებიან.“*  
(კორუნას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრალური სამსახური, სახელმწიფო)

*ხარისხის მართვაში სტუდენტთა ჩართულობის ზრდის მეთოდები*

აღსანიშნავია, რომ ინტერვიუს პროცესში, სამივე უნივერსიტეტის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყველა წარმომადგენელმა გამოხატა სტუდენტების ჩართულობის ზრდის სურვილი, რადგანაც მათი აზრით, მეტი სტუდენტის ჩართულობის შემთხვევაში, გაიზრდება აღნიშნული დეპარტამენტის საქმიანობის ხარისხიც. ხარისხის სამსახურის წარმომადგენლების ხედვით, სტუდენტების აქტიურობის ზრდის პარალელურად, მოიმატებს მათი პასუხისმგებლობაც სტუდენტების მიმართ.

*„თუ სტუდენტი უფრო ჩართული იქნება და უფრო მეტს მომთხოვს, მეც უფრო მეტს გავაკეთებ. საზოგადოება იმას იღებს, რაც არის მისი დაკვეთა“* (ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრალური სამსახური, სახელმწიფო).

ინტერვიუების შედეგებმა აჩვენა, რომ ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებს ძალზე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ სტუდენტთა ჩართულობა. მათი აზრით, არ უნდა ხდებოდეს მხოლოდ სტუდენტური თვითმართველობის წევრების ჩართულობა, რაც გარკვეულ წილად „ჩაკეტილ“ წრეში ხორციელდება. მათ, აგრეთვე, გააჩნიათ აღნიშნული საკითხისა თუ პრობლემის მოგვარების გარკვეული მოსაზრებები. მაგალითად, მათი აზრით, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მიმართულებით განხორციელდეს სისტემური ცვლილებები სამინისტროს დონეზე, უკეთ დაიგეგმოს კომუნიკაცია აბიტურიენტს, სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის. სასურველია, გაძლიერდეს ჩართულობა ფაკულტეტზე, რისთვისაც უნდა მოხდეს საინფორმაციო დაფების გამოყენება და შეხვედრების ორგანიზება. კვლევამ, აგრეთვე, ცხადყო, რომ რესპოდენტების უმეტესობას კარგად აქვს გააზრებული და შესწავლილი სტუდენტების ჩართულობის პრობლემა. მათ იციან უცხოური გამოცდილებისა და საუკეთესო მაგალითების პოზიტიური შედეგის შესახებ სტუდენტთა ჩართულობის ზრდის კუთხით. თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, ისინი კვლავ აცხადებენ, რომ შეუძლებელი, ან ძალზე რთულია სტუდენტების ჩართულობა ხარისხის მართვის პროცესში. აქვე, რესპოდენტები საუბრობენ სტუდენტებთან კომუნიკაციის დამყარების პრობლემებზე, რომელზეც ისინი თავად არიან პასუხისმგებელნი და მისი გამოსწორების ოფიციალური/არაოფიციალური შესაძლებლობაც მათ გააჩნიათ. მიუხედავად ამისა, რესპოდენტთა უმრავლესობა სამინისტროსა და სკოლაზე მიუთითებს და აღნიშნავენ, რომ სტუდენტებს მათი აქტიურობისა და ჩართულობის შესახებ ინფორმაცია სკოლიდანვე უნდა მიეწოდებოდეს.

*„ინგლისში საინტერესო პრაქტიკა აქვთ, ისინი ღია კარის დღეს ატარებენ, ოღონდ ეს არ ხდება მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში, არამედ უფრო ხანგრძლივად. შეხვედრები ხდება მომავალ სტუდენტებთან. მნიშვნელოვანია,*

გვეხსენება სკოლებთან მჭიდრო კავშირი, სამინისტრო უნდა უზრუნველყოფდეს დამამთავრებელი კლასის სტუდენტებისთვის საინფორმაციო შეხვედრებს, ბავშვები თავისუფალი მსმენელების რანგში უნდა ესწრებოდნენ ლექციებს. ბავშვები აზარებენ უნივერსიტეტში, და შემდგომ ხვდებიან, რომ მათ ეს სულაც არ უნდოდათ. ინგლისში კი ბავშვები სკოლიდანვე ეცნობიან როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად სტუმრობენ უნივერსიტეტებს და სწავლობენ უნივერსიტეტის სისტემას, და მათ იციან სად აზარებენ და რა უნდათ. ალბათ, კომუნიკაციის პრობლემაა“. (ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრალური სამსახური, სახელმწიფო)

„მეც როცა სტუდენტი ვიყავი არ ვიცოდი უნივერსიტეტის სისტემა და სტუდენტური ცხოვრება, კრედიტი ჩემთვის ვალთან და ბანკის კრედიტთან ასოცირდებოდა. ამიტომ, მნიშვნელოვანია სტუდენტისთვის თავიდანვე ან სკოლის ასაკში მიეწოდოს უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაცია“. (ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრალური სამსახური, სახელმწიფო)

თუმცა, საბოლოო ჯამში, ინტერვიუების შინაარსის გაანალიზების შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ნათელი და მტკიცე სტრატეგია სტუდენტების ჩართულობის ზრდის თვალსაზრისით არ გააჩნიათ ან ვერ ახორციელებენ, რაც კვლევის შედეგად გამოვლენილმა ზემოთ აღწერილმა პრობლემებმა დაადასტურა. მაგალითად, მათ კარგად ესმით აღნიშნული გამოწვევები, თუმცა იქვე დასძენენ, რომ უჭირთ სტუდენტების ჩართვა და მათი ინტერესის ზრდა. ეს შესაძლებელია ხარისხის მართვის სამსახურში დასაქმებულთათვის თანამედროვე ტრენინგების საჭიროებაზე მიუთითებს გარკვეული კომპეტენციების ამაღლებისა და უნარების განვითარების მიზნით.



*„სურვილი მაქვს სტუდენტები მეტად იყვნენ აქტიურები. უნივერსიტეტი, თავისი მიზნიდან გამომდინარე, ორიენტირებულია არა მხოლოდ ფუნდამენტური მეცნიერების შესახებ ცოდნის მიწოდებაზე, არამედ გვსურს, საზოგადოებაში ადაპტირებული ადამიანის ჩამოყალიბებასაც შევუწყოთ ხელი. თუმცა, რაც კი არსებობს უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილება, რომლებიც ჩვენზე ადრე გადავიდნენ სტუდენტზე ორიენტებულ სისტემაზე, ყველა გამოყენებული გვაქვს. როგორ შევუწყოთ ამაზე მეტად მათ ჩართულობას, არ ვიცი, მგონია, რომ სხვა მეტი მექანიზმი უბრალოდ არ არსებობს ბუნებაში, მე ვერ ვხედავ ყოველ შემთხვევაში. გაიდლაინები, ხარისხის შეფასებების სახელმძღვანელოები, მეთოდოლოგიური სიახლეები, ყველაფერს ვეცნობი, და ვფიქრობ, რომ მაქსიმუმს ვაკეთებ.“*  
(თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახური, კერძო)

*„კითხვა სტუდენტთა ჩართულობის გაზრდის შესახებ კოკა-კოლას რეცეპტივითაა, არავინ იცის. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სტუდენტები უნივერსიტეტში 4 წელი სწავლობენ და შემდგომ მიდიან. ჩვენ და პროფესორები კი დიდი ხნით ვჩერდებით უნივერსიტეტში. ამიტომ, ხშირად ჩვენი მონაწილეობა უფრო ხშირია, ვიდრე სტუდენტების. (კორუნას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრალური სამსახური, სახელმწიფო)*

რესპოდენტებმა სტუდენტების ჩართულობის ზრდის საინტერესო სტრატეგიები შემოგვთავაზეს. კერძოდ,

1) იმის გამო, რომ შეუძლებელია ხარისხის სამსახურის რამდენიმე წარმომადგენელმა ორგანიზება გაუწიოს ფაკულტეტის მრავალრიცხოვანი სტუდენტების ჩართულობას ყველა პროგრამაში, უმჯობესია თუ კი სტუდენტთა მონაწილეობას უშუალოდ პროგრამის ხელმძღვანელები შეუწყობენ ხელს. აღნიშნული სტრატეგია ზოგიერთ ფაკულტეტზე ხორციელდება, თუმცა, საჭიროებს დახვეწას.

*„ჩვენ გვაქვს რეკომენდაცია, რომ ჩავრთოთ სტუდენტები, რადგანაც პროგრამის შემუშავების შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი მასში სტუდენტთა ჩართულობაა. ამიტომ, ვთხოვთ პროგრამის ხელმძღვანელებს, რომ მათ ჩართონ სტუდენტები, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, სტუდენტებს ეზარებათ“. (ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სახელმწიფო)*

2) გარდა პროგრამის ხელმძღვანელების მიერ სტუდენტთა ჩართულობისა, აგრეთვე, გაჟღერდა რეკომენდაცია თავად ლექციისა და სემინარის ლექტორების მიმართ. ერთ-ერთი რესპოდენტი ურჩევს ლექტორებს, რომ საკუთარი ლექციის/სემინარის დროს ან კურსის ბოლოს ჩაატაროს გამოკითხვა კითხვარის ან გასაუბრების მეშვეობით, და დაადგინოს საკუთარი კურსის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რაც დაეხმარება მათ კურსის დახვეწაში.

*„პირადად მე, როდესაც სტუდენტებს ახალ საგანს ვასწავლიდი ექსპერიმენტულ ჯგუფს, შევავსებინე კითხვარი, რომელიც დამეხმარა შემდეგი კურსის კომფორტულად დაგეგმასა და დახვეწაში. საინტერესო იყო სტუდენტთა რჩევები“. (ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სახელმწიფო)*

თუმცა, ზემოთ მოყვანილი რეკომენდაციები არ არის სისტემური და მისი განხორციელების შემთხვევაში მხოლოდ ცალკეული ლექტორები მიიღებენ ინფორმაციასა და უკუკავშირს, რაც, საბოლოო ჯამში, უნივერსიტეტის გლობალურ განვითარებასა და ორგანიზაციულ მართვაზე სასურველ გავლენას ვერ მოახდენს.

3) სტუდენტთა ჩართულობის ზრდის მეთოდად, აგრეთვე, დასახელდა შეფასების კითხვარის დახვეწა და კითხვების სტუდენტებისთვის უფრო მეტად სახალისოდ მიწოდება. აქვე, რამდენიმე რესპოდენტმა აღნიშნა, რომ არ შეიძლება

სტუდენტების იძულება კითხვარის შევსების დროს (მაგალითად, საკუთარ პროფილზე მიუწვდომლობა კითხვარის არშევსების შემთხვევაში). თუმცა, აქვე აღსანიშნია, რომ კითხვარების დახვეწა ხარისხის მართვის დეპარტამენტის ვალდებულებაა, შესაბამისად, მათი სამუშაო მიმართული უნდა იყოს აღნიშნული პრობლემის მოგვარებისკენ.

*„შეფასების კითხვარში ისეთი კითხვებია, სტუდენტებს ეზარებათ მისი შევსება. ახლა უნდოდათ მისი ცვლილება, თუმცა, ვერ განხორციელდა. ისეთი რაღაც ჯერ ვერ მიიღეს, რაც ხელს შეუწყობდა სტუდენტს ხალისით შეევსო კითხვარი“. (ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სახელმწიფო)*

4) აგრეთვე, მნიშვნელოვანია ვახსენოთ, რომ ხარისხის სამსახურის რამდენიმე წარმომადგენლისგან (ძირითადად, ფაკულტეტის წარმომადგენლებისგან) დასახელდა თვითონ დეპარტამენტში არსებული შიდა პრობლემა, რაც პერსონალის სიმცირეს გულისხმობს. მათ აღნიშნეს, რომ ფაკულტეტზე ამდენ პროგრამას მხოლოდ რამდენიმე ადამიანი უძღვებოდეს საკმაოდ რთულია. მათი აზრით, კარგი იქნება, თუ კი თანამშრომლების რაოდენობა დამოკიდებული იქნება ფაკულტეტის სიდიდესა და მათი პროგრამების რაოდენობაზე.

*„ხარისხს ფაკულტეტებზე უფრო მეტი თანამშრომელი უნდა ყავდეს, მაგალითად, ორ-ორი პროგრამა ეზაროს თითოს, და არა ისე, როგორც ხდება, რომ ორი ან სამი კაცი აკეთებდეს, მთლიანი ფაკულტეტის პროგრამებს. ძალიან შრომატევადი საქმეა, თუნდაც, მხოლოდ პროგრამების ტექნიკური შემოწმება“. (ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სახელმწიფო)*

### *სტუდენტთა ჩართულობის დადებითი და უარყოფითი მხარეები*

ინტერვიუების შედეგად, გამოიკვეთა ხარისხის მართვის სამსახურის აზრით, სტუდენტის ჩართულობის (სამომავლო) დადებითი და უარყოფითი მხარეები. უმთავრეს დადებით მხარედ მიჩნეული იქნა, უნივერსიტეტში არსებული პრობლემების წარმოჩენა, მათი ანალიზი და შედეგებზე დაყრდნობით განვითარების სტრატეგიის დასახვა/იმპლემენტაცია, რაც შემდგომში აღნიშნული დეპარტამენტის საქმიანობას შეუწყობს ხელს. ისინი ხაზს უსვამენ იმას, რომ სტუდენტების ჩართულობა არა მხოლოდ ცალკეული უნივერსიტეტებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მოთხოვნაა, არამედ ქვეყნის განათლების სახელმწიფო პოლიტიკაა. რესპოდენტთა აზრით, სტუდენტების ჩართულობა ზუსტი და საჭირო ინფორმაციის შეგროვებისა და სწორი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. კვლევამ აჩვენა, რომ რესპოდენტთა ნაწილს კარგად ესმის სტუდენტები უშუალო მომხმარებლები არიან, შესაბამისად, მათი საქმიანობა სტუდენტთა მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს უნდა ეყრდნობოდეს.

*„ხშირად სტუდენტები სამართლიან შენიშვნებს იძლევიან, მაგალითად, თუ კი ლექტორი სისტემატურად აცდენს ან იგვიანებს ლექციაზე. ეს პრობლემები კი მოგვარებადია“. (ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სახელმწიფო)*

*„სტუდენტთა ჩართულობა მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ ვაღდებულნი ვართ ჩავრთოთ ისინი, არამედ საჭიროა, მოვისმინოთ მათი იდეები, საჩივრები, და მოვახდინოთ მასზე რეაგირება“. (კორუნას უნივერსიტეტის ფაკულტეტოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სახელმწიფო)*

*„ჩვენთვის დადებითი ის არის, რომ მათი (სტუდენტების) ჩართულობით, მივიღებთ სტუდენტზე ორიენტირებულ სისტემას, რაც სახელმწიფოს პოლიტიკაა, და შესაბამისად, უნივერსიტეტის პოლიტიკაც. ჩვენ გსურს, რომ სტუდენტი იყოს პროცესების ცენტრში“. (თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახური, კერძო)*

*„სტუდენტის მიერ დანახული პრობლემა, შენიშვნის ან რეკომენდაციის დონეზე მოწოდებული ინფორმაცია ძალიან მნიშვნელოვანია ხარისხის მუშაობისთვის, რადგანაც სტუდენტებს უშუალოდ ეხებათ პროგრამის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ჩვენ სხვა კუთხით ვამოწმებთ, ვახარისხებთ და ვდებთ, მაგრამ სტუდენტები არიან მომხმარებელნი და პროცესში ისეთ შეცდომას ან რეკომენდაციას გვაწვდიან, რაც ძალზე ფასეულ ინფორმაციას იძლევა.“ (ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სახელმწიფო)*

თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ზემოთ ხსენებულ ინფორმაციას უმეტესობა რესპოდენტებისა (გარდა, საქართველოს უნივერსიტეტის ერთი ფაკულტეტის წარმომადგენლებისა, რომელთაც განაცხდეს, რომ მათი ფაკულტეტის სტუდენტები საკმაოდ აქტიურები არიან) იღებს მის მიერ ჩატარებული ლექციების დროს, საკუთარი სტუდენტებისგან, და არა როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის რანგში. აღნიშნული დადასტურდა იმ რესპოდენტთან ინტერვიუს დროს, ვისაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გარდა, უნივერსიტეტში აკადემიური საქმიანობითაც არის დაკავებული.

*„სტუდენტთა პრობლემები, რაც ზემოთ ვახსენე ძირითადად მოსმენილი მაქვს სტუდენტებთან პირადი საუბრისას, სალექციო კურსის დროს“. (ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სახელმწიფო)*

ხოლო სტუდენტის ჩართულობის უარყოფითი შედეგის მიზეზი მათი ახალგაზრდული სული დასახელდა, რაც მათ სულსწრაფობასა და გამოუცდელობაში გამოიხატება. რესპოდენტთა აზრით, შესაძლებელია სტუდენტებმა იმპულსური გადაწყვეტილება მიიღონ, ნაჩქარევი დასკვნა გამოიტანონ ან არარელევანტური აზრი გამოთქვან, რამაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს უნივერსიტეტის საქმიანობას ან პრესტიჟს.

*„უარყოფითი შედეგი, ალბათ ის, რომ ახალგაზრდები არიან და ცოტა სისხლი უდუღთ, და შეიძლება არასწორად მოითხოვონ, არასწორ ადგილას ის რაც სურთ. სხვა უარყოფითს ვერაფერს ვხედავ, პირიქით დადებითია როდესაც სტუდენტი ჩაერთვება“. (ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრალური სამსახური, სახელმწიფო)*

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, კვლევამ აჩვენა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ხარისხის მართვის სამსახური უნდობლობას პირდაპირ გამოხატავს სტუდენტების მიმართ, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფით გავლენას ახდენს სტუდენტთა ჩართულობაზე. ხარისხის მართვის სამსახური, ხშირ შემთხვევაში, უნდობლობის გამოხატვით სტუდენტებს სხვადასხვა „ბრალეულობას“ უყენებს, როგორცაა, სიზარამცე, მოუმზადებლობა, საკითხის ნაკლები ცოდნა და სხვ. ამის ერთ-ერთი მაგალითია, ხარისხის სამსახურის რეაქცია სტუდენტების მიერ გამოხატულ მოსაზრებაზე გამოცდის ფორმატის შესახებ, როდესაც მიუხედავად იმისა, რომ ხარისხის სამსახურის ერთ-ერთი წარმომადგენელი ეთანხმებოდა სტუდენტთა მოსაზრებას, რადგანაც თავად მასაც იგივე პრობლემა ჰქონდა, როდესაც იმავე ფაკულტეტის სტუდენტი იყო, მთლიანი დეპარტამენტისა და ფაკულტეტის მხრიდან სხვა - შედარებით უხეში რეაგირება მოჰყვა - მათ სტუდენტები სიზარამცეში დაადანაშაულეს, ნაცვლად იმისა, რომ პრობლემა ძირეულად

გამოეკვლიათ, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოსაზრება არა ცალკეულ სტუდენტებს, არამედ სტუდენტთა ჯგუფს ეკუთვნოდა.

*„სტუდენტებმა ერთ-ერთი საგნის გამოცდის შესახებ პროტესტი გამოცდის წინ გამოხატეს, რაც მთელმა საზოგადოებამ, და მათ შორის ლექტორმაც, აღიქვა როგორც მათი სიზარმაცის გამოხატულება. რეალურად, როცა სტუდენტი ვიყავი, ეგ საგანი მეც გავლილი მქონდა და ვეთანხმები ახლანდელ სტუდენტებს, თუმცა, სამწუხაროდ, გამოხატვა მოხდა ცუდ დროს. ამ სტუდენტებს კი ვურჩიე, რომ პროტესტი და რჩევა ლექტორთან სემესტრის განმავლობაში გამოეხატათ, და არა უშუალოდ გამოცდის წინ“. (ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სახელმწიფო)*

ამგვარად, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ სტუდენტთა ჩართულობას გარკვეულწილად სწავლის ხარისხის მონიტორინგის ფუნქცია უნდა მიენიჭოს, თუმცა, საჭიროა, ამ მიმართულებით მკაფიო რეგულაციები/ინსტრუქციები, რათა სტუდენტთა საქმიანობა ობიექტური იყოს და მათი ჩართულობა უნივერსიტეტის სასიკეთოდ გამოყენებულ იქნას.

#### *სოციალური ქსელი - სტუდენტთა ჩართულობის საშუალება*

აღსანიშნავია, რომ ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლები სტუდენტებთან საკომუნიკაციოდ სოციალურ ქსელს აქტიურად იყენებენ. რესპოდენტების მცირე ნაწილმა აღნიშნა, რომ ხარისხის სამსახური ყურადღებით აკვირდება სტუდენტების მიერ სოციალურ ქსელში გამოთქმულ მოსაზრებებს, პრობლემებსა და რეკომენდაციებს, რასაც შემდგომ შემდგომ დაგვარად

რეაგირება მოყვება ხოლმე, მაგალითად, როგორცაა ამა თუ იმ საგნის გამოცდის ფორმატი, ცხრილსა და ბაზასთან დაკავშირებული პრობლემები და სხვ.

*„სტუდენტებს არ მოეწონათ ერთ-ერთი საგნის გამოცდის ფორმატი და საკუთარი პროტესტი სოციალური ქსელის მეშვეობით გამოხატეს. (ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სახელმწიფო)*

*სტუდენტთა ჩართულობაზე გავლენის მომხდენი ფაქტორები*

სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის პროცესში, გამოკვლევულ იქნა, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ დანახული სტუდენტთა ჩართულობის მოტივაცია. გამოიკვეთა როგორც შინაგანი, ისე გარეგანი მამოტივირებლები. ხარისხის სამსახურის წარმომადგენლების აზრით, დასახელდა შემდეგი: 1) ინსტიტუციისშიდა ჩართულობა - თვითგანვითარება, დასაქმებისთვის შესაბამისი ცოდნისა და უნარების შექმნა, დიპლომის მიღება, სასწავლო პროცესისა და სწავლის გაუმჯობესება უკეთესი განათლების მიღების მიზნით და სოციალური ცხოვრების განვითარება; 2) ხოლო ინსტიტუციისგარე ჩართულობა - გარე ძალების გავლენა, სადაც იგულისხმება გარკვეული ძალების ზემოქმედება სტუდენტების ქცევაზე და სტუდენტთა გამოყენება პირადი განზრახვებისა და მიზნების მისაღწევად.

*„სამწუხაროდ, ხანდახან სტუდენტთა მოტივაცია არც ისე სუფთაა. ხდება ისეც, რომ სტუდენტებს სხვადასხვა ძალა პირადი მიზნებისთვის იყენებს“ (ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრალური სამსახური, სახელმწიფო).*



აგრეთვე, ერთ-ერთმა რესპოდენტმა ახსენა სტუდენტთა საპროტესტო გამოსვლა, სადაც სტუდენტები საკუთარ მოთხოვნებსა და პირობებს აყენებდნენ. რესპოდენტის თქმით, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებმა სცადეს სტუდენტთა პრობლემების გარკვევა და მათთან კომუნიკაციის დამყარება, რომლის შედეგადაც გაირკვა, რომ მათი პრობლემები საერთოდ არეხებოდა განათლების ხარისხსა და სასწავლო პროცესის მართვას. აღნიშნული ფაქტი ხაზს უსვამს სტუდენტთა ნაკლებ ინტერესს სწავლის ხარისხის მიმართ.

*რა გავლენას ახდენს სტუდენტების ჩართულობა მათ სწავლაზე?*

აღსანიშნავია ისიც, რომ სამივე უნივერსიტეტის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უმეტეს წარმომადგენელს მიაჩნია, რომ სტუდენტთა ჩართულობა დადებით გავლენას მოახდენს სტუდენტების სწავლის დონის ამაღლებაზე. რადგანაც თუ კი სტუდენტს საშუალება ექნება გამოხატოს საკუთარი აზრი, რომლის შედეგადაც, მათი სურვილის მიხედვით, საგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელდება რაიმე სახის პოზიტიური ცვლილება ან უნივერსიტეტი განვითარდება თუნდაც მცირე კუთხით, მაშინ სტუდენტი უფრო მეტად მოტივირებული და თავდაჯერებული გახდება, რაც შემდგომში გამოხატული იქნება მათ სასწავლო საქმიანობაში.

თუმცა, პრაქტიკაში ვაწყდებით საპირისპირო მაგალითებს, რომელიც ნათლად გვიჩვენებს თუ რა შედეგი შეიძლება მოიტანოს სტუდენტთა აზრის უგულებელყოფამ და გაუთვალისწინებლობამ. ქვემოთ მოყვანილი კონკრეტული მაგალითი ნათლად აღწერს, თუ რა უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიოს სტუდენტთა ჩართულობის ხელის არშეწყობამ მათ მოტივაციასა და სწავლის პროცესზე.

*„სტუდენტებს არ მოსწონდათ გამოცდის სტილი, მასალა დიდი იყო და ვერ ახერხებდნენ მის სწავლას, ამიტომაც, მათ მოითხოვეს ტესტური დავალებების სახით ყოფილიყო საგამოცდო ფორმატი. იმის გამო, რომ სტუდენტების მიერ აზრის გამოხატვა ლექტორის მხრიდან აღქმულ იყო როგორც მათი სიზარმაცე, და არაფერი შეიცვალა, ერთმა სტუდენტმა საგანი ჩაიტოვა და არ გავიდა გამოცდაზე. თუ კი სტუდენტის მოთხოვნა გარკვეულწილად მაინც დაკმაყოფილდებოდა, ეს პირდაპირ დადებით გავლენას მოახდენდა მის მიერ ამ საგნის სწავლაზე“.* (ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სახელმწიფო)

რესპოდენტებს აგრეთვე მიაჩნიათ, სტუდენტების ჩართულობით, მათი სწავლის დონის ამაღლებასთან ერთად, სტუდენტები უფრო მეტ სიახლოეს იგრძნობენ საკუთარ პროფესორ-მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან, დეკანთან, ხარისხის მართვის სამსახურთან, რაც გაზრდის მათ ემოციურ დამოკიდებულებას სასწავლო პროცესისა და უნივერსიტეტში განათლების მართვის ყველა მონაწილის მიმართ. აღნიშნული პროცესი კი ხელს შეუწყობს სტუდენტების უნივერსიტეტით კმაყოფილების დონის ზრდას, რაც პირდაპირ კავშირში იქნება უნივერსიტეტის სამომავლო წარმატებულ ნაბიჯებსა და განვითარების გზასთან.

*„თუ კი ჩართული ხარ ხარისხის გაუმჯობესებაში, დღითიდღე ცვლი, აკონტროლებ ამ ცვლილებებს, და თან გრძნობ, რომ უნივერსიტეტი აფასებს შენს შენიშვნებსა და აქტიურობას, ამ შემთხვევაში იზრდება შენი სწავლის მოტივაცია და პარალელურად უნივერსიტეტით კმაყოფილების დონეც“.* (კორუნას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრალური სამსახური, სახელმწიფო)

#### 4.3. სტუდენტების დამოკიდებულება საკუთარი ჩართულობის მიმართ

სტუდენტებთან ინტერვიუს მეშვეობით, შევეცადეთ დაგვედგინა, თუ რამდენად აქვთ კავშირი სტუდენტებს უნივერსიტეტის განათლების ხარისხის მართვის დეპარტამენტთან, რამდენად არიან ჩართულნი სტუდენტები უნივერსიტეტში განათლების ხარისხის მართვით საქმიანობაში, არიან თუ არა კმაყოფილნი სხვა სტუდენტების აქტიურობითა და მართვით საქმიანობაში მონაწილეობის მიღებით. აგრეთვე, ინტერვიუს დროს, დავადგინეთ, თუ რა ინფორმაციას ფლობენ სტუდენტები უნივერსიტეტის განათლების ხარისხის მართვის სამსახურსა და მათ მოვალეობებზე.

##### *განათლების ხარისხის მართვის სამსახური სტუდენტების პერსპექტივიდან*

კვლევამ გამოავლინა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხარისხის მართვისა და უზრუნველყოფის პროცესში სტუდენტთა ჩართულობის (ზოგ შემთხვევაში, პასიურობის) გარკვეული ტენდენციები. კვლევის შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ სტუდენტები ძირითადად თავს იკავებენ საკუთარი აზრის გამოხატვისა და აქტიურობისგან. ამის ერთ-ერთ მიზეზად შესაძლოა დასახელდეს სტუდენტების ცნობიერების დონე უნივერსიტეტის განათლების ხარისხის მართვის დეპარტამენტის არსებობის, საქმიანობისა და მოვალეობების შესახებ. ინტერვიუების შედეგებზე დაყრდნობით, შესაძლოა ითქვას, რომ რესპოდენტთა უმეტესობა ძალზე მცირე ინფორმაციას ფლობს (ან საერთოდ არ ფლობს) მსგავსი სამსახურის არსებობის შესახებ. სწორედ ინფორმაციის ნაკლებობა როგორც ხარისხის მართვის სამსახურის მოვალეობების, ისე საკუთარი უფლებებისა და შესაძლებლობების შესახებ, აბრკოლებს

სტუდენტებს იყვნენ უფრო მეტად აქტიურნი, რათა საკუთარი მოსაზრების გამოხატვის საშუალება ჰქონდეთ.

ზემოთ აღნიშნული მიზეზიდან გამომდინარე, რესპოდენტთა უმრავლესობას არ გააჩნია ზუსტი ინფორმაცია ხარისხის მართვის სამსახურის შესაძლებლობებისა და პასუხისმგებლობების შესახებ; მათი წარმოდგენები აღნიშნული დეპარტამენტის შესახებ ზოგიერთ შემთხვევაში სრულიად ცდება რეალურ საქმიანობას. ქვემოთ მოყვანილია, სტუდენტების აზრით, ხარისხის სამსახურის საქმიანობის დებულებები, რომელიც დასახელდა ინტერვიუების დროს. აღნიშნული ჩამონათვალიდან მხოლოდ ნაწილი შეესაბამება რეგულაციით გაწერილ ხარისხის მართვის სამსახურის უფლება-მოვალეობებს. მოცემულ ჩამონათვალში „შეესაბამება“ ნიშნავს - ხარისხის სამსახური ახორციელებს აღნიშნულ მოვალეობას, „არ შეესაბამება“ - არ შედის მის მოვალეობებში, ხოლო „ნაწილობრივ“ - ნაწილობრივ ან ზოგიერთ შემთხვევაში ახორციელებს, ან მხოლოდ კერძო ან სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურია პასუხისმგებელი აღნიშნულ ქმედებაზე.

სტუდენტების პრობლემების მოგვარება	ნაწილობრივ
სილაბუსის ხარისხის კონტროლი	ნაწილობრივ
სილაბუსებისთვის წიგნების მოძიება	არ შეესაბამება
სწავლების ხარისხის მონიტორინგი	შეესაბამება

სასწავლო პროცესებისა და ლექტორების მონიტორინგი	ნაწილობრივ
საგამოცდო ცენტრის მონიტორინგი	არ შეესაბამება
შეფასების სისტემის შემუშავება	შეესაბამება
კითხვარების შექმნა და მათზე უკუკავშირი	შეესაბამება
ვებ-გვერდზე სიახლეების განთავსება	არ შეესაბამება
სტუდენტების აკადემიური მოსწრების კონტროლი	ნაწილობრივ
კონფერენციების ჩატარება	არ შეესაბამება
სტუდენტებისთვის გაცვლითი პროგრამების მოძიება	ნაწილობრივ
სტუდენტების დასაქმების შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვება	არ შეესაბამება

დიაგრამა 4. ხარისხის სამსახურის საქმიანობის დებულებები

სტუდენტების მიერ ჩამოთვლილი დებულებებიდან, ხარისხის სამსახური რეალურად პასუხისმგებელია საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკონტროლოს განათლების ხარისხი, აგრეთვე, შეიმუშავოს სასწავლო პროცესისა და ლექტორების შეფასების კითხვარი, რომლის მეშვეობითაც განისაზღვრება სტუდენტთა საჭიროებები და ხდება არსებული პრობლემების მოგვარება. ხარისხის მოვალეობაში, აგრეთვე, შედის სილაბუსის სტრუქტურისა და ფორმის კონტროლი, თუმცა, არა მათი შინაარსის. სასწავლო კურსზე პასუხისმგებელი თავად სილაბუსის ავტორი და პროგრამის ხელმძღვანელია. რაც შეეხება საგამოცდო პროცესს, აღნიშნული განსხვავდება უნივერსიტეტის ტიპიდან გამომდინარე - კერძოა იგი თუ სახელმწიფო. სახელმწიფო დაწესებულებებს, როგორც წესი მონიტორინგის სამსახური ჰყავს, რომელსაც ევალუა ლექციების, პროფესორებისა და საგამოცდო პროცესის კონტროლი, ხოლო კერძო დაწესებულების შემთხვევაში, აღნიშნული მოვალეობა გადანაწილებულია დეკანატსა და ხარისხის სამსახურზე. მსგავსი სხვაობაა უცხოურ უნივერსიტეტებთან ურთიერთობის განვითარებისა და სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების კუთხით, რომლის საქმიანობაშიც კერძო უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურია ჩართული, ხოლო სახელმწიფო დაწესებულებაში ცალკე დეპარტამენტი არსებობს. სტუდენტთა დასაქმებაზე ზრუნვა, ვებ-გვერდზე მასალის განთავსება, კონფერენციების ჩატარება და სასწავლო მასალის მოძიება არ შედის ხარისხის მართვის სამსახურის ფუნქცია-მოვალეობებში როგორც კერძო, ისე სახელმწიფო დაწესებულებებში.

სტუდენტების მიერ მოყვანილი დებულებებიდან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტუდენტები ძირითადად არ ფლობენ რელევანტურ ინფორმაციას უნივერსიტეტში არსებული ხარისხის მართვის სამსახურის შესახებ.

*სტუდენტების პასიურობის მიზეზები*

სტუდენტების პასიურ ქმედებას და ზოგიერთ შემთხვევაში უმოქმედობას, თუნდაც რაიმე პრობლემის შემთხვევაში გარკვეული მიზეზები გააჩნია. ამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი მიზეზი ხარისხის სამსახურის, და ზოგადად ადმინისტრაციის, მიმართ სტუდენტების ნაკლები ნდობაა. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ საკუთარ და მეგობრების მაგალითზე დაყრდნობით, მათ ნაკლებად გააჩნიათ იმის მოლოდინი, რომ მათი პრობლემები ადმინისტრაციის მხრიდან გაზიარებულ და გამოსწორებული იქნება; ამიტომაც, ისინი არ არიან აქტიურად ჩართულნი რიგი საკითხების გაყდერებისა თუ მოგვარების პროცესში. აღნიშნული განსაკუთრებით შეინიშნება სახელმწიფო უნივერსიტეტებში. ხშირად სტუდენტები, პრობლემის შემთხვევაში, არც ცდილობენ მის გამომხატვასა და აღმოფხვრაზე მუშაობას.

სტუდენტების პასიურობა მართლაც, რომ უნდობლობითაა გამოწვეული და არა სიზარმაცით, ერთ-ერთი აქტიური სტუდენტის მოსაზრებამაც დაამტკიცა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული რესპოდენტი საკმაოდ აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებას ეწევა - იგი სტუდენტური კავშირის „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია“ (ELSA) წევრია, მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტში მისი პასიურობა განპირობებულია მისი დაბალი მოლოდინით - უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტების მიერ წამოჭრილი პრობლემების გაზიარების თვალსაზრისით.

*„ვთვლი, რომ უნივერსიტეტში გარკვეულწილად ხშირად სილაბუსის პრობლემაა, ძველი სილაბუსია და განახლებას საჭიროებს. თუმცა, არ მიაქტიურია ამ კუთხით, იმიტომ რომ ვიცი, ლექტორი უარს მეტყვის ჩემს შეთავაზებაზე“.*  
(თსუ-ს სტუდენტი, სახელმწიფო)

კვლევის ფარგლებში, შევისწავლეთ სტუდენტთა ცნობადობა საკუთარი უნივერსიტეტის მიზნებსა და მისწრაფებების შესახებ, კერძოდ, რა არის მათთვის უნივერსიტეტი და რამდენად ხშირად ეცნობიან უნივერსიტეტის განათლების

მართვის კუთხით მინდინარე პროცესებსა და ახალ ამბებს. აღნიშნული მიზნად ისახავდა დაგვედგინა მათი უნივერსიტეტისადმი დამოკიდებულება, რასაც შესაძლოა გავლენა ჰქონოდა მათ ჩართულობაზე/პასიურობაზე. კვლევამ აჩვენა, რომ სტუდენტების ინტერესი უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებისა და ახალი ამბების მიმართ საკმაოდ მაღალია, ისინი ინფორმაციას ძირითადად სოციალური ქსელის მეშვეობით იღებენ. აღნიშნული კი, შესაძლებელია, მიჩნეულ იქნას, როგორც სტუდენტების მხრიდან უნივერსიტეტისადმი მიკუთვნილობის გამოვლინება, შესაბამისად, მათი ჩართულობის დაბალი მაჩვენებლის მიზეზი სტუდენტთა უნივერსიტეტისადმი დაბალი ინტერესი არ არის, როგორც ამას ხარისხის სამსახური ბრძანებს, და პრობლემა სხვა ფაქტორში უნდა ვეძიოთ.

სტუდენტთა უმეტესობა თავიანთ ნაკლებ ჩართულობას ადმინისტრაციის სტუდენტებისადმი დამოკიდებულებით ხსნიან. ისინი აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია სტუდენტების მიერ გამოთქმულ პრობლემებს სათანადო ყურადღებას არ აქცევს ან სერიოზულად არ მიიჩნევს. სწორედ ამიტომ, სტუდენტები აღარ ცდილობენ საკუთარი მოსაზრებისა თუ პრობლემის ფართოდ გაუღერებას.

*„ისინი (უნივერსიტეტის ადმინისტრაცია) არ იღებენ სტუდენტების პრობლემებსა და პრეტენზიებს სერიოზულად“. (თსუ-ს სტუდენტი, სახელმწიფო)*

#### *თვითმმართველობისა და სხვა სტუდენტების ჩართულობის მნიშვნელობა*

კვლევამ აჩვენა, რომ რესპოდენტთა უმეტესობას მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია ყველა სტუდენტის თანაბარი ჩართულობა, მიუხედავად მისი სტატუსისა (სტუდენტთა თვითმმართველობის წევრი თუ რიგითი სტუდენტი). მათი აზრით, ყველა სტუდენტს უნდა ჰქონდეს საშუალება მონაწილეობა მიიღოს



გადაწყვეტილების მიღებისა და დაგეგმარების პროცესში. გარკვეული ფაქტორებიდან გამომდინარე, ზოგიერთ სტუდენტს არ სურს გახდეს თვითმმართველობის ჯგუფის წევრი, თუმცა, შეიძლება მას გააჩნდეს საკუთარი მოსაზრება რაიმე მცირე პრობლემისა, თუ ზოგადად, უნივერსიტეტის ხარისხის განვითარების შესახებ. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ ყველა სტუდენტი თანაბარი უფლებებითა და გამოხატვის თავისუფლებით უნდა სარგებლობდეს, ყველას უნდა გააჩნდეს გამოხატვის საშუალება და პლატფორმა, სადაც მის მოსაზრებას გულდასმით მოუსმენენ და რეაგირებას მოახდენენ.

სტუდენტებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემა, კერძოდ, უმეტესობა რიგითი სტუდენტების უნდობლობა და ნეგატიური დამოკიდებულება სტუდენტური თვითმმართველობის წევრების მიმართ და გარკვეული „უფსკრული“ სტუდენტებსა და თვითმმართველობას შორის. სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ უმეტეს შემთხვევებში სტუდენტები არ თანამშრომლობენ სტუდენტურ თვითმმართველობასთან, და შესაბამისად, არც მათი პრობლემების გაჭლერება ხდება თვითმმართველობის წევრების საშუალებით. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ხარისხის მართვის სამსახური სტუდენტურ თვითმმართველობას მიიჩნევს, როგორც ერთ-ერთ ინფორმაციის გადამცემ არხს სტუდენტებიდან ხარისხის სამსახურამდე, რაც შედეგებმა აჩვენა, რომ აღნიშნული ძალზე იშვიათად ხდება.

იმის გამო, რომ რიგითი სტუდენტის პრობლემა და მოსაზრება ვერ აღწევს თვითმმართველობამდე, ხოლო შემდგომ შესაბამის სამსახურთან, საჭიროა, მოხდეს თითოეული სტუდენტის მოსაზრების გაგება და მათი ჩართულობა სხვადასხვა საშუალებების გზით. აღნიშნული, არა მარტო უნივერსიტეტის კეთილი ნება და სურვილია, არამედ ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემას საერთაშორისო

რეგულაციებიც ავალდებულებს; შესაბამისად, უნივერსიტეტის პოლიტიკაც მიმართული უნდა იყოს ყველა სტუდენტის თანაბარი ჩართულობის გარემოს შექმნისკენ.

*„ფაკულტეტზე დაახლოებით 140 სტუდენტია, აქედან მხოლოდ 30-მდე სტუდენტი თუ იქნება ჩართული, რაც ძალზე ცოტა რაოდენობაა. აგრეთვე, მე თუ კი არ მაქვს სურვილი გავხდე თვითმმართველობის წევრი, მაინც უნდა მქონდეს ამა თუ იმ საკითხზე მოსაზრების გამოთქმის საშუალება.“ (თსუ-ს სტუდენტი, სახელმწიფო)*

სტუდენტების უმრავლესობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, თუნდაც ერთი სტუდენტის განათლების ხარისხის მართვით საქმიანობაში ჩართულობას, რადგან შემდგომ ეს შეიძლება გადაიზარდოს ჯგუფურ ჩართულობაში. ისინი აღნიშნავენ, რომ სტუდენტზე აისახება უნივერსიტეტში არსებული ნებისმიერი უაროფიტი საკითხი, კერძოდ, სილაბუსის ან საგნის ხარვეზი, შესაბამისად, მათ უნდა ჰქონდეთ საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება, რათა შემდგომში მოხდეს მოსაზრების განხილვა და მოწონების შემთხვევაში პრაქტიკაში დანერგვა. მნიშვნელოვანია ასევე ის ფაქტიც, რომ სტუდენტებს შეიძლება სხვადასხვა აზრი გააჩნდეთ, რომლის გაანალიზების შედეგად, შესაძლოა საუკეთესოს შერჩევა.

*„ჩვენ ხომ არ ვიცით ყველა სტუდენტის განათლების დიაპაზონი, შეგნება, ამიტომ მას შეიძლება ჰქონდეს საჭირო რესურსი, და მისი წვლილი შეიძლება მნიშვნელოვანი გახდეს უნივერსიტეტში რაიმე სახის ინოვაციის განხორციელებისთვის.“ (თსუ-ს სტუდენტი, სახელმწიფო)*

აღსანიშნავია, სტუდენტების ჩართულობა და ქართული უნივერსიტეტის მხრიდან გარკვეული მხარდაჭერა სხვადასხვა შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებებისა და აქტივობების დაგეგმვის პროცესში. თუმცა, აღნიშნულს

განათლების ხარისხის მართვით საქმიანობასთან არავითარი კავშირი არ აქვს. ხშირად ადმინისტრაცია (თუმცა, აქ არ იგულისხმება განათლების ხარისხის მართვის სამსახური, რადგანაც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტუდენტების თქმით, მათ უმრავლესობას ხარისხის მართვის დეპარტამენტთან რაიმე სახის კომუნიკაცია არ ჰქონია) მხარს უჭერს სტუდენტთა იდეებსა და კურიკულუმს გარეთ აქტივობებს, მაგალითად, როგორცაა, ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ ორგანიზებაში ხელისშეწყობა, მსახიობებისა და ცნობილი ადამიანების მოწვევა, ექსკურსიების მოწყობა და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას კორუნას უნივერსიტეტის სტუდენტების გამოცდილებაზეც. თუმცა, კორუნას უნივერსიტეტში ფორმალიზებული და ოფიციალური, უნივერსიტეტისგან დაფინანსებული სტუდენტთა თვითმმართველობითი კავშირი არ არსებობს; აღნიშნულ უნივერსიტეტში სტუდენტების მიერ შექმნილი სხვადასხვა ასოციაციებია, რომელსაც სტუდენტები დამოუკიდებლად ახორციელებენ. კორუნას უნივერსიტეტის ერთ-ერთი სტუდენტი აღნიშნავს:

*„მე ვარ სტუდენტურ ასოციაციაში, და გარკვეულ აქტივობებში ვიღებ მონაწილეობას, თუმცა ეს არ ეხება განათლების ხარისხს. მე უბრალოდ ვცდილობ სხვა სტუდენტებს დავეხმარო და მივაწოდო ინფორმაცია მათ უნივერსიტეტის შესახებ“. (კორუნას უნივერსიტეტის სტუდენტი, სახელმწიფო)*

*შეფასების კითხვარი - სტუდენტებისთვის ჩართულობის ერთადერთი საშუალება*

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ განათლების ხარისხის მართვის საქმიანობაში აქტიურობის თვალსაზრისით, მხოლოდ სპეციალური კითხვარის შევსებაში თუ მიუღიათ მონაწილეობა, რომელსაც ხარისხის მართვის სამსახური სტუდენტებს

სასწავლო პროცესის დროს სთხოვს შევსებას. კითხვარი ემსახურება საგნის, სასწავლო პროცესისა და პროფესორების შეფასებას.

თუმცა, კითხვარის მეშვეობით შეფასების სისტემაშიც არსებობს გარკვეული პრობლემები, ესენია: 1) შეფასების კითხვარის არასრული დაფარვა - ზოგიერთი სტუდენტი ამბობს, რომ ადმინისტრაციას არ მიუწოდებია მისთვის შეფასების კითხვარი, და შესაბამისად, მას საშუალება არ ჰქონია შეფასების პროცესში მონაწილეობა მიეღო; 2) კითხვარის მოცულობა და შევსების სირთულე - იმ სტუდენტების უმეტესობას, ვისაც ერთხელ მაინც შეუვსია შეფასების კითხვარი, მიაჩნია, რომ შეფასების კითხვარი საკმაოდ დიდი მოცულობისაა და მისი შევსება მოითხოვს ბევრ დროს, მათივე აზრით, ხშირად კითხვები გაურკვეველი და რთული აღსაქმელია; 3) კითხვარის არასავალდებულო შევსება - ზოგიერთ შემთხვევაში, კითხვარის შევსება არასავალდებულო და სურვილის შესაბამისია; აღნიშნულიდან გამომდინარე, ხშირად მცირე რაოდენობის შევსებული კითხვარები გროვდება, რაც რელევანტური ანალიზისთვის არასაკმარისია; 4) უკუკავშირის არ ქონა - სტუდენტის თქმით, მათ მიერ გაჟღერებულ შეფასებას ადმინისტრაციის მხრიდან უკუკავშირი ან რაიმე სახის ქმედება არ მოჰყოლია.

ზემოთ მოყვანილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სტუდენტი სერიოზულად არ აღიქვამს შეფასების კითხვარის მნიშვნელობას და მისი შედეგების გავლენას, როგორც ლექტორის შემდგომ მუშაობაზე, სტუდენტის სწავლასა და, ზოგადად, სასწავლო პროცესზე. შესაბამისად, ხშირად სტუდენტები გულგრილად და თავიდან დაღწევის მიზნით პასუხობენ კითხვარში მოცემულ შეკითხვებს. აღნიშნული პრობლემა კიდევ უფრო მწვავედ დგას სტუდენტებისთვის კითხვარის ონლაინ რეჟიმში მიწოდების შემთხვევაში. ხშირად უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზის შესაბამისი ფუნქცია არ აძლევს სტუდენტს საკუთარ გვერდზე შესვლის საშუალებას, თუ კი არ მოხდა მთავარ ფანჯარაში მოყვანილი კითხვარის შევსება.

მსგავს შემთხვევებში, სტუდენტები არამობილიზებულნი არიან, რადგანაც მათ სულ სხვა მიზანი ამოძრავებდათ, როდესაც მოულოდნელად მოუწიათ კითხვარის შევსება, შესაბამისად, ისინი ამას დაუფიქრებლად და მექანიკურად ახორციელებენ.

### *სტუდენტების თვალთ დანახული ხარისხის სამსახურთან თანამშრომლობის პერსპექტივები*

კვლევის პროცესში, აგრეთვე, შევისწავლეთ თუ რამდენად კმაყოფილნი არიან სტუდენტები სხვა სტუდენტების ჩართულობითა და აქტიურობით განათლების ხარისხის მართვის პროცესში რაიმე გადაწყვეტილების მიღებისას. შედეგებმა აჩვენა, რომ გამოკითხული რესპოდენტების უმეტესობა არაა კმაყოფილი სტუდენტების ჩართულობით; ამასთანავე, მათ ხარისხის მართვის პროცესში ჩართულობის შესაძლებლობების შესახებ მუდმივ რეჟიმში ინფორმაციის მიღების სურვილი გამოთქვეს, რათა თავად გახდნენ ხარისხის შექმნის პროცესის უშუალო მონაწილენი. თუმცა, აქვე რესპოდენტების უმრავლესობა ხაზს უსვამს უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტთა ჩართულობის დაბალ ინტერესს, რაც სტუდენტების მოტივაციაზე უარყოფით გავლენას ახდენს.

მნიშვნელოვანია, ყურადღება დავუთმოთ და შევისწავლოთ სტუდენტთა მოსაზრებები. მათი აზრის გათვალისწინება არა მარტო უშუალოდ ხარისხის მართვით ქმედებების განხორციელებისას უნდა მოხდეს, არამედ ისინი განხორციელებამდე, დაგეგმის პროცესშიც უნდა მონაწილეობდნენ, რათა თავად განსაზღვრონ საკუთარი როლი და ფუნქციები ზოგადად უნივერსიტეტის განათლების ხარისხის მართვის პროცესში. კვლევის რესპოდენტებმა ჩამოაყალიბეს შემდეგი ქმედებები და შესაძლებლობები, რაც სტუდენტებს უნდა გააჩნდეს უნივერსიტეტის განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად:

- მიაწვდინონ ხმა ადმინისტრაციას სტუდენტების პრობლემებისა და მოსაზრებების შესახებ სტატიით, სტუდენტური ჟურნალისა ან სოციალური ქსელის მეშვეობით;
- მოამზადონ კვლევები, მიმოხილვები და წარადგინონ გადაჭრის გზებთან ერთად;
- მიუთითონ სტუდენტებისთვის საინტერესო საკითხი, რომლის გარშემოც შესაძლოა დაიგეგმოს ერთობლივი მუშაობა განათლების ხარისხის მართვის დეპარტამენტთან ერთად.

აგრეთვე, მნიშვნელოვანია ითქვას, რომ ზემოთ აღნიშნული ჩამონათვალიდან ყველაზე ხშირად სტუდენტები და ადმინისტრაცია სოციალურ ქსელს მიმართავენ, სადაც ხდება მოსაზრებების გაცვლა, ინფორმაციის გავრცელება, პრობლემის გაქდერება და უკუკავშირის მიღება. თუმცა, დანარჩენი ფაქტორები საჭიროებს დახვეწასა და გაუმჯობესებას უნივერსიტეტში ხარისხის განვითარების მიზნით.

სტუდენტების აზრით, სტუდენტებსა და უნივერსიტეტის განათლების ხარისხის მართვის დეპარტამენტს შორის თანამშრომლობისა და სამუშაო პროცესის გაუმჯობესებისთვის, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია აღნიშნული დეპარტამენტის მხრიდან არსებობდეს სურვილი ითანამშრომლოს სტუდენტთან და მათთან ერთად მოახდინონ გარკვეული გადაწყვეტილებების მიღება. ეს კი შეიძლება მოხდეს შეხვედრების ორგანიზებით, პრობლემების ერთობლივი განხილვით, ან თუნდაც, სტუდენტების მინიმალურად ჩართვის გზით, რადგანაც ამ შემთხვევაში *„სტუდენტებს გაუჩნდებათ ვალდებულება და პასუხისმგებლობა, იფიქრონ ახალ და ინოვაციურ იდეებზე“ (თსუ-ს სტუდენტი, სახელმწიფო).*

რესპოდენტთა აზრით, ასევე მნიშვნელოვანია, სტუდენტების ინფორმირებულობა და ცნობიერების გაზრდა განათლების ხარისხის მართვის დეპარტამენტისა და მისი უფლება-მოვალეობების შესახებ, ეს ხელს შეუწყობს, პირველ ეტაპზე, თანამშრომლობის დაწყება/განვითარებას.

### *სტუდენტთა ჩართულობის მოტივაცია*

კვლევის პროცესში მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ შეგვესწავლა სტუდენტების ჩართულობის/სამომავლო ჩართულობის არსებული ან სავარაუდო მოტივაცია. აღნიშნული დაგვებმარება მომდევნო ნაბიჯებისა და პოლიტიკის დაგეგმვაში სტუდენტთა ჩართულობის განვითარების კუთხით. სტუდენტთა მოტივაციის კვლევის ანალიზი საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ, თუ როგორ შეიძლება სტუდენტში ინტერესის გაღვივება და მათი ჩართულობის ზრდა. კერძოდ, ჩვენ შევისწავლეთ სტუდენტთა ჩართულობის მოტივაცია, როდესაც ისინი ერთგებიან სხვადასხვა აქტივობებსა და უნივერსიტეტის საკითხების გადაწყვეტილების მიღების პროცესში (ვისაც გარკვეულწილად რაიმე მონაწილეობა მიუღია აღნიშნულ პროცესში); ხოლო ვისაც არ ჰქონია მსგავსი გამოცდილება, შევისწავლეთ მათი სავარაუდო მოტივაცია, რამაც შეიძლება მათი ჩართულობის დონე გაზარდოს. დასახელდა შემდეგი მამოტივირებელი ფაქტორები:

- საკუთარი თავის წარმოჩენა
- განათლების მიღება/ცოდნის გაღრმავება
- გამოცდილების შეძენა შემდგომში კარგი სამსახურის მოსაპოვებლად
- უნივერსიტეტის გაუმჯობესება
- განათლების ხარისხის გაუმჯობესება
- სტუდენტების უფლებების დაცვა/სტუდენტების წარმომადგენლობა
- სხვადასხვა სისტემებში ცვლილებების განხორციელება, მაგალითად, საგნების არჩევის სისტემა
- სტუდენტებისთვის საინტერესო პროექტების შეთავაზება.

თუ კი არსებული მოტივაციის თეორებით ვიხელმძღვანელებთ, სტუდენტებმა დაასახელეს მოტივაციის ყველა ფაქტორი (სოციალური ფაქტორი, თვით-განვითარებისა და თვით-რეალიზების ფაქტორი, და სხვ.), გარდა ჰიგიენური ფაქტორისა - არც ერთ რესპოდენტს უსაფრთხოება და სასწავლო გარემოს ფიზიკური გაუმჯობესება არ უხსენებია.

### *სტუდენტთა ჩართულობით განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ფაქტორები*

მრავალმა კვლევამ და განათლების ექსპერტმა გამოთქვა საკუთარი მოსაზრება განათლების ხარისხის განვითარების მნიშვნელობაზე (ბევრი მათგანი მოყვანილია ლიტერატურის ანალიზის ნაწილში). თუმცა, მნიშვნელოვანად მივიჩნიეთ, შეგვესწავლა თავად სტუდენტების მოსაზრებები საკუთარი ჩართულობისა და განათლების ხარისხის განვითარების შესახებ. აღნიშნული კვლევის ანალიზი საშუალებას იძლევა გავაანალიზოთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანად მიაჩნიათ და როგორ აფასებენ სტუდენტთა ჩართულობას კვლევის რესპოდენტები.

კვლევის შედეგად გამოვლინდა ხარისხის გაუმჯობესების ორი დადებითი ფაქტორი, კერძოდ:

ფაქტორი 1 - სტუდენტები თვლიან, რომ თუ კი უნივერსიტეტში განათლების ხარისხის დონე გაუმჯობესდება და მისი მართვის პროცესი განვითარდება, ეს გავლენას მოახდენს:

- მათ კარიერაზე;
- სწავლის ხარისხის ზრდაზე („დღეს მიაჩნიათ, რომ თუ საზღვარგარეთ არ მიიღე გამოცდილება, მაგარი არ ხარ და ეს პრობლემა მოიხსნება“ - თსუ-ს სტუდენტი, სახელმწიფო);



- პიროვნული თვითგანვითარების შესაძლებლობებზე;
- გამოცდილებისა და კვალიფიკაციის ზრდაზე;
- თვითშეფასებისა და თავდაჯერებულობის ზრდაზე.

*„ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის წარმატება, იმიტომ რომ უნივერსიტეტის წარმატება, ჩემი წარმატებაა, და პირიქით - ჩემი წარმატება, უნივერსიტეტის წარმატებაა“. (თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტი, კერძო)*

*„ალბათ, თუ კი უნივერსიტეტი გაუმჯობესდება და უფრო მეტად ცნობადი გახდება, მე, როგორც მისი მომავალი კურსდამთავრებული, უფრო მეტად სასურველი ვიქნები, როგორც პროფესიული კადრი სამსახურის დასაწყებად“. (კორუნას უნივერსიტეტის სტუდენტი, სახელმწიფო)*

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან, ნათლად ჩანს, რომ სტუდენტები რელევანტურად აფასებენ უნივერსიტეტში ხარისხზე ზრუნვის მნიშვნელობას, რაც სუბიექტური მიზეზებით აქვთ გამყარებული. ყველა ზემოთ დასახელებული ფაქტორი სტუდენტთა პირად განვითარებას ეხება. ფაქტია, რომ სტუდენტები ხარისხის ზრდას საკუთარ წარმატებას უკავშირებენ, შესაბამისად, პირადი განვითარებისა და მომავლისათვის, საჭიროა, მათი ჩართულობით მოხდეს ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება და უზრუნველყოფა მართვისა და ორგანიზაციული განვითარების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

ფაქტორი 2 - რესპოდენტთა აზრით, უნივერსიტეტში განათლების ხარისხის მართვით საქმიანობაში სტუდენტთა უფრო მეტად ჩართვის შემთხვევაში, გაიზრდება მათი უნივერსიტეტით კმაყოფილების დონე. უმეტესობა პირდაპირ კავშირს ხედავს მათ მიერ უნივერსიტეტით კმაყოფილებასა და მათი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვას შორის. მათ მიაჩნიათ, რომ თუ კი

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პოლიტიკის დაგეგმისა და განხორციელების პროცესში, სტუდენტს საშუალება ექნება გამოთქვას მოსაზრება, რომელიც მოსმენილ და გაზიარებულ იქნება, ან უშუალოდ შეძლოს მონაწილეობა მიიღოს მართვის პროცესში, სტუდენტი თავად დაინახავს მიღებულ შედეგს, რომელიც მისი მონაწილეობით შეიქმნება; ეს კი ხელს შეუწყობს როგორც მისი თვითკმაყოფილების, აგრეთვე, უნივერსიტეტისადმი კმაყოფილების დონის ზრდას.

#### 4.4. შედეგები

თვისებრივი კვლევის ფარგლებში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებსა და ბაკალავრიის საფეხურის სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად, საშუალება მოგვეცა გარკვეული დასკვნები ჩამოგვეყალიბებინა, კერძოდ:

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროცესში სტუდენტთა ჩართულობას ფორმალური სახე გააჩნია. კერძოდ, ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლები საუბრობენ სტუდენტთა ჩართულობის შიდა თუ საერთაშორისო რეგულაციებზე, თუმცა, უჭირთ რაიმე კონკრეტული ჩართულობის შემთხვევების გახსენება. სტუდენტური თვითმართველობის წევრების ჩართულობა კი შედარებით უფრო ორგანიზებულად ხორციელდება, შესაბამისად, განხორციელებული კვლევის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მათი ჩართულობა უფრო თვალსაჩინოა. თუმცა, რიგითი სტუდენტთა ჩართულობა

გარკვეულწილად დამოკიდებულია სტუდენტთა თვითმმართველობის აქტიურობაზე, მაგრამ კვლევამ აჩვენა, რომ რიგითი სტუდენტები, ხშირ შემთხვევაში, არ თანამშრომლობენ და უნდობლობას უცხადებენ სტუდენტთა თვითმმართველობის წევრებს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტუდენტთა თვითმმართველობა სათანადოდ ვერ ახორციელებს მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას - „სტუდენტთა ხმის გაჟღერება“;

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები აქტიურად იყენებენ სტუდენტთა ჩართულობის ერთ-ერთ ინსტრუმენტს - ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებულ ლექტორებისა და სასწავლო პროცესის შეფასების კითხვარს. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ამავე ხარისხის სამსახურის მიერ, სტუდენტთა ჩართულობის ერთ-ერთი (ხშირ შემთხვევაში, ერთადერთი) საშუალება - შეფასების კითხვარი - არაშედეგიანად და არაეფექტურად არის მიჩნეული, რადგანაც მათი თქმით, მასში მონაწილე სტუდენტების პროცენტული მაჩვენებელი ძალზე დაბალია;
- სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა სტუდენტების მიერ შეფასების კითხვარის სისტემაში (სტუდენტთა თვალთ დანახული) არსებული პრობლემები: 1) ყველა სტუდენტს არ მიეწოდება შეფასების კითხვარი; 2) კითხვარის მოცულობა ძალზე დიდია და მისი სტრუქტურა რთულად აღქმადი და გაანალიზებადია; 3) კითხვარის არასავალდებულო შევსება; 4) ადმინისტრაციის მხრიდან უკუკავშირის არ ქონა, შესაბამისად, სტუდენტები უყურადღებოდ ავსებენ კითხვარს, განსაკუთრებით, თუ კი მათ ონლაინ რეჟიმში იძულებით უწევთ მათი შევსება (ხშირ შემთხვევაში, სტუდენტი ვერ გადადის უნივერსიტეტის სტუდენტურ ბაზაში საკუთარ პროფილზე, თუ კი კითხვარს იძულებით არ შეავსებს);
- კვლევის შედეგად დადგინდა, რომ თავად საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლები სათანადოდ აანალიზებენ სტუდენტთა დაბალი ჩართულობის მიზეზებს, კერძოდ, ხარისხის სამსახურს კარგად ესმის, რომ სტუდენტები არ ავსებენ შეფასების კითხვარს და არც სხვა სახის

ჩართულობას გამოხატავენ, რადგანაც მათში ხარისხის სამსახურისა და ადმინისტრაციის მიმართ უნდობლობის განცდა მაღალია; შესაბამისად, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლების თქმით, სტუდენტები არ მოელოან ხარისხის სამსახურის მხრიდან რაიმე სახის უკუკავშირსა თუ აქტივობას;

- კვლევის შედეგად გამოვლინდა ხარისხის სამსახურისთვის სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღების/ჩართულობის (კიდევ ერთი) არაფორმალური ინსტრუმენტი - ინტერნეტ საშუალებები და სოციალური მედია. აღნიშნული თანამედროვე სისტემა სტუდენტებშიც ძალზე პოპულარულია; ისინი უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციას სოციალური ქსელის მეშვეობით იღებენ, რაც შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც სტუდენტების მხრიდან უნივერსიტეტისადმი ინტერესისა და მიკუთვნილობის გამოვლინება;
- კვლევის შედეგად დადგინდა სტუდენტთა დაბალი ჩართულობის მიზეზები, კერძოდ: 1) სტუდენტების გულგრილობა და დაბალი რწმენა იმისა, რომ მათი ჩართულობით რაიმე შეიცვლება; 2) სტუდენტების დაბალი ცოდნა ხარისხის მართვისა და სტუდენტური ჩართულობის შესაძლებლობების შესახებ; 3) ქვეყანაში (საქართველოს შემთხვევაში) სტუდენტთა უხვი რაოდენობა საშუალებას აძლევს ყველას გახდეს სტუდენტი, რაც საბოლოოდ იწვევს დაბალქულიანი და ჩართულობის ნაკლები მოტივაციის მქონე სტუდენტების ზრდას; 4) ეროვნული ხასიათი და მენტალობა ორივე ქვეყნის (საქართველო და ესპანეთი) სტუდენტების დაბალი ჩართულობის განმსაზღვრელი ფაქტორი აღმოჩნდა, რაც სხვა სტუდენტის იმედად ყოფნასა და სხვის მოლოდინში ვლინდება;
- რესპოდენტი სტუდენტების უმეტესობა ძალზე მცირე ინფორმაციას ფლობს ხარისხის სამსახურისა და საკუთარი ჩართულობის უფლებებისა და შესაძლებლობების არსებობის შესახებ, რაც მათი ნაკლები ჩართულობის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება იქნას მიჩნეული;

- რესპოდენტი სტუდენტების უმეტესობა არაა კმაყოფილი სტუდენტების ჩართულობით, და მათ გამოთქვებს ინფორმაციის მიღებისა და ჩართულობის სურვილი, რათა თავად გახდნენ განათლების ხარისხის შექმნის პროცესის უშუალო მონაწილენი;
- ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგად, გამოვლინდა მათი თვალთ დასახული სტუდენტთა არსებული ან სამომავლო ჩართულობის მოტივაცია, ესენია: 1) ინსტიტუციისშიდა ჩართულობა - თვითგანვითარება, დასაქმებისთვის შესაბამისი ცოდნისა და უნარების შეძენა, დიპლომის მიღება, სასწავლო პროცესისა და სწავლის გაუმჯობესება, სოციალური უნარების განვითარება; 2) ინსტიტუციისგარე ჩართულობა - გარე ძალების (ხშირად პოლიტიკური მიზნებისთვის) ზემოქმედება საკუთარი მიზნების მისაღწევად;
- კვლევის ფარგლებში, აგრეთვე, სტუდენტებმა თავად განსაზღვრეს საკუთარი არსებული ან სამომავლო ჩართულობის მოტივაცია. გამოვლინდა სტუდენტთა ჩართულობის მოტივაციის როგორც აკადემიური (სწავლასთან დაკავშირებული), ასევე მიღწევის (სოციალურ წარმატებასთან დაკავშირებული) საფუძვლები, ესენია: საკუთარი თავის წარმოჩენა, განათლების მიღება/ცოდნის გაღრმავება, გამოცდილების შეძენა შემდგომში კარგი სამსახურის მოსაპოვებლად, უნივერსიტეტის გაუმჯობესება, განათლების ხარისხის გაუმჯობესება, სტუდენტების უფლებების დაცვა/სტუდენტების წარმომადგენლობა, სხვადასხვა სისტემებში ცვლილებების განხორციელება, მაგალითად, საგნების არჩევის სისტემა, სტუდენტებისთვის საინტერესო პროექტების შეთავაზება. თუ კი არსებული მოტივაციის თეორებით ვიხელმძღვანელებთ, სტუდენტებმა დაასახელეს მოტივაციის ყველა ფაქტორი (სოციალური ფაქტორი, თვით-განვითარებისა და თვით-რეალიზების ფაქტორი, და სხვ.), გარდა ჰიგიენური ფაქტორისა - არც ერთ რესპოდენტს უსაფრთხოება და სასწავლო გარემოს ფიზიკური გაუმჯობესება არ უხსენებია;

- ახალბედა სტუდენტების - პირველ-მეორე კურსელების - ჩართულობის შესახებ გამოიკვეთა ორი განსხვავებული აზრი: 1) უნდა იყვნენ ჩართულნი, რადგანაც მათ შეუძლიათ საკუთარი შემდგომი სასწავლო პროცესის გაუმჯობესება; 2) არ უნდა იყვნენ ჩართულნი, რადგანაც მათ სათანადო ცოდნა და გამოცდილება არ გააჩნიათ, შესაბამისად, უნდა მოხდეს მხოლოდ მაღალკურსელების ჩართულობა;
- განათლების ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებს სტუდენტთა ჩართულობა უაღრესად მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, თუმცა, იაზრებენ მათ წინაშე არსებულ გამოწვევებს. ხარისხის სამსახურის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მათ უჭირთ სტუდენტების ჩართვა და მათი ინტერესის ზრდა. აგრეთვე, ისინი ვერ აღწერენ რაიმე სახის სტრატეგიასა და გეგმას სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად;
- გამოიკვეთა სტუდენტთა ჩართულობის დადებითი და უარყოფითი მხარეები, კერძოდ, სტუდენტების დადებით მხარედ მიჩნეულ იქნა - სტუდენტების საშუალებით უნივერსიტეტში არსებული პრობლემების წარმოჩენა, მათი ანალიზი და შედეგებზე დაყრდნობით განვითარების სტრატეგიის დასახვა/განხორციელება; ხოლო უარყოფით ფაქტორად მათი ახალგაზრდული სული დასახელდა, რაც მათ იმპულსურობასა და გამოუცდელობაში ვლინდება;
- კვლევისას გამოვლინდა ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი, კერძოდ, 1) სტუდენტები თვლიან, რომ თუ კი უნივერსიტეტში განათლების ხარისხის დონე გაუმჯობესდება, დადებით გავლენას იქონიებს მათ სწავლაზე, კარიერასა და თვითშეფასებაზე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სტუდენტები ხარისხის ზრდას საკუთარ წარმატებას უკავშირებენ; 2) უნივერსიტეტში სტუდენტთა უფრო მეტად ჩართვის შემთხვევაში, გაიზრდება მათი უნივერსიტეტით კმაყოფილების დონე;
- გამოიკვეთა ხარისხის მართვის პროცესში სტუდენტთა ჩართულობის ზრდის რეკომენდაციები, კერძოდ: 1) სტუდენტთა ჩართულობა უნდა განხორციელდეს უშუალოდ პროგრამების ხელმძღვანელების მიერ; 2) სტუდენტთა ჩართულობა

ლექტორების მიერ; 3) შეფასების კითხვარის დახვეწა; 4) ორგანიზაციული განვითარებისთვის ფაკულტეტის დონეზე არსებული ხარისხის სამსახურის პერსონალის ზრდა (საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის შემთხვევაში).

## 5. უმაღლესი განათლების მართვის პროცესში სტუდენტთა ჩართულობის დონე და სპეციფიკა (რაოდენობრივი კვლევა)

### 5.1. მეთოდოლოგია

კვლევის განხორციელების მეორე ეტაპზე ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა, რომლისთვისაც შემუშავდა სპეციალური კითხვარი (თვისებრივი კვლევის შედეგებიდან გამომდინარე) და განთავსდა ონლაინ სივრცეში 2017 წლის იანვრიდან 2017 წლის ივნისის ჩათვლით. თვისებრივი კვლევისგან განსხვავებით, რაოდენობრივი კვლევა უფრო მაშტაბური ხასიათის გახლდათ. იგი გავრცელდა და ხელმისაწვდომი იყო საქართველოს ყველა უნივერსიტეტის ბაკალავრიის სტუდენტებისთვის, შესაბამისად, კვლევაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მასშტაბით არსებული სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრიის სტუდენტებმა.

სულ რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობა 406 სტუდენტმა მიიღო, მათ შორის მონაწილეების 74% სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, ხოლო დანარჩენი 26% კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები გახლდათ. რაოდენობრივ კვლევაში ჩართული იყო ორივე სქესის წარმომადგენლები, თუმცა, აღსანიშნავია, რომ მასში მდედრობითი სქესის სტუდენტები ჭარბობდნენ (81%).

რაოდენობრივი კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა:

- რამდენად არიან სტუდენტები კმაყოფილნი საკუთარი უნივერსიტეტის განათლების ხარისხით;



- რა რაოდენობა სტუდენტები არიან ჩართულნი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განათლების ხარისხის მართვისა და ხარისხის ორგანიზაციული განვითარების პროცესებში;
- სტუდენტების რა ნაწილი იყენებს ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შემუშავებულ სტუდენტთა ჩართულობის ერთ-ერთ ინსტრუმენტს - შეფასების კითხვარს - საკუთარი ჩართულობის განსახორციელებლად;
- რამდენად სწორი წარმოდგენები გააჩნიათ სტუდენტებს განათლების ხარისხის მართვის დეპარტამენტისა და მისი საქმიანობის შესახებ;
- რა სახის მოტივაცია შეიძლება გააჩნდეს სტუდენტებს, როდესაც ისინი ცდილობენ მონაწილეობა მიიღონ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განათლების ხარისხის მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროცესში;
- რამდენად ახდენს გავლენას სტუდენტების ხარისხის მართვის პროცესში ჩართულობა მათ სწავლაზე;
- რამდენად აქვს სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესის შეფასებას გავლენა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების ხარისხის სამსახურის მუშაობაზე;
- როგორია სტუდენტების ჩართულობის ქცევითი, კოგნიტური და ემოციური კომპონენტები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განათლების ხარისხის მართვის პროცესში, კერძოდ, ჩამოყალიბდა ქცევითი, ემოციური თუ კოგნიტური ჩართულობის დებულებები ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით, ხოლო შემდგომ გაიარა ექსპერტული შეფასება;
- რამდენად განსხვავდება სტუდენტთა შორის ცოდნისა და ჩართულობის კომპონენტების მაჩვენებლები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ტიპთა (კერძოდ, სახელმწიფო) მიმართებაში;
- რამდენად განსხვავდება სტუდენტური თვითმმართველობის წევრი და არაწევრი სტუდენტთა ჩართულობის მახასიათებლები;

- განათლების ხარისხის მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროცესში სტუდენტების ჩართულობის ხელისშემწყობი ფაქტორები სტუდენტების პერსპექტივიდან.

რაოდენობრივი კვლევის პირველადი მონაცემების წმენდისა და შესაბამისი ტრანსფორმირების შემდგომ, მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება სტატისტიკური პროგრამა SPSS 21-ის (2012 წლის ვერსია) გამოყენებით განხორციელდა.

## 5.2. უმაღლესი განათლების მართვის პროცესში სტუდენტთა ჩართულობის ასპექტები

### *დემოგრაფიული მონაცემები*


რაოდენობრივი კვლევის 406 მონაწილიდან 81% მდედრობითი, ხოლო 19% მამრობითი სქესის წარმომადგენლები იყვნენ. მათგან 74% სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობს, ხოლო დანარჩენი 26% კერძო საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტია.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ყველა კურსის სტუდენტმა თითქმის თანაბარი რაოდენობით, რომელთა გადანაწილება მოხდა შემდეგნაირად: პირველკურსელი სტუდენტები - 21%, მეორე კურსელი - 26%, მესამე - 21%, ხოლო მეოთხე კურსელი სტუდენტების რაოდენობამ 32%-ს შეადგინა.

კვლევის მონაწილეების 17%-ს წარსულში ჰქონია სტუდენტურ თვითმმართველობაში ყოფნის გამოცდილება, ან ამჟამადაა თვითმმართველობის წევრი, ხოლო 83% არასდროს ყოფილა აღნიშნულ საზოგადოებაში.

### სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებლები

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, შვეისწავლეთ სტუდენტების კმაყოფილების დონე საკუთარი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განათლების ხარისხის დონით. სტუდენტების უმეტესობა (65%) კმაყოფილია საკუთარი უნივერსიტეტით, ხოლო მცირე ნაწილი (7%) უკმაყოფილოა (იხილეთ დიაგრამა 5).



დიაგრამა 5. საკუთარი უნივერსიტეტის განათლების ხარისხით სტუდენტების კმაყოფილების დონე (N=398)

აგრეთვე, რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში დადგინდა სტუდენტების კმაყოფილების დონე სასწავლო პროცესის შემდეგი კომპონენტებით: სასწავლო მასალის შინაარსი, სასწავლო მასალის სისრულე, სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობა, ბიბლიოთეკა, სწავლების მეთოდები, სწავლების ორგანიზება და ცხრილი, სასწავლო პროგრამის გამართულობა, პროფესორების დამოკიდებულება, კვლევის უნარების განვითარების შესაძლებლობა, შრომის

ბაზრის მოთხოვნებთან სასწავლო პროგრამის შესაბამისობა. აღნიშნული კომპონენტების შეფასება მოხდა ლიკერტის 5 ქულიანი სკალის გამოყენებით, რომლის გადაკოდირება მოხდა 3 ქულიან სისტემაში.

	სასწავლო პროცესის კომპონენტები	კმაყოფილი	ნეიტრალური	უკმაყოფილო
1	სასწავლო მასალის შინაარსი	60%	20%	17%
2	სასწავლო მასალის სისრულე	52%	28%	20%
3	სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობა	61%	21%	18%
4	ბიბლიოთეკა	63%	20%	17%
5	სწავლების მეთოდები	47%	33%	20%
6	სწავლების ორგანიზება და ცხრილი	40%	31%	29%
7	სასწავლო პროგრამის გამართულობა	42%	35%	23%
8	პროფესორების დამოკიდებულება	65%	22%	13%
9	კვლევის უნარების განვითარების შესაძლებლობა	38%	35%	27%
10	შრომის ბაზრის მოთხოვნებთან სასწავლო პროგრამის	42%	36%	22%

	შესაბამისობა			
--	--------------	--	--	--


ცხრილი 2. სასწავლო პროცესის კომპონენტებით სტუდენტების კმაყოფილების დონე (N=398)

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ ძირითადად, სტუდენტების უმეტესობა უფრო მეტად კმაყოფილია, ვიდრე უკმაყოფილო. სტუდენტების ყველაზე დიდი კმაყოფილება „პროფესორების დამოკიდებულებით“ გამოვლინდა (65%), შემდეგ „სასწავლო მასალის შინაარსით“ (63%) და „ბიბლიოთეკით“ (63%). ყველაზე ნაკლები კმაყოფილება გამოვლინდა შემდეგი კომპონენტების მიმართ: „კვლევის უნარების განვითარების შესაძლებლობა“ (38%), სწავლების ორგანიზება და ცხრილი“ (40%), „შრომის ბაზრის მოთხოვნებთან სასწავლო პროგრამის შესაბამისობა“ (42%) და „სასწავლო პროგრამის გამართულობა“ (42%). ნიშანდობლივია, რომ უკმაყოფილების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია. სტუდენტები ჩამოთვლილი კომპონენტებიდან ყველაზე მეტად უკმაყოფილონი არიან შემდეგი კომპონენტებით: „სწავლების ორგანიზება და ცხრილი“ (29%) და „კვლევის უნარების განვითარების შესაძლებლობა“ (27%). აღნიშნული შედეგებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტუდენტების უმეტესობას მიაჩნია, რომ მათ საგანმანათლებლო დაწესებულებას დროის შესაბამისი და მდიდარი აკადემიური (აკადემიური პერსონალი) და ტექნიკური რესურსები (ბიბლიოთეკა) გააჩნია. თუმცა, სტუდენტთა უკმაყოფილება შეინიშნება იმ კომპონენტებში, რომელიც თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის მთავარი შემადგენელი ნაწილებია, და რაც დღევანდელ პირობებში კურსდამთავრებულთათვის ძალზე მნიშვნელოვანია, მაგალითად, შრომის ბაზართან შესაბამისობა და კვლევითი შესაძლებლობების ნაკლებობა. ამჟამინდელი საგანმანათლებლო სამყარო და წარმატებული საგანმანათლებლო დაწესებულებები ძირითადად ორიენტირებულნი არიან ისეთი პროგრამების შექმნაზე, რომელიც სტუდენტის

დასაქმებას ხელს შეუწყობს. რადგანაც უმეტეს შემთხვევაში, დღევანდელ დღეს ადამიანი განათლებას იღებს პროფესიული განვითარებისა და დასაქმების მიზნით. ასევე, თანამედროვე სამყარო დიდ ყურადღებას აქცევს კვლევით პროცესებს ნებისმიერ დარგში. შესაბამისად, წარმატებულმა საგანმანათლებლო დაწესებულება ორიენტირებული უნდა იყოს აღნიშნული კომპონენტების განვითარებაზე, რათა სტუდენტს შესთავაზოს უკეთესი სერვისი და სტუდენტთა კმაყოფილება გაზარდოს და ნდობა მოიპოვოს, რაც დღევანდელ საბაზრო სისტემაში, უნივერსიტეტისთვისაც მომგებიანი იქნება კონკურენციის თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ, საჭიროა, განვითარება და პროგრესული ცვლილებები აღნიშნული კომპონენტების გაუმჯობესებისთვის.

#### *სტუდენტთა დამოკიდებულება ხარისხის სამსახურის მიმართ*

კვლევამ აჩვენა, რომ სტუდენტების უმეტესობა, როგორც წესი, პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში, სასწავლო დეპარტამენტსა და ფაკულტეტს მიმართავს; რაც შეეხება ხარისხის მართვის სამსახურს, კვლევის არც ერთ მონაწილეს იგი არ უხსენებია. პასუხების გადანაწილება მოხდა შემდეგნაირად:



დიაგრამა 6. სტუდენტთა მხრიდან მიმართვის ობიექტების პროცენტული გადანაწილება (N=398)

კვლევის შედეგად აგრეთვე გამოვლინდა, რომ კვლევის მონაწილეების უმეტესობას (67%) არ ჰქონია საქმიანი ტიპის კომუნიკაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენელთან, 17%-ს ჰქონია, ხოლო დანარჩენ 16%-ს არ სმენია მსგავსი ტიპის სამსახურის შესახებ.

იმის დასადგენად, სტუდენტები რა ინფორმაციას ფლობენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქცია-მოვალეობების შესახებ, სტუდენტებს მათთვის მისაღები მაქსიმუმ სამი პასუხის არჩევის საშუალება ჰქონდათ იმ 15 ჩამონათვალიდან, რომელიც შეიცავდა როგორც სწორ რეალურ პასუხებს (ეფუძვნებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეგულაციების იმ პუნქტებს, რომელშიც განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფლება-მოვალეობები

აღწერილი), ისე თვისებრივი კვლევის პროცესში სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოვლენილ პასუხებს (მათ შორის არასწორ პასუხებსაც). საბოლოო ჯამში, მივიღეთ 854 პასუხი, რომლის 31% შეადგენდა არასწორ პასუხს - „უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე სიახლეების განთავსება“, დანარჩენი მომდევნო ორი პასუხი, რომელიც პირველ პასუხთან შედარებით, ძალზე მცირე ნაწილმა უპასუხა, რეალურად შეესაბამება ხარისხის სამსახურის ფუნქციებს, ესენია: „სასწავლო პროცესისა და ლექტორების მონიტორინგი“ - 16,1%; „სტუდენტების სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები“ - 15,8%. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ 15 შესარჩევი პასუხიდან, საერთოდ არ დასახელებულა 7 პასუხი, რომელთაგანაც 4 (სილაბუსების შექმნაზე მუშაობა, სასწავლო პროცესის მართვის გაუმჯობესება, სასწავლო პროგრამის აკრედიტაციაზე მუშაობა, მაღალი კვალიფიკაციის პროფესორ-მასწავლებლების შერჩევა) რეალურად წარმოადგენს აღნიშნული დეპარტამენტის მოვალეობას. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი უფრო თვალსაჩინოდ აღწერს აღნიშნულ კითხვაზე სტუდენტთა მიერ გაცემულ პასუხებს:

განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები	%
უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე სიახლეების განთავსება	31%
სასწავლო პროცესისა და ლექტორების მონიტორინგი	16,1%
სტუდენტების სწავლასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება	15,8%
სილაბუსების განახლებასა და შესრულებაზე მუშაობა	13,5%
სასწავლო პროგრამის შეფასება	8,7%
სასწავლო პროცესის შესახებ სტუდენტებისთვის კითხვარების შემუშავება/ანალიზი	5,4%



კონფერენციების ორგანიზება	2,5%
გამოცდების მიმდინარეობის კონტროლი	0%
სტუდენტების დასაქმების საკითხებზე მუშაობა	0%
სტუდენტებისთვის გაცვლითი პროგრამების ძიება	0%
სასწავლო პროცესის მართვის გაუმჯობესება	0%
სასწავლო პროგრამის აკრედიტაციაზე მუშაობა	0%
მაღალი კვალიფიკაციის პროფესორ-მასწავლებლების შერჩევა	0%
სილაბუსების შექმნაზე მუშაობა	0%
სხვა	7%
სულ	100

ცხრილი 3. სტუდენტთა აზრით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები (N=398)

*ხარისხის სამსახურისთვის სტუდენტების მოსაზრებების მიწოდების საშუალებები*

კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ, სტუდენტების აზრით, რომელია მათი პრობლემებისა და მოსაზრებების მიღება/გაზიარების ის გზები, რომელსაც უნივერსიტეტის ადმინისტრაცია სტუდენტებისგან უკუკავშირის მისაღებად იყენებს. კვლევის მონაწილე სტუდენტებმა მხოლოდ სამი პასუხი მიიჩნიეს, როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღების საშუალება, ესენია: 1) სტუდენტთა შევსებული კითხვარების მეშვეობით (39,5%), 2) სტუდენტთა ინდივიდუალური პრობლემების/უკუკავშირის ზეპირი მოსმენით (25,8%), 3) სოციალურ ქსელებში სტუდენტების მიერ გამოთქმული მოსაზრებებით (15,9%)

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არც ერთი (არც სახელმწიფო უნივერსიტეტის, არც კერძო უნივერსიტეტის) სტუდენტი არ

მიიჩნევს სტუდენტურ თვითმმართველობას ინფორმაციის მიწოდების ერთ-ერთი საშუალებად. თუმცა, რეალურად, სტუდენტური თვითმმართველობის წევრების მემწეობით უნდა ხდებოდეს სტუდენტების ძირითადი პრობლემების ფორმალური გაჭლერება. სტუდენტური თვითმმართველობის ფუნქციაა, მიაწვდინოს „სტუდენტების ხმა“ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს. სტუდენტური თვითმმართველობა არის წარმომადგენლობითი ჯგუფი, რომლის ერთ-ერთი და უმთავრესი ვალდებულებაა სტუდენტური იდეებისა და პრობლემების ჯგუფური და ფორმალიზებული გაჭლერება. უფრო მეტიც, თვისებრივი კვლევის ნაწილში, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს, მათ განაცხადეს, რომ მართალია არ არსებობს სტუდენტების სტრუქტურირებული და ორგანიზებული ჩართულობა, მაგრამ არსებობს სტუდენტური თვითმმართველობის პერმანენტული ჩართულობის საშუალება, მაგალითად, როგორცაა ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე სტუდენტური თვითმმართველობის წევრების დასწრება და ამ შეხვედრებზე თავიანთი აზრის დაფიქსირების საშუალება. თუმცა, პრაქტიკაში, როგორც რაოდენობრივმა კვლევამ აჩვენა, სტუდენტები (არა მარტო რიგითი სტუდენტები, არამედ თვითმმართველობის წევრებიც კი - რომელიც აღნიშნული კვლევის მონაწილეების 17%-ს წარმოადგენს) არ თვლიან ან არ იციან, რომ ადმინისტრაციისთვის სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა სტუდენტური თვითმმართველობა. შესაბამისად, უნდა მოხდეს სტუდენტებისა და თვითმმართველობის წევრების დაახლოება, მათი თანამშრომლობის განვითარება და მუდმივი სამუშაო შეხვედრების ორგანიზება.

რაც შეეხება, სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღების მეორე ინსტრუმენტს - შეფასების კითხვარს, თვისებრივი კვლევისგან განსხვავებით, სადაც უმაღლესი

საგანმანათლებლო დაწესებულების განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ სტუდენტების ძალზე მცირე რაოდენობა ავსებს სტუდენტებისთვის განკუთვნილ შეფასების კითხვარს, რაოდენობრივი კვლევის მონაწილე სტუდენტების 76%-ს სტუდენტებისთვის განკუთვნილი (ლექტორების, სასწავლო პროცესის) შეფასების კითხვარის შევსებაში მონაწილეობა აქვს მიღებული, ხოლო 24%-ს - არა.

### *სტუდენტების ჩართულობა*

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ სტუდენტების ჩართულობის დონე და ჩართულობის გამოხატული ქმედებები. რესპოდენტი უმეტესი ნაწილი საკუთარ თავს არ მიიჩნევს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების ხარისხის მართვის პროცესში ჩართულად - 67%, 13% მიიჩნევს თავს ჩართულად, ხოლო დანარჩენმა 20%-მა საკუთარი ჩართულობა საშუალო დონით განსაზღვრა.

კვლევის მონაწილე სტუდენტებმა საკუთარ უნივერსიტეტში ზოგადად სტუდენტების ჩართულობა შეაფასეს შემდგენაირად: არ არიან ჩართულნი - 26%, მეტნაკლებად არიან ჩართულნი - 62% და აქტიურად არიან ჩართულნი - 12%.

ზემოთ მოყვანილი ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რესპოდენტი სტუდენტების უმეტესობა ჩართული არაა განათლების ხარისხის მართვის საქმიანობაში; მიუხედავად აღნიშნული მონაცემისა, გამოკითხულთა ძალზე დიდი ნაწილი (84%) თვლის, რომ სტუდენტები უფრო მეტად უნდა იყვნენ ჩართულნი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების განათლების ხარისხის მართვის საქმიანობაში.

### *სტუდენტების ჩართულობის მოტივაცია*

კვლევის მონაწილეებმა თავიანთი და სხვა სტუდენტების ჩართულობის სამი ძირითადი მოტივაციის წყარო დაასახელეს (ჩამონათვალში იყო 10 მამოტივირებელი მიზეზი ორი პასუხის არჩევის საშუალებით), ესენია: 1) საკუთარი სასწავლო პრობლემების მოგვარება (35%), 2) საუნივერსიტეტო სასწავლო პრობლემების მოგვარება (18%), 3) სხვებისთვის მიმბაძველობა (6%). აღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტუდენტთა უმეტესობა ორიენტირებულია სასწავლო გარემოს გაუმჯობესებაზე, რომელიც საკუთარი სწავლის შესაძლებლობების განვითარებაში გამოიხატება, რაც რა თქმა უნდა, მათ შემდგომ კარიერულ წინსვლასა და პიროვნებად ჩამოყალიბებასთანაა დაკავშირებული.

### *სტუდენტისა და ხარისხის სამსახურის თანამშრომლობის განვითარება სტუდენტების პერსპექტივიდან*

გამოკვლევის შედეგად დადგინდა, სტუდენტების აზრით, განათლების ხარისხის უზურნველყოფის სამსახურის მხრიდან, როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს განათლების ხარისხის უზურნველყოფის სამსახურისა და სტუდენტების თანამშრომლობა. აღნიშნულის გასაუმჯობესებლად, რესპოდენტმა სტუდენტებმა წარმოადგინეს ორი გზა, ესენია: მუდმივი შეხვედრების ორგანიზება (40%), დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება (39%). მხოლოდ 9% თვლის, რომ შეუძლებელია სტუდენტის დაინტერესება, თუ იგი თავად არაა დაინტერესებული და მონდომებული ჩაერთოს განათლების ხარისხის მართვის საქმიანობაში. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტუდენტების მხრიდან წარმოდგენილი შეთავაზების

განხორცილება ძალზე ადვილია; უნივერსიტეტის მხრიდან არ საჭიროებს დიდ რესურსებს, მხოლოდ აღნიშნული დეპარტამენტისა და სტუდენტების კეთილი ნება და დროითი რესურსი საკმარისია სტუდენტთა ჩართულობის ზრდის უზრუნველსაყოფად.

სტუდენტებისა და ხარისხის სამსახურის თანამშრომლობის გზები	%
მუდმივი შეხვედრების ორგანიზებით	40%
დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდებით	39%
შეუძლებელია სტუდენტის დაინტერესება, თუ იგი თავად არაა დაინტერესებული	9%
კითხვარის სავალდებულო შევსებით	0
არ ესაჭიროება გაუმჯობესება	0
არ მაქვს პასუხი	0
სხვა	12%
სულ	100%

ცხრილი 4. სტუდენტებსა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესების საშუალებები (N=398)

*სტუდენტების ქცევითი, ემოციური და კოგნიტური ჩართულობა*

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოკვლეულ იქნა, თუ რა ქმედებებით ერთგებიან სტუდენტები უნივერსიტეტის მართვის საქმიანობაში. მათ ჰქონდათ მოცემული თორმეტი დებულება (იხილეთ ცხრილი 5) და უნდა შეეფასებინათ, თუ

რამდენად ეთანხმებიან აღნიშნულ დებულებებს. მოცემული დებულებების საშუალებით შესწავლილ იქნა, თუ როგორ ხასიათდება სტუდენტების აქტიურობა - ქცევითი, ემოციური თუ კოგნიტური ჩართულობით.

კომპონენტების შეფასება მოხდა ლიკერტის 5 ქულიანი სკალის გამოყენებით, რომლის გადაკოდირება მოხდა 3 ქულიანი სქემით. ცხრილში მითითებულია მოცემულ დებულებებზე გაცემული პასუხების პროცენტული მაჩვენებელი, აგრეთვე განსაზღვრულია, თუ რომელი დებულება ჩართულობის რომელ კომპონენტს მიეკუთვნება:

	დებულება	ვეთანხმები	არ ვიცო	არ ვეთანხმები	ჩართულობის კომპონენტი
1	„ვმონაწილეობ განათლების ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებულ სამუშაო/საინფორმაციო შეხვედრებში“	21%	10%	69%	ქცევითი ჩართულობა
2	„ვუზიარებ განათლების ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებულ ჩემს მოსაზრებებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას“	25%	11%	64%	
3	„ვუზიარებ განათლების ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებულ ჩემს მოსაზრებებს ლექტორებს“	47%	16%	37%	

4	„ვუზიარებ განათლების ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებულ ჩემს მოსაზრებებს სტუდენტურ თვითმმართველობას“	25%	12%	63%	
5	„ვავსებ ლექტორებისა და სწავლის პროცესის შეფასების კითხვარს“	66%	10%	24%	
6	„განათლების ხარისხთან დაკავშირებულ ჩემს კმაყოფილებას/უკმაყოფილებას სოციალური ქსელის საშუალებით გამოვხატავ“	30%	11%	59%	
7	„ჯგუფში, სტუდენტებთან გამოვხატავ ინტერესს და ვსაუბრობ განათლების ხარისხთან დაკავშირებულ საკითხებზე“	66%	13%	21%	
8	„მადელვებს განათლების ხარისხთან დაკავშირებული საკითხები“	78%	13%	9%	ემოციური ჩართულობა ა
9	„კარგი/ცუდი“ ლექტორების მიმართ გამოვხატავ დადებით/უარყოფით ემოციას/დამოკიდებულებას“	64%	15%	21%	

10	„ვფიქრობ/ვაანალიზებ, თუ როგორ შეიძლება უნივერსიტეტში განათლების ხარისხის გაუმჯობესება“	58%	27%	15%	კოგნიტური ჩართულობა
11	„ვფიქრობ/ვაანალიზებ, თუ როგორ შეიძლება ჩემი უნივერსიტეტი მსოფლიო მოწინავე უნივერსიტეტებს შორის მოხვდეს“	47%	29%	24%	
12	„ვფიქრობ/ვაანალიზებ, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ სტუდენტებს უნივერსიტეტში განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის“	59%	23%	18%	

ცხრილი 5. ჩართულობის სამი კომპონენტი (N=398)

მონაცემების ანალიზის შედეგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამივე კომპონენტის ყველა დებულებიდან სტუდენტებს ყველაზე მეტად „აღელვებს განათლების ხარისხთან დაკავშირებული პრობლემები“ (78%), რაც ემოციური ჩართულობის კომპონენტით ხასიათდება. ქცევითი კომპონენტიდან ყველაზე ხშირად დაფიქსირდა შემდეგი პასუხი: „ჯგუფში სტუდენტებთან გამოვხატავ ინტერესს და ვსაუბრობ განათლების ხარისხთან დაკავშირებულ საკითხებზე“ (65%), ხოლო კოგნიტურიდან - „ვფიქრობ, ვაანალიზებ, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ სტუდენტებს უნივერსიტეტში განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის“ (59%).

აგრეთვე, გაცემული პასუხების საშუალებით ცალ-ცალკე დავთვალოთ თითოეული კომპონენტის (ქცევითი, ემოციური და კოგნიტური) შემადგენელ



დებულებებზე გაცემული პასუხები (3 - ვეთანხმები, 2 - ნეიტრალური და 1 - არ ვეთანხმები); აღნიშნულ დებულებებზე მიღებული პასუხების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით მივიღეთ სხვადასხვა პასუხთა კატეგორები (კითხვარში მოცემული 1-დან 3-მდე პასუხების მიხედვით). შემდგომ უკვე დავთვალეთ თითოეული კატეგორიის სიხშირული განაწილება და პროცენტული მაჩვენებლები. ასე მაგალითად, რესპოდენტთაგან 18-მა (4,5%) ყველა ქცევით დებულებებზე პასუხი 1 (არ ვეთანხმები) გასცა (იხილეთ ცხრილი 6), ხოლო 5 (1,3%) რესპოდენტის პასუხთა საშუალო არითმეტიკულმა 1,14 შეადგინა, რომელიც კატეგორიების რიგში მეორე გახლავთ, და ასე დანარჩენი.

პასუხთა საშუალო არითმეტიკულის დათვლა და კატეგორიების გამოყოფა მოხდა ემოციური და კოგნიტური ჩართულობის შემთხვევაშიც; აგრეთვე, დავთვალეთ მათი სიხშირე და პროცენტული მაჩვენებელი (იხილეთ ცხრილი 7, 8).

ქცევითი ჩართულობა			
	კატეგორია	სიხშირე	%
1	1.00	18	4.5
2	1.14	5	1.3
3	1.29	39	10.1
4	1.33	1	0.3
5	1.43	22	5.7
6	1.50	1	0.3
7	1.57	50	12.9
8	1.67	6	1.5
9	1.71	23	5.9
10	1.83	2	0.5

11	1.86	52	13.4
12	2.00	24	6.2
13	2.14	40	10.3
14	2.17	1	0.3
15	2.29	14	3.6
16	2.33	4	1.0
17	2.40	2	0.5
18	2.43	16	4.1
19	2.50	2	0.5
20	2.57	9	2.3
21	2.67	1	0.3
22	2.71	20	5.2
23	2.83	3	0.8
24	2.86	5	1.3
25	3.00	28	7.2
სულ		388	100.0

ცხრილი 6. სტუდენტების ქცევითი ჩართულობის მაჩვენებლების კატეგორიის სიხშირული განაწილება (N=398)

ემოციური ჩართულობა			
	კატეგორია	სიხშირე	%
1	1.00	20	5.2
2	1.50	8	2.1
3	2.00	83	21.6

4	2.50	66	17.1
5	3.00	208	54.0
სულ		385	100.0

ცხრილი 7. სტუდენტების ემოციური ჩართულობის მაჩვენებლების კატეგორიის სიხშირული განაწილება (N=398)

კოგნიტური ჩართულობა			
	კატეგორია	სიხშირე	%
1	1.00	37	9.7
2	1.33	20	5.2
3	1.67	25	6.5
4	2.00	52	13.5
5	2.33	51	13.3
6	2.50	2	0.5
7	2.67	51	13.3
8	3.00	146	38.0
სულ		384	100.0

ცხრილი 8. სტუდენტების კოგნიტური ჩართულობის მაჩვენებლების კატეგორიის სიხშირული განაწილება (N=398)

საბოლოო ჯამში, ჩავატარეთ ჩართულობის სამივე ტიპის მაჩვენებლების ანალიზი. მოვახდინეთ მხოლოდ თანხმობის მაჩვენებლის (თანხმობის მაჩვენებელად ჩაითვა 2-ს ზემოთ მაჩვენებელი, სადაც 3 იყო ვეთანხმები, 2 - ნეიტრალური და 1 - არ ვეთანხმები) თითოეული კატეგორიის პროცენტული განაწილების საშუალო არითმეტიკულის შეკრება და შემდგომ მათი ერთმანეთთან

შედარება. ასე მაგალითად, ემოციურ ჩართულობაში თანხმობის (2-ს ზემოთ მაჩვენებელი) სხვადასხვა კატეგორიების პროცენტული მაჩვენებლის ჯამმა შეადგინა 71,1%, კოგნიტურის - 67,4%, ხოლო ქცევითის - 37,4% (იხილეთ დანართი 1). აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტუდენტების ჩართულობის სამი ფაქტორიდან უფრო მეტად ემოციური ჩართულობა ჭარბობს, თუმცა, დიდად არ ჩამოვარდება კოგნიტური ჩართულობის მაჩვენებელი. ხოლო რაც შეეხება სტუდენტების ქცევით ჩართულობას - მის პროცენტულ მაჩვენებელზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი ბევრად დაბალია ჩართულობის დანარჩენი ორი ტიპის მაჩვენებელთან შედარებით. აღნიშნული გვიჩვენებს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის მართვის პროცესში კვლევის მონაწილე სტუდენტების ჩართულობა, ძირითადად, ხასიათდება ემოციური და კოგნიტური ჩართულობით.

აღნიშნულ დებულებებზე კვლევის მონაწილე სტუდენტთა პასუხების ფაქტორული ანალიზი ვარიანტის მეთოდით განხორციელდა, რათა დაგვედგინა აღწერილი 12 დებულება რამდენად ურთიერთდამოკიდებული ცვლადები არიან. ანალიზმა აჩვენა, რომ გამოიკვეთა ორი ძირითადი ფაქტორი: 1) პირველ ფაქტორში, გაერთიანდა ყველა კოგნიტური, ყველა ემოციური და ერთი ქცევითი კომპონენტი, რომელსაც პირობითად ვუწოდეთ - „ემოციურ-კოგნიტური ჩართულობა“, 2) ხოლო მეორე ფაქტორში, ყველა ცვლადი ქცევითია, შესაბამისად, მას პირობითად დავარქვით - „ქცევითი ჩართულობა“ (იხილეთ ცხრილი 9). ერთი დებულება - „ვუზიარებ განათლების ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებულ ჩემს მოსაზრებებს ჩემს ლექტორებს“ - ორივე ფაქტორში მოხვდა. აქვე აღსანიშნავია, რომ საწყისი ინფორმაციის 53,6% მოთავსებულია აღნიშნულ ფაქტორებში.

N	დებულებები	ფაქტორი 1	ფაქტორი 2
1	„ვეფიქრობ/ვაანალიზებ, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ სტუდენტებს უნივერსიტეტში განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის“	0,817	
2	„ვეფიქრობ/ვაანალიზებ, თუ როგორ შეიძლება უნივერსიტეტში განათლების ხარისხის გაუმჯობესება“	0,798	
3	„მალეღვებს განათლების ხარისხთან დაკავშირებული საკითხები“	0,731	
4	„ვეფიქრობ/ვაანალიზებ, თუ როგორ შეიძლება ჩემი უნივერსიტეტი მსოფლიო მოწინავე უნივერსიტეტებს შორის მოხვდეს“	0,718	
5	„ჯგუფში, სტუდენტებთან გამოვხატავ ინტერესს და ვსაუბრობ განათლების ხარისხთან დაკავშირებულ საკითხებზე“	0,607	
6	„“კარგი/ცუდი“ ლექტორების მიმართ გამოვხატავ დადებით/უარყოფით ემოციას/დამოკიდებულებას“	0,456	
7	„ვავსებ ლექტორებისა და სწავლის პროცესის შეფასების კითხვარს“	0,134	
8	„ვუზიარებ განათლების ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებულ ჩემს მოსაზრებებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას“		0,888
9	„ვმონაწილეობ განათლების ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებულ“		0,838

	<i>სამუშაო/საინფორმაციო შეხვედრებში</i>		
10	<i>„ვუზიარებ განათლების ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებულ ჩემს მოსაზრებებს სტუდენტურ თვითმმართველობას“</i>		0,829
11	<i>„განათლების ხარისხთან დაკავშირებულ ჩემს კმაყოფილებას/უკმაყოფილებას სოციალური ქსელის საშუალებით გამოვხატავ“</i>		0,605
12	<i>„ვუზიარებ განათლების ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებულ ჩემს მოსაზრებებს ჩემს ლექტორებს“</i>	0,444	0,513

ცხრილი 9. ჩართულობის კომპონენტების ფაქტორული ანალიზის შედეგები (N=398)

აღსანიშნავია, რომ დებულებებიდან ერთ-ერთი „ვავსებ ლექტორებისა და სწავლის პროცესის შეფასების კითხვარს“, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მიჩნეულია, როგორც ჩართულობის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი; ფაქტორული ანალიზის შედეგად, აღნიშნული დებულების აქტიური როლი (0,134) არ გამოიკვეთა არც ერთი ტიპის ჩართულობაში.

გარდა იმისა, რომ ფაქტორული ანალიზის შედეგად გამოვლინდა ჩართულობის ორი ფაქტორი, მათი შედარების მიზნით, მოხდა თითოეულ კომპონენტში შემავალი დებულებების საშუალოების დაჯამება და კომპონენტის თითოეული ტიპის საშუალო მაჩვენებლის გამოთვლა, რომელსაც ჩართულობის ინდექსი ვუწოდეთ (იხილეთ ცხრილი 10).

N	დებულებები	ემოციურ- კოგნიტური ინდექსი	ქცევითი ინდექსი
1	„ვფიქრობ/ვაანალიზებ, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ სტუდენტებს უნივერსიტეტში განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის“	2,4158	
2	„ვფიქრობ/ვაანალიზებ, თუ როგორ შეიძლება უნივერსიტეტში განათლების ხარისხის გაუმჯობესება“	2,4267	
3	„მაღელვებს განათლების ხარისხთან დაკავშირებული საკითხები“	2,6937	
4	„ვფიქრობ/ვაანალიზებ, თუ როგორ შეიძლება ჩემი უნივერსიტეტი მსოფლიო მოწინავე უნივერსიტეტებს შორის მოხვდეს“	2,2375	
5	„ჯგუფში, სტუდენტებთან გამოვხატავ ინტერესს და ვსაუბრობ განათლების ხარისხთან დაკავშირებულ საკითხებზე“	2,4488	
6	„“კარგი/ცუდი“ ლექტორების მიმართ გამოვხატავ დადებით/უარყოფით ემოციას/დამოკიდებულებას“	2,6937	
7	„ვავსებ ლექტორებისა და სწავლის პროცესის შეფასების კითხვარს“	2,4215	
8	„ვუზიარებ განათლების ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებულ ჩემს მოსაზრებებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას“		1,6188

9	„ვმონაწილეობ განათლების ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებულ სამუშაო/საინფორმაციო შეხვედრებში“		1,5342
10	„ვუზიარებ განათლების ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებულ ჩემს მოსაზრებებს სტუდენტურ თვითმმართველობას“		1,6194
11	„განათლების ხარისხთან დაკავშირებულ ჩემს კმაყოფილებას/უკმაყოფილებას სოციალური ქსელის საშუალებით გამოვხატავ“		1,7139
12	„ვუზიარებ განათლების ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებულ ჩემს მოსაზრებებს ჩემს ლექტორებს“	2,1018	2,1018
	საშუალო არითმეტიკული	2,40	1,72

ცხრილი 10. ჩართულობის დებულებების საშუალოების ანალიზი (N=398)

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტუდენტთა შორის - „ემოციურ-კოგნიტური ჩართულობის“ ინდექსი სჭარბობს ( $M=2,42$ ;  $SD=0,2$ ) „ქცევითი ჩართულობის“ ინდექსს ( $M=1,71$ ;  $SD=0,22$ ), ( $t(11)=5,95$ ;  $p<0,0001$ ).


*კერძო და სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის საერთო და განმასხვავებელი მახასიათებლები*

კვლევაში ჩართული იყო ორივე ტიპის - სახელმწიფო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები. გამოვლინდა ამ ორი ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა შორის სხვაობები. მაგალითად,



კერძო უნივერსიტეტების სტუდენტები სწავლისა და სწავლების საკითხთან დაკავშირებული პრობლემის მოსაგვარებლად თუ რჩევის მისაღებად, პირველ რიგში, დეკანს მიმართავენ (კერძო დაწესებულების სტუდენტების 50%), ხოლო სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები (სახელმწიფო დაწესებულების სტუდენტების 42%) სასწავლო დეპარტამენტს (ფაკულტეტს) ( $\chi^2(6)=135,775, p<.05$ ).

შედარებით მაღალია, აგრეთვე, იმ სტუდენტების რაოდენობა, ვინც არავის მიმართავს, სახელმწიფო უნივერსიტეტებში (17%), ვიდრე კერძოში (3%). აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ არც ერთი ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის მიერ არ დასახელებულა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, როგორც პრობლემისა და რეკომენდაციის გაჟღერების ადგილი.



დიაგრამა 7. სტუდენტების მიმართვის ობიექტები უნივერსიტეტის ტიპის მიხედვით (N=398)

ზემოთ მოყვანილი დიაგრამიდან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კერძო საგანმანათლებლო დაწესებულების მმართველობითი რგოლი უფრო მეტად ღია და მიმღებისუნარიანია, ვიდრე სახელმწიფო დაწესებულების, რაც რა თქმა უნდა, გარკვეულწილად გავლენას ახდენს სტუდენტების ჩართულობაზე; ამაზე მეტყველებს მაჩვენებლის „არავის მივმართავ“ უნივერსიტეტის ტიპთა შორის სხვაობები, სადაც კერძო უნივერსიტეტის სტუდენტების მხოლოდ 3% არ იყენებს საკუთარ სტუდენტურ უფლებებს და პრობლემის შემთხვევაში არავის მიმართავს, ხოლო ამ ტიპის სტუდენტების რაოდენობა სახელმწიფო უნივერსიტეტებში 17%-ს უტოლდება.

აღნიშნული სხვაობა დადასტურდა აგრეთვე იმ პროცენტული მაჩვენებლებით, რომლითაც სტუდენტებმა საკუთარი ჩართულობა შეაფასეს. კერძოდ, კერძო უნივერსიტეტის სტუდენტთა ნახევარი (50%) თვლის, რომ არაა ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განათლების ხარისხის მართვის საქმიანობაში, ხოლო სახელმწიფო უნივერსიტეტების შემთხვევაში, ეს რიცხვი კიდევ უფრო დიდია (73%) ( $X^2(2)=22,86, p<.05$ ).

თითქმის თანაბარი პროცენტული მაჩვენებელია კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტების იმ სტუდენტებისა, ვისაც მიაჩნია, რომ სხვა სტუდენტების უმრავლესობა მეტ-ნაკლებად ჩართულია (კერძო - 63% და სახელმწიფო - 62%) ( $X^2(2)=10,16, p<.05$ ). უნივერსიტეტის ტიპის მიხედვით, სხვაობები არ დაფიქსირდა იმ სტუდენტების მაჩვენებელში, ვინც თვლის, რომ ზოგადად სტუდენტები უფრო მეტად უნდა იყვნენ ჩართულნი განათლების ხარისხის მართვის საქმიანობაში (კერძო - 80% და სახელმწიფო - 85%) ( $X^2(2)=1,503, p<.05$ ).

აგრეთვე, განმასხვავებელი ფაქტორები არ გამოვლინდა კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტებში, სტუდენტების მიერ მათთვის განკუთვნილი შეფასების კითხვარის შევსების მაჩვენებელშიც, ორივე ტიპის დაწესებულების


სტუდენტები მონაწილეობას იღებენ მის შევსებაში. კერძო უნივერსიტეტების 72,7%-ს, ხოლო სახელმწიფო უნივერსიტეტების 76,6%-ს მიუღია მონაწილეობა კითხვარების შევსებაში ( $\chi^2(2)=0,611, p<.05$ ).

ორივე ტიპის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები კმაყოფილებას გამოხატავენ თავიანთი უნივერსიტეტის განათლების ხარისხის დონით (კერძო - 73%, სახელმწიფო - 61). უფრო დეტალური ანალიზისთვის, მოხდა სწავლის კომპონენტებით კმაყოფილების მაჩვენებლის განსაზღვრა, რაც განათლების ხარისხის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. უნივერსიტეტის ტიპებს შორის საერთო და განმასხვავებელი მახასიათებლების შედარება მხოლოდ კმაყოფილების მაჩვენებლით მოვახდინეთ. ორი მაჩვენებლის გარდა, კროსტაბულაციურმა ანალიზმა, სხვა ფაქტორებში სანდო განსხვავებები ვერ აჩვენა. თუმცა, სხვაობა იყო შემდეგი ორ ფაქტორში:

1) „სწავლების მეთოდები“ - კერძო უნივერსიტეტის სტუდენტები აღნიშნული ფაქტორით უფრო მეტად კმაყოფილნი არიან (კმაყოფილი - 61%, ნეიტრალური - 22%, უკმაყოფილო - 17%), ვიდრე სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტები (კმაყოფილი - 47%, ნეიტრალური - 33%, უკმაყოფილო - 20%) ( $\chi^2(2)=10,906, p<.05$ );

2) „შრომის ბაზრის მოთხოვნებთან სასწავლო პროგრამის შესაბამისობა“ - კერძო უნივერსიტეტის სტუდენტების კმაყოფილების დონე აღნიშნული ფაქტორით აჭარბებს (კმაყოფილი - 56%, ნეიტრალური - 26%, უკმაყოფილო - 18%), სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტების კმაყოფილების დონეს. ისინი უფრო მეტად ნეიტრალურისკენ იხრებიან (კმაყოფილი - 36%, ნეიტრალური - 40%, უკმაყოფილო - 24%) ( $\chi^2(2)=11,779, p<.05$ ).


უნივერსიტეტთა ტიპის მიხედვით სწავლის ყველა კომპონენტით კმაყოფილების მაჩვენებლები მოცემულია დიაგრამაზე 8.



დიაგრამა 8. უნივერსიტეტთა ტიპის მიხედვით სწავლის ყველა კომპონენტით კმაყოფილების მაჩვენებლის სხვაობები (N=398)

იმ სტუდენტების რაოდენობა, ვისაც ხარისხის სამსახურთან კომუნიკაცია არ ჰქონია (კერძო - 72%, სახელმწიფო - 66%) თითქმის ერთნაირია ორივე ტიპის უნივერსიტეტში ( $X^2(2)=9,175$ ,  $p<.05$ ), რაც ზოგადად არა რომელიმე უნივერსიტეტის, არამედ ქვეყნის დონეზე სტუდენტების ჩართულობის პრობლემაზე მიუთითებს. ასევე დაემთხვა ორივე ტიპის უნივერსიტეტის სტუდენტების ცოდნა (და პასუხები) განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის შესახებ. ორივე ტიპის უნივერსიტეტის სტუდენტების უმეტესობამ არასწორი პასუხი გასცა ხარისხის დეპარტამენტის ფუნქციების შესახებ. სტუდენტების უმეტესობას ხარისხის სამსახურის ერთ-ერთ საქმიანობად

ვებ-გვერდზე სიახლეების განთავსება მიაჩნია. დიაგრამაზე 9 მოყვანილია უნივერსიტეტის ტიპის მაჩვენებლები მხოლოდ გაცემული (და არა სრული ჩამონათვალი) პასუხების მიხედვით:




დიაგრამა 9. უნივერსიტეტთა ტიპის მიხედვით სტუდენტების მოსაზრებები ხარისხის სამსახურის საქმიანობის შესახებ (N=398)

უნივერსიტეტის ტიპის მიხედვით, სხვაობები არ დაფიქსირებულა სტუდენტების მოსაზრებაში, თუ როგორ იღებს ადმინისტრაცია უკუკავშირის სტუდენტებისგან. ორივე კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტების მიერ ძირითადად დასახელდა: „სტუდენტთა შევსებული კითხვარების მეშვეობით“ (კერძო - 35%, სახელმწიფო - 41%), და „სტუდენტთა ინდივიდუალური პრობლემების/უკუკავშირის ზეპირი მოსმენით“ (კერძო - 28%, სახელმწიფო - 24%).

კერძო და სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების ჩართულობის მაჩვენებლების მიხედვით, რომლითაც გაიზომა

სტუდენტების ჩართულობის ტიპები: ქცევითი, ემოციური თუ კოგნიტური ჩართულობა, სხვაობები დაფიქსირდა თითოეულ კომპონენტში. თუმცა, ყველაზე დიდი სხვაობა იყო შემდეგ სამ კომპონენტში, კერძოდ კი, ორ ქცევით და ერთ კოგნიტურ კომპონენტში: „ვუზიარებ განათლების ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებულ ჩემს მოსაზრებებს სტუდენტურ თვითმმართველობას (კერძო - 41%, სახელმწიფო - 19%) ( $\chi^2(2)=36,738, p<.05$ ), „ვფიქრობ, ვაანალიზებ, თუ როგორ შეიძლება ჩემი უნივერსიტეტი მსოფლიოს მოწინავე უნივერსიტეტებს შორის მოხვდეს“ (კერძო - 62%, სახელმწიფო - 43%) ( $\chi^2(2)=11,152, p<.05$ ) და „ვმონაწილეობ განათლების ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებულ სამუშაო/საინფორმაციო შეხვედრებში“ (კერძო - 35%, სახელმწიფო - 17%) ( $\chi^2(2)=24,592, p<.05$ ).



დიაგრამა 10. უნივერსიტეტთა ტიპის მიხედვით ჩართულობის მაჩვენებლების სხვაობა (N=398)

ასევე, მოვახდინეთ ფაქტორული ანალიზის შედეგად გამოვლენილი ორი ფაქტორის (ფაქტორი 1- ემოციურ-კოგნიტური ჩართულობა და ფაქტორი 2 -

ქცევითი ჩართულობა) საშუალოების შედარება T-ტესტის საშუალებით, რათა აღნიშნული კუთხით დაგვედგინა უნივერსიტეტთა ტიპთა შორის სხვაობები. ანალიზის შედეგად გამოვლინდა სანდო მონაცემი, რაც გულისხმობს, რომ ფაქტორი 1 - „ემოციურ-კოგნიტური ინდექსი“ მაღალია კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებში (იხილეთ ცხრილი 11), ვიდრე სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებში ( $T=42.4$ ;  $p<0.001$ ). ხოლო ფაქტორ 2-ში - სხვაობები არ ფიქსირდება.

უნივერსიტეტი	ემოციურ- კოგნიტური ინდექსი	ქცევითი ინდექსი
კერძო	0.51	0.01
სახელმწიფო	-0.19	-0.01
Sig	0.000	0.839

ცხრილი 11. უნივერსიტეტებს შორის სხვაობა სტუდენტთა ჩართულობის ინდექსთა მიხედვით (N=398)

სხვაობები არ დაფიქსირებულა კერძო და სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების არსებული ან სამომავლო ჩართულობის მოტივაციასა და ხარისხის მართვის სამსახურსა და სტუდენტების თანამშრომლობის გაუმჯობესების მათ მიერ დანახულ გზებში.



*თვითმმართველობის წევრი და არა წევრი სტუდენტების საერთო და განმასხვავებელი მახასიათებლები*

სტატისტიკურად სანდო სხვაობები არ გამოვლინდა კერძო და სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტური თვითმმართველობის წევრი და არა წევრი სტუდენტებს შორის სწავლის კომპონენტების კმაყოფილების კუთხით (ყველა კომპონენტში  $p > 0.05$ ).

სტუდენტური თვითმმართველობის წევრი სტუდენტების უფრო დიდ ნაწილს ჰქონია საქმიანი ტიპის კომუნიკაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, ვიდრე რიგით სტუდენტებს. თუმცა, ნიშანდობლივია, რომ თვითმმართველობის წევრი სტუდენტების მხოლოდ 29%-ს ჰქონია შეხება ხარისხის სამსახურთან, ხოლო 54%-ს არ ჰქონია ( $\chi^2(2)=10,212, p < .05$ ).

საინტერესო სხვაობები შეინიშნება, ხარისხის მართვის საქმიანობაში ჩართულობის თვალსაზრისით. აღმოჩნდა, რომ თვითმმართველობის არა წევრი სტუდენტები უფრო მეტად ჩართულად აფასებენ საკუთარ თავს (თვითმმართველობის არაწევრი სტუდენტების 72,4%), ვიდრე თვითმმართველობის წევრი სტუდენტები (თვითმმართველობის წევრი სტუდენტების 42,6%) ( $\chi^2(2)=25,370, p < .05$ ).

ნიშანდობლივია, რომ თვითმმართველობის წევრი სტუდენტის უმეტესობა საკუთარი ჩართულობის მოტივაციად საუნივერსიტეტო სასწავლო პრობლემების მოგვარებას ასახელებს (თვითმმართველობის წევრი სტუდენტების 22,5%), ხოლო რიგითი სტუდენტები საკუთარი პრობლემების მოგვარებას (თვითმმართველობის არაწევრი სტუდენტების 36,8%).

აქვე, აღსანიშნია, რომ როგორც რიგითმა სტუდენტებმა, აგრეთვე თვითმმართველობის წევრმა სტუდენტებმა ხარისხის სამსახურის ფუნქციები არასწორედ განსაზღვრეს. როგორც თვითმმართველობის წევრ, ისე არაწევრ უმეტესობა სტუდენტს მიაჩნია, რომ ხარისხის სამსახურის ერთ-ერთი ფუნქცია ვებ-გვერდზე სიახლეების განთავსებაა.

საინტერესოა ისიც, რომ სტუდენტური თვითმმართველობის არც ერთი წევრი (ისევე როგორც არაწევრი სტუდენტები) თვითმმართველობის ჯგუფს არ აღიქვამს, როგორც ხარისხის სამსახურისთვის უკუკავშირის მიღების ერთ-ერთ საშუალებას, მაშინ როდესაც თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების დროს, თავად ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებმა სტუდენტური თვითმმართველობის წევრების ჩართულობა დაასახელეს, როგორც სტუდენტური ჩართულობის მაგალითი, და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან სტუდენტური პრობლემების გაჭედრების ერთ-ერთ საშუალებად იქნა დასახელებული.

ფაქტორული ანალიზის შედეგად გამოყოფილი ჩართულობის ორი ფაქტორის საშუალოების შედარება მოხდა T ტესტის საშუალებით, რათა ამ კუხით თვითმმართველობის წევრ/არა წევრ სტუდენტთა შორის განსხვავება დაგვედგინა, სადაც სანდო სხვაობები გამოვლინდა. ორივე ჩართულობის ინდექსი („ემოციურ-კოგნიტური ჩართულობა“ და „ქცევითი ჩართულობა“) მაღალია თვითმმართველობის წევრ სტუდენტებში, ვიდრე არა წევრ სტუდენტებში ( $T=9.6$ ,  $p<0.05$ ) (იხილეთ ცხრილი 12).


სტუდენტთა თვითმმართველობის წევრი	ემოციურ- კოგნიტური ინდექსი	ქცევითი ინდექსი
კი	0.34	0.28
არა	-0.07	-0.06
სულ	0.00	0.00
Sig	.002	.010

ცხრილი 12. თვითმმართველობის წევრ/არაწევრ სტუდენტთა შორის სხვაობა მათი ჩართულობის ინდექსთა მიხედვით (N=398)

#### *ჩართული და არაჩართული სტუდენტთა შორის სხვაობები*

კვლევის შედეგად გამოიყო ორი კატეგორიის სტუდენტი: 1) სტუდენტები, ვინც საკუთარ თავს ჩართულებად მიიჩნევენ და 2) სტუდენტები, ვინც საკუთარ თავს ჩართულებად არ მიიჩნევენ. ამ ორი კატეგორიის შედარებისას, აღმოჩნდა, რომ არაჩართული სტუდენტები უფრო მეტად გაცნობიერებულნი არიან ხარისხის მართვის საქმიანობაში, ვიდრე ჩართული სტუდენტები. მართალია, მათ მიერ ჩამოთვლილი დებულებები ხარისხის სამსახურის საქმიანობების შესახებ დაემთხვა, მაგრამ თუ კი შევადარებთ სწორ და არასწორ პასუხებს, ვნახავთ, რომ სამი სწორი პასუხის - 1. „სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესის შეფასების კითხვარების შემუშავება/ანალიზი“, 2. „სასწავლო პროცესისა და ლექტორების მონიტორინგი“ და 3. „სასწავლო პროგრამების შეფასება“ - მონიშვნის პროცენტული მაჩვენებელი არაჩართულ სტუდენტებში უფრო მაღალი იყო (1. 5,7%; 2. 17,7%; 3. 9,6%), ვიდრე ჩართული სტუდენტებისა (1. 3,1%, 2. 9,2%, 3. 7,1%). ხოლო ჩართული სტუდენტების მაჩვენებელი მხოლოდ ორი სწორი კითხვის შემთხვევაში

უსწრებდა, ესენია - „სილაბუსების განახლებასა და შესრულებაზე მუშაობა“ (ჩართული - 18,4%, არა ჩართული - 12,3%) და „სტუდენტების სწავლასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება“ (ჩართული - 18,4%, არა ჩართული - 14,6%). რაც შეეხება, არასწორი პასუხების შემთხვევაში, ერთი არასწორი პასუხი - „უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე სიახლეების განთავსება“ ორივე კატეგორიის სტუდენტების უმეტესმა ნაწილმა თითქმის თანაბარი პროცენტული მაჩვენებლით მოხაზეს (ჩართული - 31,6%, არა ჩართული - 31,2%), ხოლო არასწორი პასუხი „კონფერენციების ორგანიზება“ ჩართული სტუდენტების კატეგორია (4,1%) უსწრებდა არაჩართულ სტუდენტებს (2,2%). შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ არაჩართული სტუდენტების უმეტესობა უფრო მეტად გაცნობიერებულია ხარისხის მართვის დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ, ვიდრე არაჩართული სტუდენტები. აღნიშნულის ახსნა შესაძლებელია იმით, რომ სტუდენტებს სუბიექტური აღქმა აქვთ საკუთარ ჩართულობაზე, მათ განცდა აქვთ, რომ ჩართულები არიან, თუმცა, კარგად ვერ აცნობიერებენ რა კუთხით და რა საქმიანობით.



დიაგრამა 11. ჩართული და არა ჩართული სტუდენტების ცოდნა ხარისხის სამსახურის საქმიანობის შესახებ (N=398)

საკუთარ თავს ხარისხის საქმიანობაში ჩართულად არ თვლიან, აგრეთვე, იმ სტუდენტების უმეტესი პროცენტული ნაწილი (64,6%), ვისაც სტუდენტებისთვის განკუთვნილი სასწავლო პროცესისა და ლექტორების შეფასების კითხვარი შეუვსია. არადა, როგორც თვისებრივი კვლევის პროცესში, ლიტერატურის, კვლევებისა და საგანმანათლებლო თემატიკაზე შემუშავებულმა რეგულაციებმა და გზამკვლევმა აჩვენა, კითხვარის შევსება ჩართულობითი ქმედების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. აღნიშნული ორი ფაქტორი კი იმაზე მიუთითებს, რომ სტუდენტებს კარგად არ ესმით ხარისხის მართვის საქმიანობა და ამ პროცესში მათი ჩართულობის არსი.


ნიშანდობლივია, რომ იმ სტუდენტებიდან, ვისაც მიაჩნია, რომ ადმინისტრაცია სტუდენტებისგან უკუკავშირს კითხვარის მეშვეობით იღებს, 83%-ს შეესებულებოდა აქვს ლექტორებისა და სასწავლო პროცესის შეფასების კითხვარი, ხოლო 17%-ს არ შეუვსია.

სტუდენტთა უმეტესობის მიერ (27,9%), ვისაც საქმიანი ტიპის კომუნიკაცია ჰქონია ხარისხის მართვის სამსახურთან (აგრეთვე, ვისაც არ ჰქონია) უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე სიახლეების განთავსება მიჩნეულ იქნა, როგორც განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთ-ერთ საქმიანობად.

სტუდენტების არც თუ ისე მცირე ნაწილი (46,2%), ვისაც საქმიანი ტიპის კომუნიკაცია ჰქონია უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურთან, საკუთარ თავს არ მიიჩნევს ჩართულად განათლების ხარისხის მართვის საქმიანობაში.


#### *სტუდენტთა ჩართულობის გავლენა სტუდენტთა კმაყოფილების დონეზე*

აგრეთვე, განვსაზღვრეთ ჩართული და არაჩართული სტუდენტების საკუთარი უნივერსიტეტით კმაყოფილების დონე. ანალიზის შედეგების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხუთ ბალიანი შკალიდან - მაქსიმალურად ჩართული სტუდენტების უმეტესობა 71,4% კმაყოფილია საკუთარი უნივერსიტეტის განათლების ხარისხის დონით, ხოლო არა ჩართული სტუდენტების მხოლოდ 16,1%-ია კმაყოფილი საკუთარი უნივერსიტეტის ხარისხის დონით, მაშინ როდესაც ზოგადი კმაყოფილების დონის საკმაოდ მაღალი ტენდენცია დაფიქსირდა (იხილეთ დიაგრამა 12) ( $r=0,19$ ;  $p<0.001$ ).



დიაგრამა 12. ჩართულობისა და უნივერსიტეტით კმაყოფილების კორელაციის მაჩვენებელი (N=398)

მნიშვნელოვანი სანდო კორელაციური კავშირი დაფიქსირდა ჩართულობის ქცევით დებულებებსა და სტუდენტების უნივერსიტეტით კმაყოფილების დონესთან. რაც უფრო მაღალია ქცევითი ჩართულობა, მით უფრო მაღალია კმაყოფილება (იხილეთ დიაგრამა 13) ( $r=0,17$ ;  $p<0.001$ ). კმაყოფილების სანდო კორელაციური კავშირი სხვა ტიპის (ემოციური, კოგნიტური) ჩართულობასთან ვერ დაფიქსირდა.



დიაგრამა 13. ქცევითი ჩართულობისა და უნივერსიტეტით კმაყოფილების კორელაციის მაჩვენებელი (N=398)

კვლევის ჰიპოთეზის შემოწმებისას, ფიშერის სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით, კავშირი დაფიქსირდა სტუდენტების უნივერსიტეტში ჩართულობასა და მათი უნივერსიტეტით კმაყოფილებას შორის ( $F(4,386)=7,43$ ;  $p<0.05$ ), რაც კვლევის ძირითად ჰიპოთეზას წარმოადგენდა.

### 5.3. შედეგები

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი მნიშვნელოვანი დასკვნები:

- სტუდენტების ნახევარზე მეტი (65%) კმაყოფილია ზოგადად უნივერსიტეტის სწავლის ხარისხით. კმაყოფილების ტენდენცია გამოვლინდა, აგრეთვე, სწავლის



ჩვენ მიერ ჩამოთვლილი ათი სხვადასხვა კომპონენტის მიხედვით. კერძოდ, ყველაზე მეტი კმაყოფილება დაიმსახურა შემდეგმა კომპონენტებმა: „პროფესორების დამოკიდებულება“ (65%), „სასწავლო მასალის შინაარსი“ (63%) და ბიბლიოთეკა (63%). ყველაზე ნაკლები კმაყოფილება დაფიქსირდა შემდეგი კომპონენტების მიმართ - „კვლევის უნარების განვითარების შესაძლებლობა“ (38%), „სწავლის ორგანიზება და ცხრილი“ (40%), „სასწავლო პროგრამის გამართულობა“ (42%) და „შრომის ბაზარის მოთხოვნებთან სასწავლო პროგრამის შესაბამისობა“ (42%). კვლევის შედეგები გვამცხვამს იმის საშუალებას, რომ გამოვიტანოთ ძალზე მნიშვნელოვანი დასკვნა - სტუდენტების უმეტესობას მიაჩნია, რომ მათ საგანმანათლებლო დაწესებულებას დროის შესაბამისი და მდიდარი აკადემიური (აკადემიური პერსონალი) და ტექნიკური რესურსები (ბიბლიოთეკა) გააჩნია. თუმცა, სტუდენტთა უკმაყოფილება შეინიშნება იმ კომპონენტებში, რომელიც თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის მთავარი შემადგენელი ნაწილებია, და რაც დღევანდელ სწრაფად ცვალებად სამყაროში მაღალი მოთხოვნებისა და კონკურენციის პირობებში კურსდამთავრებულთათვის ძალზე მნიშვნელოვანია;

- კვლევის მონაწილე სტუდენტების 67%-ს არ ჰქონია საქმიანი ტიპის კომუნიკაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენელთან, ხოლო 16%-ს არც კი სმენია მსგავსი ტიპის სამსახურის შესახებ. შესაბამისად, სტუდენტების უმეტესობა რაიმე პრობლემის აღმოჩენისა და რჩევის მისაღებად, პირველ რიგში, მიმართავს სასწავლო დეპარტამენტს/ფაკულტეტს (33%);
- სტუდენტების უმეტესობა არ ფლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქცია-მოვალეობების შესახებ ზუსტ ინფორმაციას. 14 მოცემული დებულებიდან (მათ შორის იყო დებულებები, რომელიც არ წარმოადგენს ხარისხის სამსახურის რეალურ ფუნქცია-მოვალეობებს) რესპოდენტებმა მხოლოდ 7

დებულება მიიჩნეს, როგორც ხარისხის სამსახურის მოვალეობად. სტუდენტთა ძალზე დიდი ნაწილი (31%) ხარისხის ერთ-ერთ ფუნქციად ვებ-გვერდზე სიახლეების განთავსებას მიიჩნევს. აღსანიშნავია, რომ არდასახელებული 7 დებულებიდან 4 რეალურად წარმოადგენს აღნიშნული დეპარტამენტის საქმიანობის სფეროს (დანარჩენი 3 დებულება მცდარი დებულებებია);

- სტუდენტებს მიაჩნიათ, რომ ადმინისტრაცია სტუდენტებისგან უკუკავშირს იღებს შემდეგი საშუალებებით: 1) სტუდენტების მიერ კითხვარის შევსებით (39,5%), 2) სტუდენტების ინდივიდუალური პრობლემების/უკუკავშირის ზეპირი მოსმენით, 3) სოციალურ ქსელებში სტუდენტების მიერ გამოთქმული მოსაზრებებით. აღსანიშნავია, რომ არც ერთი სტუდენტი არ მიიჩნევს სტუდენტურ თვითმმართველობას, როგორც მათი იდეებისა და პრობლემების წარმომადგენლობით ჯგუფად, რომელმაც „სტუდენტური ხმა“ უნდა გააჟღეროს ადმინისტრაციასთან (მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული შედიოდა სავარაუდო პასუხების ჩამონათვალში). გარდა ამისა, თავად ხარისხის მართვის სამსახური აღნიშნავს, რომ ისინი სტუდენტების პრობლემების შესახებ ინფორმაციას თვითმმართველობის წევრების ჩართულობით იღებენ; მაგრამ სტუდენტებთან ჩატარებულმა რაოდენობრივმა კვლევამ განსხვავებული შედეგები გამოავლინა, კერძოდ, გამოიკვეთა თვითმმართველობის წევრების მიმართ სტუდენტების გულგრილობა და უნდობლობა;
- რაოდენობრივი კვლევის მონაწილე სტუდენტების 76%-მა განაცხადა, რომ მათ სასწავლო პროცესისა და ლექტორების შეფასების კითხვარის შევსებაში მონაწილეობა აქვთ მიღებული. აღნიშნული მონაცემი განსხვავებული შედეგია თვისებრივი კვლევის ფარგლებში ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების დროს მიღებული შედეგებისგან. მათ განაცხადეს, რომ სტუდენტების ძალზე მცირე ნაწილი ავსებს კითხვარს; რაოდენობრივმა კვლევამ კი საპირისპირო მონაცემი გვიჩვენა. თუმცა,

აღნიშნული ჩართულობაც არასაკმარისია და საჭიროებს განვითარებასა და დახვეწას;

- რესპოდენტთა 67% საკუთარ თავს არ მიიჩნევს უნივერსიტეტში ხარისხის მართვის პროცესში ჩართულად. ხოლო სხვა სტუდენტების ჩართულობას ისინი შემდეგნაირად აფასებენ - მხოლოდ 12% თვლის, რომ მის უნივერსიტეტში სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი ხარისხის მართვის პროცესში, ხოლო 62% თვლის, რომ სტუდენტები მეტნაკლებად არიან ჩართულნი. აღნიშნული მონაცემები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ კვლევის მონაწილე სტუდენტების უმეტესობა ჩართული არაა განათლების ხარისხის მართვის საქმიანობაში, თუმცა, რესპოდენტთა დიდი ნაწილი (84%) თვლის, რომ სტუდენტები უფრო მეტად უნდა იყვნენ ჩართულნი აღნიშნულ პროცესში;
- რაოდენობრივმა კვლევამ საშუალება მოგვცა გამოგვეყო სტუდენტთა ის ძირითადი მოტივაცია, რაც მათ და სხვა სტუდენტებს უბიძგებს გარკვეული აქტივობისა და საუნივერსიტეტო ჩართულობისკენ, ესენია: 1) საკუთარი სასწავლო პრობლემების მოგვარება (35%), 2) საუნივერსიტეტო სასწავლო პრობლემების მოგვარება (18%), 3) სხვებისთვის (იგულისხმება სხვა სტუდენტები) მიმბაძველობა (6%). აღნიშნული მონაცემის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტუდენტთა უმეტესობა ორიენტირებულია საკუთარი სასწავლო გარემოს გაუმჯობესებაზე;
- სტუდენტები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და სტუდენტებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესების გზად მიიჩნევენ შემდეგ ორ მეთოდს: 1) მუდმივი შეხვედრების ორგანიზება (40%) და 2) დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება (39%). საგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან აღნიშნული მეთოდის გამოყენება არ წარმოადგენს სირთულეს, რადგანაც არ საჭიროებს დიდ მატერიალურ რესურსს, მხოლოდ ადამიანური და დროითი რესურსის სათანადო მართვის განხორციელებაა საჭირო. ნიშანდობლივია, აგრეთვე, სტუდენტთა 9%-ს მიაჩნია, რომ სტუდენტის

ჩართულობის უზრუნველყოფა შეუძლებელია, თუ იგი თავად არაა დაინტერესებული ჩაერთოს განათლების ხარისხის მართვის საქმიანობაში;

➤ რაოდენობრივი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამივე კომპონენტის ყველა დებულებიდან (სულ სტუდენტებს 12 დებულება ჰქონდათ მიცემული, რომელიც მოიცავდა ქცევითი, კოგნიტური და ემოციური ჩართულობას) სტუდენტების უმეტესობას „აღელვებს განათლების ხარისხთან დაკავშირებული პრობლემები“ (78%), რაც ემოციური ჩართულობის კომპონენტით ხასიათდება. ქცევითი კომპონენტიდან ყველაზე ხშირად დაფიქსირდა შემდეგი პასუხი: „ჯგუფში სტუდენტებთან გამოვხატავ ინტერესს და ვსაუბრობ განათლების ხარისხთან დაკავშირებულ საკითხებზე“ (65%), ხოლო კოგნიტურიდან - „ვფიქრობ, ვანალიზებ, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ სტუდენტებს უნივერსიტეტში განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის“ (59%). სამივე ჩართულობის მონაცემების ანალიზმა ცხადყო, რომ სტუდენტთა ჩართულობის ემოციური (71,2%) და კოგნიტური მაჩვენებელი (65,1%) ძალზე ახლოსაა ერთმანეთთან, ხოლო ქცევითი (37,4%) თითქმის ორჯერ ნაკლებია სხვა ჩართულობის მონაცემთან შედარებით;

➤ რაოდენობრივი კვლევის მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა სტუდენტთა ჩართულობის ორი ფაქტორი, კერძოდ, 1) პირველ ფაქტორში, გაერთიანდა ყველა კოგნიტური, ყველა ემოციური და ერთი ქცევითი კომპონენტი, რომელსაც პირობითად ვუწოდებთ - „ემოციურ-კოგნიტური ჩართულობა“, 2) ხოლო მეორე ფაქტორში, ყველა ცვლადი ქცევითია, შესაბამისად, მას პირობითად დავარქვით - „ქცევითი ჩართულობა“. აღსანიშნავია, რომ ერთი დებულება - „ვუზიარებ განათლების ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებულ ჩემს მოსაზრებებს ჩემს ლექტორებს“ - ორივე ფაქტორში მოხვდა. თუ კი ორივე კომპონენტის ცვლადებს დავაჯამებთ, შედეგად მივიღებთ, რომ სტუდენტთა „ემოციურ-კოგნიტური ჩართულობა“ (4,6) მეტია „ქცევით ჩართულობაზე“ (3,7);

- პრობლემის გასაჭერებლად ან რჩევის მისაღებად, კერძო უნივერსიტეტში მიმართავენ დეკანს (50%), ხოლო სახელმწიფო უნივერსიტეტში - სასწავლო დეპარტამენტს/ფაკულტეტს (42%). ასევე მაღალია მაჩვენებელი „არავის მივმართავ“ სახელმწიფო დაწესებულებაში (სახელმწიფო - 17%, კერძო - 3%). აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კერძო დაწესებულებები გარკვეულწილად უფრო მეტად გახსნილი არიან სტუდენტების მიმართ, ვიდრე სახელმწიფო უნივერსიტეტები;
- კერძო უნივერსიტეტების სტუდენტების 50% თვლის, რომ არაა ჩართული განათლების ხარისხის მართვის საქმიანობაში, ხოლო ეს რიცხვი სახელმწიფო დაწესებულებებში მაღალია და 73%-ს უდრის. თუმცა, ორივე ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების საკმაოდ დიდი ნაწილი თვლის, რომ სტუდენტები უფრო მეტად უნდა იყვნენ ჩართულნი განათლების ხარისხის მართვის საქმიანობაში (კერძო - 80%, სახელმწიფო - 85%). შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორივე ტიპის უნივერსიტეტის სტუდენტები მზად არიან აქტიურად ჩაერთონ და საკუთარი წვლილი შეიტანონ უნივერსიტეტის განვითარების პროცესში;
- ორივე ტიპის დაწესებულების სტუდენტები კმაყოფილებას გამოხატავენ უნივერსიტეტში განათლების ხარისხის დონით (სახელმწიფო - 61%, კერძო - 73%). აგრეთვე, შევადარეთ კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტების სწავლის კომპონენტებით კმაყოფილების მაჩვენებლები, შედეგად კი განსხვავებები გამოვლინდა სწავლის მხოლოდ ორ კომპონენტში, ესენია: 1) სწავლების მეთოდები და 2) შრომის ბაზრის მოთხოვნებთან სასწავლო პროგრამის შესაბამისობა. ორივე ამ კომპონენტით კერძო უნივერსიტეტის სტუდენტები უფრო მეტად კმაყოფილნი არიან, ვიდრე სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტები;
- სტუდენტების რაოდენობა, ვისაც ხარისხის სამსახურთან კომუნიკაცია არ ჰქონია (კერძო - 72%, სახელმწიფო - 66%) თითქმის ერთნაირია ორივე ტიპის

უნივერსიტეტში, რაც ზოგადად არა რომელიმე უნივერსიტეტის, არამედ ქვეყნის დონეზე სტუდენტების ჩართულობის პრობლემაზე მიუთითებს. ასევე დაემთხვა ორივე ტიპის უნივერსიტეტის სტუდენტების ცოდნა (და პასუხები) განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის შესახებ. ორივე ტიპის უნივერსიტეტის სტუდენტების უმეტესობამ არასწორი პასუხი გასცა ხარისხის დეპარტამენტის ფუნქციების შესახებ. სტუდენტების უმეტესობას ხარისხის სამსახურის ერთ-ერთ საქმიანობად ვებ-გვერდზე სიახლეების განთავსება მიაჩნია;

- კერძო და სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების ჩართულობის მაჩვენებლების მიხედვით, რომლითაც გაიზომა სტუდენტების ჩართულობის ტიპები: ქცევითი, ემოციური თუ კოგნიტური ჩართულობა, სხვაობები დაფიქსირდა თითოეულ კომპონენტში. თუმცა, ყველაზე დიდი სხვაობა იყო შემდეგ სამ კომპონენტში, კერძოდ კი, ორ ქცევით და ერთ კოგნიტურ კომპონენტში. კერძო უნივერსიტეტის სტუდენტები (41%) უფრო მეტად თანამშრომლობენ სტუდენტურ თვითმმართველობასთან, ვიდრე სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები (19%). აგრეთვე, კერძო უნივერსიტეტის (62%) სტუდენტების მაჩვენებელი შემდეგ კომპონენტში აღემატება სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისგან მიღებულ მაჩვენებელს (43%) - „ვფიქრობ, ვაანალიზებ, თუ როგორ შეიძლება ჩემი უნივერსიტეტი მსოფლიოს მოწინავე უნივერსიტეტებს შორის მოხვდეს“;
- ფაქტორი ერთი - „ემოციურ-კოგნიტური ჩართულობა“ მაღალია კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ვიდრე სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებში, ხოლო ფაქტორ ორში - „ქცევითი ჩართულობა“ სხვაობები არ ფიქსირდება;
- მნიშვნელოვანი განსხვავება არ შეიმჩნევა კერძო და სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების არსებული ან სამომავლო

ჩართულობის მოტივაციასა და ხარისხის მართვის სამსახურსა და სტუდენტების თანამშრომლობის გაუმჯობესების მათ მიერ დანახულ გზებში;

- რაოდენობრივმა კვლევამ გამოავლინა, რომ სტუდენტური თვითმმართველობის წევრი სტუდენტების უფრო დიდ ნაწილს ჰქონია საქმიანი ტიპის კომუნიკაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, ვიდრე რიგით სტუდენტებს. თუმცა, ნიშანდობლივია, რომ თვითმმართველობის წევრი სტუდენტების მხოლოდ 29%-ს ჰქონია შეხება ჩვენი კვლევის ობიექტთან - ხარისხის სამსახურთან;
- საინტერესო სხვაობები გამოვლინდა ხარისხის მართვის საქმიანობაში ჩართულობის თვალსაზრისით. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ თვითმმართველობის არა წევრი სტუდენტები უფრო მეტად ჩართულად აფასებენ საკუთარ თავს (თვითმმართველობის არაწევრი სტუდენტების 72,4%), ვიდრე თვითმმართველობის წევრი სტუდენტები (თვითმმართველობის წევრი სტუდენტების 42,6%);
- მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტური თვითმმართველობის წევრების მოტივაცია უფრო ფართო და უნივერსიტეტებსა და სტუდენტებზე ორიენტირებულია (საუნივერსიტეტო სასწავლო პრობლემების მოგვარება - თვითმმართველობის წევრი სტუდენტების 22,5%), ხოლო რიგითი სტუდენტები უფრო მეტად საკუთარი მიზნებისკენ არიან მიმართულნი (საკუთარი პრობლემების მოგვარება - თვითმმართველობის არაწევრი სტუდენტების 36,8%);
- ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ სტუდენტური თვითმმართველობის არც ერთი წევრი (ისევე როგორც არაწევრი სტუდენტები) თვითმმართველობის ჯგუფს არ აღიქვამს, როგორც ხარისხის სამსახურისთვის უკუკავშირის მიღების ერთ-ერთ საშუალებას, მაშინ როდესაც თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების დროს, თავად ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებმა სტუდენტური თვითმმართველობის წევრების ჩართულობა დაასახელეს, როგორც

სტუდენტური ჩართულობის მაგალითი, და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან სტუდენტური პრობლემების გაჭლერების ერთ-ერთ საშუალებად იქნა დასახელებული. გარდა ამისა, რეალურად სტუდენტური თვითმმართველობა წარმოადგენს სტუდენტთა მოსაზრებების გაჭლერების ოფიციალურ, ფორმალურ საშუალებას;

- ფაქტორი 1 – „ემოციურ-კოგნიტური ჩართულობა“ მაღალია თვითმმართველობის წევრ სტუდენტებში, ვიდრე არა წევრ სტუდენტებში;
- სტუდენტური თვითმმართველობის წევრი სტუდენტების მხოლოდ 23%-ს ჰქონია საქმიანი ტიპის კომუნიკაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განათლების ხარისხის სამსახურის წარმომადგენელთან;
- რიგითი სტუდენტების პროცენტული მაჩვენებელი (72,4%) მეტია, ვიდრე თვითმმართველობის წევრი სტუდენტისა (42,6%), ვინც საკუთარ თავს ხარისხის მართვის საქმიანობაში ჩართულად აღიქვამს;
- როგორც რიგითმა სტუდენტებმა, ისე თვითმმართველობის წევრებმა არ იციან ზუსტად, თუ რა ფუნქცია-მოვალეობები გააჩნია ხარისხის მართვის სამსახურს;
- კვლევის შედეგად გამოიყო ორი კატეგორიის სტუდენტი: 1) სტუდენტები, ვინც საკუთარ თავს ჩართულებად მიიჩნევენ და 2) სტუდენტები, ვინც საკუთარ თავს ჩართულებად არ მიიჩნევენ. ამ ორი კატეგორიის შედარებისას, აღმოჩნდა, რომ არაჩართული სტუდენტები უფრო მეტად ფლობენ ინფორმაციას ხარისხის მართვის საქმიანობის შესახებ, ვიდრე ჩართული სტუდენტები. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ არაჩართული სტუდენტების უმეტესობა უფრო მეტად გაცნობიერებულია ხარისხის მართვის დეპარტამენტის ფუნქცია-მოვალეობების შესახებ, ვიდრე არაჩართული სტუდენტები. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს ისიც, რომ სტუდენტების დიდი ნაწილი (46,2%), ვისაც საქმიანი ტიპის კომუნიკაცია ჰქონია უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურთან, საკუთარ თავს არ მიიჩნევს ჩართულად განათლების ხარისხის მართვის



საქმიანობაში, მიუხედავად იმისა, რომ ხარისხის სამსახურთან რაიმე პრობლემისა თუ მოსაზრების გაჟღერება შეიძლება მიჩნეულ იქნას, როგორც ხარისხის მართვის პროცესში სტუდენტთა ჩართულობად;

- საკუთარ თავს ხარისხის საქმიანობაში ჩართულად არ თვლიან, აგრეთვე, იმ სტუდენტების უმეტესი პროცენტული ნაწილი (64,6%), ვისაც სტუდენტებისთვის განკუთვნილი სასწავლო პროცესისა და ლექტორების შეფასების კითხვარი შეუვსია. არადა, როგორც თვისებრივი კვლევის პროცესში, ლიტერატურის, კვლევებისა და საგანმანათლებლო თემატიკაზე შემუშავებულმა რეგულაციებმა და გზამკვლევმა აჩვენა, კითხვარის შევსება ჩართულობითი ქმედების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. აღნიშნული კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს სტუდენტების ინფორმირებულობის დაბალ დონეს ხარისხის მართვის საქმიანობისა და აღნიშნულ პროცესში მათი ჩართულობის შესახებ;
- იმ სტუდენტების 17%-ს, ვისაც მიაჩნია, რომ ადმინისტრაციისთვის სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღების ერთ-ერთი საშუალება შეფასების კითხვარების შევსებაა, არ აქვს კითხვარი შევსებული;
- განათლების ხარისხის მართვის პროცესში ჩართული სტუდენტების 71,4% საკუთარი უნივერსიტეტის განათლების ხარისხით კმაყოფილებას გამოხატავს;
- კორელაციური კავშირი დაფიქსირდა სტუდენტების ჩართულობის დონისა და უნივერსიტეტით კმაყოფილების დონეს შორის. რაც უფრო მეტია ჩართულობა, მით უფრო კმაყოფილია სტუდენტი საკუთარი უნივერსიტეტის განათლების ხარისხით. აგრეთვე, მნიშვნელოვანი კორელაციური კავშირი დაფიქსირდა ჩართულობის ქცევით ფაქტორსა და სტუდენტების უნივერსიტეტით კმაყოფილების დონესთან. კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რაც უფრო მაღალია ქცევითი ჩართულობა, მით უფრო მაღალია სტუდენტების კმაყოფილება საკუთარი. შესაბამისად მოხდა კვლევის მთავარი ჰიპოთეზის დამტკიცება, კერძოდ - თანამედროვე მიდგომების გამოყენებით, საქართველოს

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განათლების ხარისხის მართვისა და მისი ორგანიზაციული განვითარების პროცესში სტუდენტთა ჩართულობა იწვევს სტუდენტთა მხრიდან საკუთარი უნივერსიტეტის განათლების ხარისხით კმაყოფილების დონის ამაღლებას.

## 6. დასკვნები და რეკომენდაციები

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განათლების ხარისხის მართვისა და მისი ორგანიზაციული განვითარების პროცესში სტუდენტთა ჩართულობის კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განათლების ხარისხის მართვის თანამედროვე მიდგომების გამოყენებით, რაც გულისხმობს მართვის პროცესში სტუდენტთა აქტიურ და გააზრებულ ჩართულობას, შესაძლებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციული განვითარების ეფექტური მართვის სისტემის შემუშავება. საბოლოო ჯამში, კი მოხდება სტუდენტთა სწავლისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესება და სტუდენტთა მხრიდან უნივერსიტეტის განათლების ხარისხით კმაყოფილების დონის ზრდა. აღნიშნული მსჯელობა საშუალებას გვაძლევს დავასაბუთოთ კვლევის ჰიპოთეზა. კვლევის შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ განათლების პროცესში სტუდენტთა ჩართულობას დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების განათლების ხარისხის მართვის პროცესზე.

დასკვნის სახით, შეგვიძლია აგრეთვე, ვთქვათ, რომ მოხდა კვლევის ქვეჰიპოთეზების დასაბუთება, კერძოდ, კვლევამ ცხადყო, რომ:

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, განათლების ხარისხის შეფასების პროცესში სტუდენტების მონაწილეობა ხელს შეუწყობს სტუდენტთა სწავლის მოტივაციის ზრდას;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, განათლების ხარისხის მართვის პროცესში სტუდენტთა ჩართულობის შედეგად გაიზრდება სტუდენტების უნივერსიტეტით კმაყოფილება;

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, განათლების ხარისხის მართვის პროცესში სტუდენტთა ჩართულობას დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია ხარისხის მართვის პროცესზე;
- კვლევისას შედეგად გამოვლინდა, რომ ხარისხის მართვის პროცესში სტუდენტთა ემოციური და კოგნიტური ჩართულობა აჭარბებს ქცევითი ჩართულობის კომპონენტს.

იმისათვის, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეიქმნას სტუდენტების ჩართულობის რელევანტური, თანამედროვე და დროის შესაბამისი გარემო, მნიშვნელოვანია, შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება, კერძოდ, საჭიროა მართვის პროცესში მისი შემადგენელი ნაწილების სათანადოდ გააზრება და განხორციელება. კერძოდ, კვლევის შედეგად შესწავლილი ლიტერატურის ანალიზზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის პროცესი უნდა ეფუძნებოდეს სწორ დაგეგმარებას, ორგანიზებას, მონიტორინგს, უნივერსიტეტისა და სტუდენტთა საერთო მიზნებს, უნარ-ჩვევებს, გამოცდილებასა და მათ ერთობლივ ჯგუფურ მუშაობას. გარდა ამისა, ორანიზაციული მართვის პროცესში მნიშვნელოვანია ადამიანური ურთიერთობების გათვალისწინება, შესაბამისად უნდა მოხდეს ჰარმონიული თანამშრომლობა და ურთიერთკავშირი უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის საერთო ამოცანების განხორციელების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა ჩართულობის ზრდას ხარისხის მართვის პროცესებში.

ხარისხის მართვის პროცესში უნდა მოხდეს ხარისხის მართვის შემადგენელი ნაწილების წარმოდგენილი ჯაჭვის დანერგვა/განხორციელება: ხარისხის უზრუნველყოფა ⇒ ხარისხის კონტროლი ⇒ ხარისხის მართვა ⇒ ხარისხის აუდიტი ⇒ ხარისხის შეფასება ⇒ ხარისხის გაუმჯობესება. აღნიშნული


გულისხმობს განათლების სისტემაში არსებული მიზნების, რესურსების, კვლევის შედეგების, პროგრამებისა და კურსების განხორციელებას. რომელსაც მოსდევს უკუკავშირის უწყვეტ მიღებას როგორც სტუდენტებისგან, ისე სხვა დაინტერესებული პირებისგან. დაინტერესებულ პირებში მოიაზრება დამსაქმებლები, რომლის იდენტიფიკაციისთვისაც, საჭიროა, ბაზრის შესწავლა, რათა შემდგომ მოხდეს არსებული კურიკულუმის განვითარება, სტრატეგიის შემუშავება, რესურსების მოძიება, მონიტორინგი. ნებისმიერი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია მოახდინოს განათლების ხარისხის შემოწმება, კერძოდ, სისტემამ თუ რამდენად განახორციელა ის, რის განხორციელებასაც გეგმავდა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ხარისხის შეფასება, სადაც მოიაზრება გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით განხორციელებული ქმედებების შეფასება. შეფასების შემდგომ, მნიშვნელოვანია, მოხდეს ცვლილებები და დახვეწა, რომლის შედეგადაც მივიღებთ ხარისხის გაუმჯობესებას.

დღევანდელი საგანმანათლებლო სამყარო და თანამედროვე საგანმანათლებლო დაწესებულებები ორიენტირებული უნდა იყოს ისეთი პროგრამების შექმნაზე, რომელიც სტუდენტის დასაქმებას ხელს შეუწყობს. რადგანაც უმეტეს შემთხვევაში, დღევანდელ დღეს ადამიანი განათლებას იღებს პროფესიული განვითარებისა და დასაქმების მიზნით. ასევე, თანამედროვე სამყარო დიდ ყურადღებას აქცევს კვლევით პროცესებს ნებისმიერ დარგში. შესაბამისად, წარმატებულმა საგანმანათლებლო დაწესებულების სამიანობა მიმართული უნდა იყოს აღნიშნული კომპონენტების განვითარებაზე. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტუდენტთა ჩართულობა საჭიროებს გაუმჯობესებას. აუცილებელია, ჩართულობის არსებული ინსტრუმენტების (მაგალითად, შეფასების კითხვარი) დახვეწა და განახლება.

სტუდენტებთან კომუნიკაციის შედეგად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეძლებს შესთავაზოს უკეთესი სერვისი, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტთა კმაყოფილების ზრდასა და ნდობის მოპოვებას, რაც დღევანდელ საბაზრო სისტემაში, უნივერსიტეტისთვისაც მომგებიანი იქნება კონკურენციის თვალსაზრისით.

ჩართულობის პროცესში სტუდენტს უნდა მიენიჭოს რამდენიმე სახის ფუნქცია, როგორცაა 1) ხარისხის მართვისთვის უკუკავშირისა და ინფორმაციის მიწოდების ფუნქცია, 2) ხარისხის მართვის პროცესში შემსრულებლის ფუნქცია, 3) საკუთარი სწავლის გამოცდილებაზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის რეკომენდაციების შემუშავების ფუნქცია, 4) ხარისხის მართვის დეპარტამენტთან თანამშრომლობის ფუნქცია. შესაბამისად, სტუდენტი და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია თანაბრად ვალდებული არიან განავითარონ არსებული განათლების ხარისხი.

უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა მოახდინოს ხარისხის მართვის პროცესის უწყვეტი შეფასება, რომლის პროცესშიც სტუდენტებს საშუალება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ. ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებმა ერთობლივი მუშაობის საფუძველზე უნდა მოახდინონ სტუდენტთა ჩართულობით ხარისხის მართვის შეფასების ანალიზი. ხოლო რაიმე ხარვეზისა თუ გაუმჯობესების საჭიროების აღმოჩენის შემთხვევაში, სტუდენტს აუცილებლად უნდა მიეწოდოს უკუკავშირი. სტუდენტს, აგრეთვე, გარკვეული როლი და პასუხისმგებლობა უნდა გააჩნდეს გადაწყვეტილების დანერგვისა და განხორციელების პროცესში. ამ გზით შესაძლებელი იქნება საკუთარი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებით სტუდენტთა კმაყოფილების ზრდა, რაც როგორც მათ სწავლაზე, ისე დაწესებულების რეპუტაციაზეც მოახდენს გავლენას (იხილეთ დიაგრამა 14).



დიაგრამა 14. ხარისხის მართვაში სტუდენტთა ჩართულობის პროცესი

მნიშვნელოვანია, ყურადღება დავუთმოთ და შევისწავლოთ სტუდენტთა მოსაზრებები. მათი აზრის გათვალისწინება არა მარტო უშუალოდ ხარისხის მართვით ქმედებების განხორციელებისას უნდა მოხდეს, არამედ სტუდენტები განხორციელებამდე, დაგეგმის პროცესშიც უნდა მონაწილეობდნენ, რათა თავად განსაზღვრონ საკუთარი როლი და ფუნქციები ზოგადად უნივერსიტეტის განათლების ხარისხის მართვის საქმიანობაში. თუმცა, პირველ რიგში, უნდა მოხდეს სტუდენტებისთვის განათლების ხარისხის დეპარტამენტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და მათი ფუნქციების მკაფიო ახსნა, რაც ხელს შეუწყობს ურთიერთთანამშრომლობას.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ჩართულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის დახვეწის საჭიროება, რომელიც ნახსენები იყო როგორც სტუდენტების, ისე განათლების ხარისხის მართვის დეპარტამენტის მიერ. შესაბამისად, საჭიროა, მისი დახვეწა და სტუდენტების საჭიროებებზე მორგება, ისე რომ ხარისხის მართვის დეპარტამენტმა მისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის

მოპოვება შეძლოს, რაც შემდგომში აღნიშნული დეპარტამენტის მიზნებისა და ამოცანების დასახვა-განხორციელებას შეუწყობს ხელს. ასევე, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით, ხარისხის სამსახურის მიერ უნდა შემუშავდეს სტუდენტების სხვა ჩართულობის ინსტრუმენტები.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტებისა და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებისთვის, აუცილებელია, მუდმივი შეხვედრებისა და პრობლემების ირგვლივ დისკუსიების წარმართვა, რაც კონკრეტული განვითარების ქმედებების საწინდარი იქნება, სადაც აგრეთვე სტუდენტები მიიღებენ მონაწილეობას. აღნიშნული გზით მოხდება სტუდენტების ჩართულობის ქცევითი კომპონენტის გაუმჯობესება, რაც ამჟამად, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, სტუდენტებში საკმაოდ დაბალია. მთელ ამ პროცესში უნდა მოხდეს სტუდენტური თვითმმართველობის ფაქტორის გათვალისწინება, და მათი არსებული რესურსების ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენება. ხელი უნდა შეეწყოს თვითმმართველობის წევრებისა და სხვა სტუდენტების დაახლოებასა და თანამშრომლობის განვითარებას. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ჩართულობის აღნიშნული მეთოდის განხორციელება არ საჭიროებს დიდ მატერიალურ რესურსებსა და ხარჯებს, მხოლოდ ადამიანური და დროითი რესურსის გამოყოფაა საჭირო.

აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით, შესაძლებელი იქნება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების ხარისხის მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროცესში სტუდენტთა ჩართულობის გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს განათლების სისტემის ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში ჰარმონიზაციას.



## 7. გამოყენებული ლიტერატურა

- ანდლულაძე ნ., ბრეგვაძე თ. (2014). *უმაღლესი განათლების სტუდენტთა კმაყოფილებისა და სწავლის პროცესში ჩართულობის კვლევა*.
- განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი (2008). *უმაღლესი განათლების რეფორმის შედეგები (აღწერითი ანგარიში ბოლონის პროცესის ინდიკატორების მიხედვით)*.
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (2016). *განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიული გეგმა 2016-2020*.
- დარჩია ი. (2013). *უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში*.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2014). *უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი*.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2009). *ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ინსტიტუციური მექანიზმები, გზამკვლევი*.
- ჩაჩანიძე გ. *განათლების ხარისხის მართვის ზოგადი კონცეფცია*.
- Alaniska, A. et al. (2006). *Student Involvement in the Processes of Quality Assurance Agencies*.
- Astin, A.W. (1984). *Student Involvement: A Developmental Theory for Higher Education*. Journal of College Student Development, 25 (4).
- Bloom, B., Englehart, M., Furst, F., Hill, W., & Krathwohl, D. (1956). *Taxonomy of Educational Objectives: The Classification of Educational Goals*. Handbook I: Cognitive Domain. New York: McKay.
- Bohrer, J. (2006). *The Role of the Student in Quality Assurance Processes*.

- Bredmar K. (2016). *Understanding Management Control and Organizational Sense-Making*. Cartridge Books Oxford. Oxford, UK.
- Chatterji, M. (2004). *Evidence on "What Works". An Argument for Extended-Term Mixed Method (ETMM) Evaluation Designs*. Educational Researcher 33 (9).
- Coates, H. (2005). *The Value of Student Engagement for Higher Education Quality Assurance, Quality in Higher Education*. Melbourne Graduate School of Education - Research Publications.
- Coates, H. (2007). *A Model of Online and General Campus-Based Student Engagement. Assessment and Evaluation in Higher Education*. Melbourne Graduate School of Education - Research Publications.
- Coates, H. (2009). *Engaging Students for Success - 2008 Australasian Survey of Student Engagement*. Victoria, Australia: Australian Council for Educational Research.
- Doherty, D. G. (1994). *Developing Quality Systems in Education*. Routledge. London, Great Britain.
- Ellis, R. (1993). *Quality Assurance for University Teaching*. Society for Research into Higher Education. London, England.
- Ellis, R., & Cryer, P. (1993). *Developing Quality Systems in Education*. Routledge. New York, USA & London, Great Britain.
- European Association for Quality Assurance in Higher Education (ENQA), et. al. (2015). *Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area (ESG)*. Brussels, Belgium.
- European Ministers in charge of Higher Education. (1999). Bologna Declaration. Bologna, Italy.

- Fredricks, J.A., Blumenfeld, P.C. and Paris, A.H. (2004) *School Engagement: Potential of the Concept, State of the Evidence*. Review of Educational Research.
- Higher Education Funding Council for England (HEFCE). (2005). *Young Participation in Higher Education*.
- Hugh, B. (2011). *From Design Research to Large-Scale Impact*. Educational Design Research.
- Johnstone, D. B. (1993), *Learning Productivity: A New Imperative for American Higher Education*. Albany: State University of New York. (Studies in Public Higher Education #3).
- Lizzio, A. & Wilson, K. (2009). *Student Participation in University Governance: The Role Conceptions and Sense of Efficacy of Student Representatives on Departmental Committees*. Studies in Higher Education, Volume 34, 2009 - Issue 1.
- Kezar, A. (2005). *Redesigning for Collaboration within Higher Education Institutions: An Exploration into the Developmental Process*. Research in Higher Education. Volume 46, Issue 7.
- Klep, J., Letschert A., Thijis A. (2004). *Wat Gaan We Leren? (What Will We Learn?)*. Enschede: Stichting Leerplanontwikkeling (SLO).
- Krause, K. (2005). *Understanding and Promoting Student Engagement in University Learning Communities*. The University of Melbourne.
- Krause, K. and Coates, H. (2008). *Students' Engagement in First-Year University*. Assessment and Evaluation in Higher Education.
- Kuh, G.D. (2005) *Putting Student Engagement Results to Use: Lessons from the Field*. Assessment Update.

- Kuh, G.D. et al. (2007). *Unmasking the Effects of Student Engagement on First-Year College Grades and Persistence*. The Journal of Higher Education, Volume 79. The Ohio State University Press.
- Kuh, G.D. (2009). *The National Survey of Student Engagement: Conceptual and Empirical Foundations*. New Directions for Institutional Research.
- Little, B., Locke, W., Scesa, A. and Williams, R. (2009). *Report to HEFCE on Student Engagement*. London: Centre for Higher Education Research and Information.
- Magolda, P. (2005). *Promoting Student Success: What Student Leaders Can Do*. Bloomington, IN: National Survey of Student Engagement.
- McKenny, S., Nieveen N., Akker v. d. J. (2011). *Design Research from a Curriculum Perspective*. Educational Design Research.
- Ministerial Conference. (2001). *Prague Communiqué*. Prague, Czech Republic.
- Ministerial Conference (2005). *Communiqué of the Conference of European Ministers Responsible for Higher Education*. Bergen, Norway.
- Moore, R. A., Sanchez C. G. (2012). *Student Engagement: Utilizing Bloom's Taxonomy. Student Engagement: An Experimental Approach Utilizing Bloom's Taxonomy*.
- Nyonya, T. & Rupande, G. (2014). *The Role of Students in Quality Assurance in an ODL Institution*.
- Ryan, J.F. (2005). *Institutional Expenditures and Student Engagement: A Role for Financial Resources in Enhancing Student Learning and Development?* Research in Higher Education, 46 (2).
- Sallis E. (2002). *Total Quality Management in Education*. Kogan Page Ltd., UK & Stylus Publishing Inc., USA.

- The OSCE Parliamentary Assembly and Resolutions. (2010). *Oslo Declaration*. Oslo, Norway.
- The Quality Assurance Agency for Higher Education. (2012). *Quality Assurance Guideline: Scotland*. QAA Scotland. Glasgow, Scotland.
- Trowler, V. (2010). *Student Engagement Literature Review*. Department of Educational Research, Lancaster University.
- United Nations Educational, Scientific and Cultural Organization (2005). *Education for All. The Quality Imperative*. UNESCO Publication. France.
- Vanapriya, B., Dodhiya, J. (2015). Total Quality Management in Global Education System: Concept, Application and Implementation.
- Velden, G.M., Naidoo, R., Lowe, J.A., Pimentel Bótas, P.C., Pool A.D. (2013). *Student Engagement in Learning and Teaching Quality Management*. A Study of UK Practices, commissioned by the Quality Assurance Agency.
- Wayne, K. H., Cecil, G.M. (2013). *Educational Administration (Theory, Research and Practice)*. McGraw-Hill Higher Education.

დანართი 1 - სტუდენტთა ჩართულობის მაჩვენებლების კატეგორიის  
სიხშირული განაწილება

ქცევითი ჩართულობა		
	2-ს ზემოთ კატეგორია	% სიხშირე
1	2.14	10.3
2	2.17	.3
3	2.29	3.6
4	2.33	1.0
5	2.40	.5
6	2.43	4.1
7	2.50	.5
8	2.57	2.3
9	2.67	.3
10	2.71	5.2
11	2.83	.8
12	2.86	1.3
13	3.00	7.2
სულ		37.4

ცხრილი 13. სტუდენტების ქცევითი ჩართულობის მაჩვენებლების 2-ს ზემოთ კატეგორიის  
სიხშირული განაწილება (N=398)

ემოციური ჩართულობა		
	2-ს ზემოთ კატეგორია	% სიხშირე
1	2.50	17.1
2	3.00	54.0
სულ		71.2

ცხრილი 14. სტუდენტების ემოციური ჩართულობის მაჩვენებლების 2-ს ზემოთ კატეგორიის სიხშირული განაწილება (N=398)

კოგნიტური ჩართულობა		
	2-ს ზემოთ კატეგორია	% სიხშირე
1	2.33	13.3
2	2.50	.5
3	2.67	13.3
4	3.00	38.0
სულ		65.1

ცხრილი 15. სტუდენტების კოგნიტური ჩართულობის მაჩვენებლების 2-ს ზემოთ კატეგორიის სიხშირული განაწილება (N=398)

## დანართი 2 - დიაგრამები და ცხრილები

### დიაგრამები

დიაგრამა 1. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის ჯაჭვი - გვ. 46

დიაგრამა 2. სტუდენტური ჩართულობის ტიპოლოგია - გვ. 53

დიაგრამა 3. სტუდენტების ჩართულობის მოტივაციის ოთხი კლასტერი - გვ. 55

დიაგრამა 4. ხარისხის სამსახურის საქმიანობის დებულებები - გვ. 93

დიაგრამა 5. საკუთარი უნივერსიტეტის განათლების ხარისხით სტუდენტების კმაყოფილების დონე - გვ. 115

დიაგრამა 6. სტუდენტთა მხრიდან მიმართვის ობიექტების პროცენტული გადანაწილება - გვ. 119

დიაგრამა 7. სტუდენტების მიმართვის ობიექტები უნივერსიტეტის ტიპის მიხედვით - გვ. 137

დიაგრამა 8. უნივერსიტეტთა ტიპის მიხედვით სწავლის ყველა კომპონენტით კმაყოფილების მაჩვენებლის სხვაობები - გვ. 140

დიაგრამა 9. უნივერსიტეტთა ტიპის მიხედვით სტუდენტების მოსაზრებები ხარისხის სამსახურის საქმიანობის შესახებ - გვ. 141

დიაგრამა 10. უნივერსიტეტთა ტიპის მიხედვით ჩართულობის მაჩვენებლების სხვაობა - გვ. 143

დიაგრამა 11. ჩართული და არა ჩართული სტუდენტების ცოდნა ხარისხის სამსახურის საქმიანობის შესახებ - გვ. 149



დიაგრამა 12. ჩართულობისა და უნივერსიტეტით კმაყოფილების კორელაციის  
მაჩვენებელი - გვ. 151

დიაგრამა 13. ქცევითი ჩართულობისა და უნივერსიტეტით კმაყოფილების კორელაციის  
მაჩვენებელი - გვ. 152

დიაგრამა 14. ხარისხის მართვაში სტუდენტთა ჩართულობის პროცესი - გვ. 167

### *ცხრილები*

ცხრილი 1. სტუდენტის ქცევითი, ემოციური და კოგნიტური ჩართულობის პოზიტიური  
და ნეგატიური ასპექტები - გვ. 51

ცხრილი 2. სასწავლო პროცესის კომპონენტებით სტუდენტების კმაყოფილების დონე - გვ.  
117

ცხრილი 3. სტუდენტთა აზრით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები - გვ.  
121

ცხრილი 4. სტუდენტებსა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შორის  
თანამშრომლობის გაუმჯობესების საშუალებები - გვ. 125

ცხრილი 5. ჩართულობის სამი კომპონენტი - გვ. 128

ცხრილი 6. სტუდენტების ქცევითი ჩართულობის მაჩვენებლების კატეგორიის სიხშირული  
განაწილება - გვ. 130

ცხრილი 7. სტუდენტების ემოციური ჩართულობის მაჩვენებლების კატეგორიის  
სიხშირული განაწილება - გვ. 131

ცხრილი 8. სტუდენტების კოგნიტური ჩართულობის მაჩვენებლების კატეგორიის  
სიხშირული განაწილება - გვ. 131

ცხრილი 9. ჩართულობის კომპონენტების ფაქტორული ანალიზის შედეგები - გვ. 134

ცხრილი 10. ჩართულობის დებულებების საშუალოების ანალიზი - გვ. 136

ცხრილი 11. უნივერსიტეტებს შორის სხვაობა სტუდენტთა ჩართულობის ინდექსთა მიხედვით - გვ. 144

ცხრილი 12. თვითმმართველობის წევრ/არაწევრ სტუდენტთა შორის სხვაობა მათი ჩართულობის ინდექსთა მიხედვით - გვ. 147

ცხრილი 13. სტუდენტების ქცევითი ჩართულობის მაჩვენებლების 2-ს ზემოთ კატეგორიის სიხშირული განაწილება - გვ. 174

ცხრილი 14. სტუდენტების ემოციური ჩართულობის მაჩვენებლების 2-ს ზემოთ კატეგორიის სიხშირული განაწილება - გვ. 175

ცხრილი 15. სტუდენტების კოგნიტური ჩართულობის მაჩვენებლების 2-ს ზემოთ კატეგორიის სიხშირული განაწილება - გვ. 175

### დანართი 3 - თვისებრივი კვლევის კითხვარი

#### *თვისებრივი კვლევის კითხვარი სტუდენტებისთვის*

1. სწავლების კურსი, ფაკულტეტი
2. ხართ თუ არა უნივერსიტეტის განათლების ხარისხის მართვით საქმიანობაში ჩართული? რა სახით? წარამატებული იყო? წარუმატებული?  
როგორ ხდება თქვენი ჩართულობა, ჯფურად თუ ინდივიდუალურად?  
გასულ სემესტრში დაახლოებით რამდენჯერ მოხდა თქვენ მიერ რაიმე წინადადების შეთავაზება ან სამუშაო შეხვედრა უნივერსიტეტის განათლების ხარისხის სამსახურთან?  
შეგიძლიათ მოიყვანოთ თქვენი ჩართულობის ერთი მაგალითი განათლების ხარისხის მართვით საქმიანობაში?
3. განათლების ხარისხის განვითარების კუთხით მიმდინარე პროცესებში თანამშრომლობთ სტუდენტურ თვითმმართველობასთან?  
თუ კი, რა სახით და ვისი ინიციატივით?  
თუ არა რატომ? და თუ გაქვთ სურვილი?
4. კმაყოფილი ხართ თქვენი - სტუდენტების ჩართულობის დონით განათლების ხარისხის მართვით საქმიანობაში?  
როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია განათლების ხარისხის მართვით საქმიანობაში თქვენი უფრო მეტად ჩართვა?
5. რა მოტივაცია გამოძრავებთ, როდესაც აქტიურობთ და ერთვებით უნივერსიტეტის განათლების ხარისხის მართვით საქმიანობაში?
6. როგორ ფიქრობთ სტუდენტური თვითმმართველობა რა მოტივით არის ჩართული საგანმანათლებლო მართვის საქმიანობაში?

7. როგორ ფიქრობთ რიგითი სტუდენტები რა მოტივით არიან ჩართულნი განათლების ხარისხის მართვის საქმიანობაში?
8. რაიმე ცვლილებას ხომ არ განახორციელებდით თქვენსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, კერძოდ ხარისხის მართვის დეპარტამენტთან, ურთიერთობაში?
9. მიგაჩნიათ თუ არა, რომ თვითმმართველობის გარდა რიგითი სტუდენტებიც უნდა იყვნენ ჩართულნი განათლების ხარისხის მართვის საქმიანობაში? რა კუთხით?
10. როგორ გაზრდიდით სტუდენტების ჩართულობას?
11. რა მნიშვნელობას ანიჭებთ თქვენი, როგორც ერთი სტუდენტის ჩართულობას უნივერსიტეტის განათლების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით?
12. როგორ ფიქრობთ, განათლების ხარისხის ზრდა რა გავლენას მოახდენს თქვენზე, როგორც ერთ სტუდენტზე? იმოქმედებს თქვენს სწავლაზე? მომავალ კარიერაზე?
13. თქვენთვის რა არის უნივერსიტეტი?
14. რამდენად კარგად ინცობთ უნივერსიტეტის მიზნებსა და მისწრაფებებს. შეაფასეთ 10 ბალიანი სკალით (1 საერთოდ არ ვიცი- 10 ძალიან კარგად ვიცი)
15. რამდენად ხშირად ეცნობით უნივერსიტეტის განათლების მართვის კუთხით მინდინარე პროცესებსა და ახალ ამბებს. ყოველ დღე, კვირაში ერთხელ, თვეში ერთხელ, სამ თვეში ერთხელ. საერთოდ არ მაინტერესებს.
16. როგორ ფიქრობთ რა საქმიანობას ახორციელებს უნივერსიტეტის განათლების ხარისხის მართვის სამსახური?
17. როგორ ფიქრობთ, რა საქმიანობა შეიძლება განახორციელოს სტუდენტმა უნივერსიტეტის განათლების ხარისხის მართვის კუთხით?
18. შეაფასეთ უნივერსიტეტის განათლების ხარისხის დონე 10 ბალიანი სკალით (1 უკმაყოფილო- 10 სრულიად კმაყოფილი)
19. ახორციელებთ თუ არა სხვა დამატებით საქმიანობას, უნივერსიტეტს გარეთ, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის განათლების ხარისხისა და წარმატების ზრდას?

20. განათლების ხარისხის მართვით საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღების პროცესში თქვენი (უფრო მეტად) ჩართულობის შემთხვევაში, გაიზრდება თქვენი უნივერსიტეტით კმაყოფილების დონე?
21. დაახლოებით რა პერიოდი დაგჭირდათ უნივერსიტეტის საქმიანობის გასაცნობად პირველად, როდესაც გახდით სტუდენტი?
22. თქვენი აზრით, სტუდენტთა ჩართულობის გაზრდის პროცესში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რა როლი შეიძლება ჰქონდეს?

*თვისებრივი კვლევის კითხვარი ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებისთვის*

1. ვის მიერ ხდება უნივერსიტეტში განათლების ხარისხის მართვით საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღება?
2. არიან თუ არა ჩართულნი აღნიშნულ საქმიანობაში სტუდენტთა თვითმართველობის წევრები? რა სახით?
3. არიან თუ არა ჩართულნი აღნიშნულ საქმიანობაში სხვა სტუდენტები? რა სახით?
4. რამდენად ხდება სტუდენტის აზრის გათვალისწინება განათლების ხარისხის მართვით საქმიანობაში? რა სახით?
5. თუ მოხდა სტუდენტების ჩართულობით რაიმე გადაწყვეტილების მიღება? რა დოზით იყო ჩართული სტუდენტი.
6. შეაფასეთ ჩართულობა 10 ბალიანი სკალით (1 არ ხდება - 10 სრულიად ხდება)
7. შეგიძლიათ მოიყვანოთ ერთი მაგალითი? თუ მოხდა ამ გადაწყვეტილების შემდგომი შეფასება?
8. შეაფასეთ ჩართულობის წარმატებულობა 10 ბალიანი სკალით (1 უკმაყოფილო - 10 სრულიად კმაყოფილი)

9. ზოგადად, რამდენად კმაყოფილი ხართ სტუდენტების ჩართულობის დონით?
10. რა სარგებელი - დადებითი შედეგი გააჩნია სტუდენტის ჩართულობას განათლების ხარისხის მართვით საქმიანობაში?
11. რა უარყოფითი შედეგი გააჩნია სტუდენტის ჩართულობას განათლების ხარისხის მართვით საქმიანობაში?
12. როგორ შეიძლება დაიხვეწოს სტუდენტის ჩართულობის პროცესი განათლების ხარისხის მართვით საქმიანობაში?
13. როგორ ფიქრობთ, რა მოტივი გააჩნიათ სტუდენტებს, როდესაც ისინი აქტიურობენ უნივერსიტეტის განათლების ხარისხის განვითარების კუთხით?
14. როგორ ფიქრობთ, სტუდენტების ჩართულობის ზრდით განათლების ხარისხის მართვით საქმიანობაში გაიზრდება მათი სწავლის დონე?
15. როგორ ფიქრობთ, სტუდენტების ჩართულობის ზრდით განათლების ხარისხის მართვით საქმიანობაში გაიზრდება მათი უნივერსიტეტით კმაყოფილების დონე?
16. როგორ ფიქრობთ, რა გავლენას ახდენს სტუდენტის მომავალ კარიერაზე სტუდენტების ჩართულობა განათლების ხარისხის მართვით საქმიანობაში?
17. თქვენი აზრით, სტუდენტთა ჩართულობის გაზრდის პროცესში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რა როლი შეიძლება ჰქონდეს?

## დანართი 4 - რაოდენობრივი კვლევის კითხვარი

### *რაოდენობრივი კვლევის კითხვარი სტუდენტებისთვის*

1. სქესი

მდედრობითი

მამრობითი

2. უნივერსიტეტი

კერძო

სახელმწიფო

3. სასწავლო კურსი

პირველი

მეორე

მესამე

მეოთხე

4. ხართ/ოდესმე ყოფილხართ თუ არა უნივერსიტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის წევრი?

კი

არა

5. პირველ რიგში, როგორც წესი, ვის მიმართავთ ხოლმე სწავლისა და სწავლების საკითხთან დაკავშირებული პრობლემის მოსაგვარებლად ან რჩევის მისაღებად? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

რექტორი

დეკანი

მიმართულების ხელმძღვანელი

- ლექტორი/პროფესორი
  - სასწავლო დეპარტამენტი/ფაკულტეტი
  - ხარისხის მართვის სამსახური
  - სტუდენტური თვითმმართველობა
  - არავის მიემართავ
  - სხვა (გთხოვთ, ჩაწეროთ)
- 

6. როგორ ფიქრობთ რა საქმიანობას ახორციელებს უნივერსიტეტის განათლების ხარისხის მართვის სამსახური? (შეგიძლიათ მონიშნოთ მხოლოდ სამი პასუხი)

- სილაბუსების შექმნაზე მუშაობა
  - სილაბუსების განახლებასა და შესრულებაზე მუშაობა
  - სტუდენტების სწავლასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება
  - სასწავლო პროცესის შესახებ სტუდენტებისთვის კითხვარის შემუშავება/ანალიზი
  - სასწავლო პროცესისა და ლექტორების მონიტორინგი
  - გამოცდების მიმდინარეობის კონტროლი
  - სტუდენტების დასაქმების საკითხებზე მუშაობა
  - სტუდენტებისთვის გაცვლითი პროგრამების ძიება
  - სასწავლო პროგრამის შეფასება
  - სასწავლო პროცესის მართვის გაუმჯობესება
  - სასწავლო პროგრამის აკრედიტაციაზე მუშაობა
  - კონფერენციების ორგანიზება
  - მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესორ-მასწავლებლების შერჩევა
  - უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე სიახლეების განთავსება
  - სხვა (გთხოვთ, ჩაწეროთ)
- 

7. რამდენად კმაყოფილი ხართ სწავლის შემდეგი კომპონენტებით:



სწავლის კომპონენტებ ი	სრულ იად კმაყოფ ილი	კმაყოფ ილი	ნეიტრალ ური	უფრო უკმაყოფი ლო, ვიდრე კმაყოფილ ი	სრულია დ უკმაყოფი ლო
სასწავლო მასალის შინაარსი					
სასწავლო მასალის სისრულე					
სასწავლო მასალის ხელმისაწვდ ომობა					
ბიბლიოთეკა					
სწავლების მეთოდები					
სწავლების ორგანიზება და ცხრილი					
სასწავლო პროგრამის გამართულო					

<i>ბა</i>					
<i>პროფესორებ ის დამოკიდებუ ლება</i>					
<i>კვლევის უნარების განვითარები ს შესაძლებლო ბა</i>					
<i>შრომის ბაზრის მოთხოვნებთ ან სასწავლო პროგრამის შესაბამისობა</i>					

8. გქონიათ საქმიანი ტიპის კომუნიკაცია უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურთან?

- კი
- არა
- არ ვიცი მსგავსი ტიპის სამსახური

9. როგორ ფიქრობთ, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ჩვეულებრივ როგორ იღებს უკუკავშირის სტუდენტებისგან?

- სტუდენტთა შვესებული კითხვარების მეშვეობით
- სტუდენტთა ინდივიდუალური პრობლემების/უკუკავშირის ზეპირი მოსმენით
- სტუდენტური თვითმმართველობის საშუალებით
- სოციალურ ქსელებში სტუდენტების მიერ გამოთქმული მოსაზრებებით
- არ იღებს უკუკავშირს
- სხვა (გთხოვთ, ჩაწეროთ)

---

10. მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა სტუდენტებისთვის განკუთვნილი კითხვარის შევსებაში?

- კი
- არა

11. გთხოვთ, ქვემოთ წარმოდგენილ 5 ბალიან სკალაზე შეაფასოთ, რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი უნივერსიტეტის განათლების ხარისხის დონით (1 - უკმაყოფილო, 5 - სრულიად კმაყოფილი)

- 1 - უკმაყოფილო
- 2
- 3
- 4
- 5 - სრულიად კმაყოფილი

12. გთხოვთ, ქვემოთ წარმოდგენილ 5 ბალიან სკალაზე შეაფასოთ, რამდენად ჩართული ხართ პირადად თქვენ უნივერსიტეტში განათლების ხარისხის მართვის საქმიანობაში (1 - სრულიად არა ჩართული, 5 - სრულიად ჩართული)

- 1 - სრულიად არა ჩართული
- 2
- 3
- 4

□ 5 - სრულიად ჩართული

13. შემოხაზეთ დებულება რომელსაც ეთანხმებით:

- მიმაჩნია, რომ სტუდენტები უფრო მეტად უნდა იყვნენ ჩართულობის უნივერსიტეტის განათლების ხარისხის მართვის საქმიანობაში, ვიდრე ახლა არიან
- მიმაჩნია, რომ სტუდენტები ნაკლებად უნდა იყვნენ ჩართულობის უნივერსიტეტის განათლების ხარისხის მართვის საქმიანობაში, ვიდრე ახლა არიან
- მიმაჩნია, რომ სტუდენტების ჩართულობის ეს დონე უნივერსიტეტის განათლების ხარისხის მართვის საქმიანობაში სრულიად საკმარისია

14. ქვემოთ ჩამოთვლილია დებულებები. გთხოვთ, თითოეული მათგანი შეაფასოთ იმის მიხედვით, თუ რამდენად შეგესაბამებათ თქვენ.

დებულება	სრულ იად ვეთანხ მები	ვეთანხ მები	არ ვიცი	არ ვეთანხმებ ი	სრულია დ არ ვეთანხმე ბი
ვმონაწილეობ განათლების ხარისხის განვითარება სთან დაკავშირებულ სამუშაო/საინ ფორმაციო					

შეხვედრებში					
<p> <i> ვუზიარებ  განათლების  ხარისხის  განვითარება  სთან  დაკავშირებულ  ლ ჩემს  მოსაზრებებს  უნივერსიტე  ტის  ადმინისტრაცია  ციას </i> </p>					
<p> <i> ვუზიარებ  განათლების  ხარისხის  განვითარება  სთან  დაკავშირებულ  ლ ჩემს  მოსაზრებებს  ჩემს  ლექტორებს </i> </p>					
<p> <i> ვუზიარებ  განათლების </i> </p>					

<p>ხარისხის განვითარება სთან დაკავშირებუ ლ ჩემს მოსაზრებებს სტუდენტურ თვითმმართვე ელობას</p>					
<p>ვაესებ ლექტორების ა და სწავლის პროცესის შეფასების კითხვარს</p>					
<p>განათლების ხარისხთან დაკავშირებუ ლ ჩემს კმაყოფილება ს/უკმაყოფი ლებას სოციალური ქსელის სამუშაოებით</p>					

გამოვხატავ					
<p> <i> გზუფში,  სტუდენტებ  თან  გამოვხატავ  ინტერესს და  ვსაუბრობ  განათლების  ხარისხთან  დაკავშირებულ  საკითხებზე </i> </p>					
<p> <i> მალეღვებს  განათლების  ხარისხთან  დაკავშირებულ  ლი  საკითხები </i> </p>					
<p> <i> „კარგი/ცუდი  “  ლექტორების  მიმართ  გამოვხატავ  დადებით/უა  რყოფით </i> </p>					

<p>ემოციას/დამ ოკიდებულებ ას</p>					
<p>ვფიქრობ/ვან ალიზებ, თუ როგორ შეიძლება უნივერსიტე ტში განათლების ხარისხის გაუმჯობესებ ა</p>					
<p>ვფიქრობ/ვან ალიზებ, თუ როგორ შეიძლება ჩემი უნივერსიტე ტი მსოფლიოს მოწინავე უნივერსიტე ტებს შორის მოხვდეს</p>					



<p><i>ვეფრობ/ვან ალიზებ, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ სტუდენტებს უნივერსიტე ტში განათლების ხარისხის გაუმჯობესებ ისთვის</i></p>					
---	--	--	--	--	--

15. როგორ შეაფასებდით თქვენს უნივერსიტეტში სტუდენტების (უმრავლესობის) აქტიურობას განათლების ხარისხის მართვის საქმიანობაში ჩართულობის კუთხით?

- აქტიურად არიან ჩართულნი
- მეტნაკლებად არიან ჩართულნი
- არ არიან ჩართულნი

16. როგორ ფიქრობთ, რა მოტივაცია ამოძრავებთ იმ სტუდენტებს, ვინც ერთვებიან განათლების ხარისხის მართვის საქმიანობაში? (შეგიძლიათ მონიშნოთ ორი პასუხი)

- უნივერსიტეტში სწავლის ხარისხის გაუმჯობესება
- საუნივერსიტეტო სასწავლო პრობლემების მოგვარება
- ლექტორებთან თავის წარმოჩენა

- საზოგადოებაში თავის წარმოჩენა
  - განათლების სისტემის გაუმჯობესება
  - კერძო/პირადი ინტერესების დაკმაყოფილება
  - სოციალური კაპიტალის დაგროვება
  - ძალაუფლების მოპოვება
  - სხვებისთვის მიმზადველობა
  - საკუთარი სასწავლო პრობლემების მოგვარება
  - სხვა (გთხოვთ, ჩაწერეთ)
- 

17. თქვენ რომ იყოთ განათლების ხარისხის მართვის დეპარტამენტის წარმომადგენელი, როგორ გააუმჯობესებდით დეპარტამენტის სტუდენტებთან თანამშრომლობას, სტუდენტების ჩართულობის ზრდის მიზნით? (შეგიძლიათ მონიშნოთ ორი პასუხი)

- დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდებით
  - მუდმივი შეხვედრების ორგანიზებით
  - კითხვარის სავალდებულო შევსებით
  - შეუძლებელია სტუდენტის დაინტერესება, თუ იგი თავადვე არ არის დაინტერესებული
  - არ საჭიროებს გაუმჯობესებას
  - არ მაქვს პასუხი
  - სხვა (გთხოვთ, ჩაწერეთ)
-